ყველა ფერი სპორტზე

გამოიცემა 1934 წლიდან

Beijing 2008

დარჩა 59 დღე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



№ 135 (12 511) 10 ივნისი სამშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## ნაკრებში გული და სული უნდა ჩაიდოს

ინტერვიუ ოთარ ხიზანეიშვილთან

»»» 3

## დეკუ ცალი ფეხით ინტერში?

ჩელსიც ხაზზეა

»»» 10

UEFA EURO2008 Austria-Switzerland

| დღეს | |
|---|---|
| D ჯგუფი | |
| ინსბრუკი | |
| ესპანეთი-რუსეთი | 20:00 |
| D ჯგუფი | |
| ზალცბურგი | |
| საბერძნეთი-შვედეთი | 22:45 |

## შვედეთი იბრას გარეშე



## ჰიდინკი არაგონესს თავგზას უბნევს

»»» 9

# ჰოლანდიამ ევროპა გაანათა

## ტოტალური ფეხბურთის დაბრუნება

»»» 8




სნეიდერს გააქვს მეორე გოლი იტალიელთა კარში



კახა კალაძე

»»» 4

ალექსანდრე კორინთელის ფოტოები



გიორგი მერებაშვილი

# დიას ლაურეატები

# რაინერ ცობელი

## დინამოს ახალი მწვრთნელი

»»» 2



ჩემპიონთა ბანაკში. ექსკლუზივი

# რაინერ ცობელი დინამოს ახალი მწვრთნელია

## ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელი, ბეკენბაუერის თანაგუნდელი უკვე თბილისშია



რაინერ ცობელი გუშინ დიას დაჯილდოებასაც დაესწრო

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ამ ცოტა ხნის წინათ, თბილისის "დინამოს" დირექტორ ბუბა ტყავაძესთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ. "ლელოსთან" საუბარში "დინამოს" შეფმა განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებდა და 10 ივნისამდე (სანამ გუნდი შეკრებას დაიწყებდა) "დინამოს" ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლებოდა. ტყავაძემ და აგენტმა აკა ტონიამ ამ მიმართულებით საკმაოდ იმუშავეს და შედეგიც მიღწეულია - რაინერ ცობელი თბილისის "დინამოს" ახალი თავკაცია. ჩემპიონთა მთავარი მწვრთნელი პირველ ვარჯიშს შაბათს, 14 ივნისს, დილმის საწვრთნელ ბაზაზე ჩაატარებს.

ბუნებრივია, საინტერესოა, თუ ვინაა რაინერ ცობელი. დოსიეს აქვე წარმოგიდგენთ:

**ფეხბურთელის კარიერა:**

1868-1970 წლ. – "ჰანოვერი";

1970-1976 წ. – "ბაიერნი";

"ბაიერნის" რიგებში 3-ჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, 1 დაეუფლა თასს და 3-ჯერ ზედიზედ მოიგო ჩემპიონთა თასი.

**სამწვრთნელო კარიერა:**

1987-1990 - ბრაუნშვაიგის "აინტრახტი".

1990-1992 - "შტუტგარტერ კიკერსი";

1992-1993 – "კაიზერსლაუტერნი" – ბუნდესლიგა;

1994-1995 – "ნიურნბერგი";

1996-1997 - "ტენის ბორუსია" ბერლინი რეგიონალლიგა;

1998-2000 – "ალ-აჰლი" (ქაირო, ეგვიპტე);

3-ჯერ ეგვიპტის ჩემპიონი გახდა, 1 არაბული ქვეყნების სუპერთასის მოიპოვა;

2000-2001 - "შტუტგარტერ კიკერსი";

2002 – "ბანი იასი" (აბუ დაბი);

2002-2003 – "იტიჰადი" (ქაირო, ეგვიპტე);

2004-2005 - "პერსეპოლისი" (თეირანი, ირანი);

2006 – "ელ შარიათი" (არაბეთის გაერთიანებული საამიროები);

2006-2007 - ენპპი (ქაირო, ეგვიპტე).

"დინამო" და რაინერ ცობელი ერთმანეთთან სატრანსფერო სააგენტო "ლაოლას" შეფმა აკა ტონიამ დააკავშირა. ბუნებრივია, ამ თემაზე მუშაობაც ტონიასთან შეხმიანებით დავიწყეთ.

*"ლელოსთან" საუბარში ადრეც განვაცხადე, რომ "დინამოს" ხელმძღვანელობას რამდენიმე მწვრთნელის კანდიდატურა შევთავაზე. ბუნებრივია, ჩემ გარდა, სხვა აგენტებმაც წამოაყენეს სხვა სპეციალისტების კანდიდატურები. ამ საკითხზე კლუბის ხელმძღვანელობამ იმსჯელა. საბოლოოდ, ბუბა ტყავაძესთან ერთად, გერმანიაში გავემგზავრე და ცობელთან უშუალო კონტაქტზეც გავედი. ჩვენ ვესაუბრეთ მას და, როგორც ხედავთ, ცობელი უკვე "დინამოს" მთავარი მწვრთნელია.*

*რაინერ ცობელი იმ დიდი "ბაიერნის" ნახევარმცველი გახლდათ, რომელმაც ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი. ის ფრანც ბეკენბაუერის, გერდ მიულერის, ზეპ მაიერის, პაულ ბრაიტნერის თანაგუნდელი იყო. მისი სამწვრთნელო კარიერა მდიდარი და წარმატებულია. ცობელის, როგორც მწვრთნელის, კარიერას თუ გადავხედავთ, ერთი ტენდენცია აშკარად ჩანს. მას მხსნელის, გადამრჩენელი მწვრთნელის სახელი აქვს. მისთვის უცხო არაა სამშობლოს მიღმა სამსახური. ეგვიპტესა და სხვა არაბულ ქვეყნებში უმუშავია. ერთი სიტყვით, რაინერ ცობელი სახელიანი მწვრთნელია და იმედი მაქვს, "დინამოსაც" არაერთ წარმატებას მოუტანს".*

აკა ტონიას შემდეგ კლუბის დირექტორ ბუბა ტყავაძეს მივმართეთ:

- არ დავმალავ, რამდენიმე კანდიდატი გვყავდა. შერჩევას სხვადასხვა კრიტერიუმით ვახდენდით. ბუნებრივია, ისეთი სპეციალისტი გვინდოდა, რომელიც ყველაზე უფრო მიესადაგებოდა "დინამოს". რა თქმა უნდა, ახლა რაიმე გარანტიებზე ლაპარაკი არარეალურია, რადგან რაგინდ სახელიანი მწვრთნელი იყოს, ყოველთვის არსებობს ალბათობისა და გამართლების მომენტი. რაინერ ცობელი გერმანიის გარდა სხვა ქვეყნებშიცაა ნამუშევარი, მდიდარი სამწვრთნელო კარიერა აქვს, ჩემპიონი არაერთხელ გაუხდია გუნდი... მასზე არჩევანი ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით შევაჩერეთ.

**- რა ხანგრძლივობისაა კონტრაქტი?**

- სამწლიანია, 1+2 სისტემით. თუმცა 1 წლის შემდეგ "დინამოს" აქვს ექსკლუზიური უფლება ხელშეკრულების გაგრძელებაზე. აქ განსხვავებული გარემოა, უცხოელ მწვრთნელებს უჭირთ ხოლმე ადაპტაცია. ბუნებრივია, ეს მომენტიც გავითვალისწინეთ და სწორედ ამიტომ გავაფორმეთ ასეთი კონტრაქტი.

**- ახალი მწვრთნელი პირველ ვარჯიშს როდის ჩაატარებს?**

- გუნდი 10 ივნისს შეიკრიბება და სამი დღის განმავლობაში სამედიცინო შემოწმებას გაივლის. 14 ივნისს კი ცობელი პირველ ვარჯიშს ჩაატარებს. მანამდე რაინერი სამშობლოში დაბრუნდება და შაბათამდე თბილისში ჩამოვა.

ახლა კი რაინერ ცობელთან ინტერვიუს გავეცნოთ.

### დინამო ევროპულ ფეხბურთს ღირსეულად უნდა დაუბრუნდეს

### მხოლოდ ლოკალურ წარმატებებს არ უნდა დავჯერდეთ

- გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, ჰოლანდიაში... თუ ევროპის სხვა ქვეყანაში ნებისმიერს რომ სთხოვოთ, ქართული კლუბი დაასახელოს, ყველამ მხოლოდ ერთი იცის - თბილისის "დინამო". სხვა ქართულმა გუნდებმა ჩემი ნათქვამი სხვაგვარად არ ჩამომართვან, მაგრამ ეს რეალობაა. ევროპაში, ასევე კარგად იციან, რომ 1981 წელს, თასების თასი სწორედ "დინამომ" მოიგო. ამას გარდა, ისიც ესმით, რომ ევროპის ქვეყნებში მოასპარეზე ქართველი ვარსკვლავები - არველაძე, კობიაშვილი, იაშვილი... სხვები სწორედ თბილისის "დინამოში" დაფრთიანდნენ და მათი კარიერა ამ სახელოვანი კლუბიდან დაიწყო. იყო დრო, როცა "ფრაიბურგში" ნახევარი გუნდის გვარი ვილი-ზე მთავრდებოდა... (იცინის) იმედი მაქვს, "დინამოდან" ყველა საუკეთესო ფეხბურთელი არ წასულა ევროპულ ლიგებში სათამაშოდ და აქაც არაერთი კარგი ფეხბურთელია.

**- ჩემპიონი გუნდი ჩაიბარეთ. ბუნებრივია, გულშემატკივარი და კლუბის ხელმძღვანელობა თქვენგან მეტ წარმატებას მოელის. რამდენად მზად ხართ საამისოდ?**

- "დინამოსგან" საქართველოში ისედაც ჩემპიონობას ელიან. ამ მდიდარი ტრადიციების მქონე გუნდს სამშობლოში ოქროს მედლების მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს. თუმცა მხოლოდ ამ ლოკალური მიზნით არ უნდა შემოვიფარგლოთ. მთავარია, "დინამო" ევროპას დაუბრუნდეს და კონტინენტის მასშტაბით კონკურენტუნარიანი, ყველასათვის ანგარიშგასაწევი გუნდი გახდეს.

**- ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე თვეზე ოდნავ მეტი დარჩა. დრო ცოტაა და უნდა ველოდოთ თუ არა გამორჩეულ შედეგებს?**

- ამბიციური მწვრთნელი ვარ და მსურს, ეს შევძლოთ. თუ გუნდსაც უნდა და ფეხბურთელებიც მოინდომებენ, მაშინ მართლაც შეიძლება ამაზე რეალურად მსჯელობა. აქვე ერთსაც ვიტყოდი, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რამდენად მოაზროვნე ფეხბურთელები არიან გუნდში.

**- თქვენი გეგმის განხორციელებას როდის დაიწყებთ?**

- ეს ეტაპობრივად უნდა მოხდეს. თუმცა ყველაფერი საიდანღაც იწყება და, ვფიქრობ, დროა, "დინამო" ნელ-ნელა დაუბრუნდეს ევროპას. მართალი გითხრათ, "დინამოს" თამაშის ვიდეოფირები ჯერ არ მინახავს. გუნდის შესწავლას დაუყოვნებლივ შევუდგები და გარკვეულ დასკვნებსაც გავაკეთებ. ყველაფერს ვილონებ, რომ საქართველომ "დინამოთი" ისევ იამაყოს და ეს გუნდი დიდ ევროპულ ფეხბურთს ღირსეულად დაუბრუნდეს.

**- ახალ გუნდში უპირველესად რას გააკეთებთ?**

- როგორც მითხრეს, საქართველოში ბევრი ტალანტია. პირველ რიგში, ფეხბურთელებს ვეტყვი, რომ საკუთარი თავის, საკუთარი ძალების ბოლომდე ირწმუნონ. გუნდის მომზადებაში ფსიქოლოგიას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. საკვანძო ელემენტია, რომ გუნდს გამარჯვებულის მენტალიტეტი ჰქონდეს. მხოლოდ საქართველოში მიღწეული ლოკალური წარმატებებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ვამაყობ, რომ ასეთი სახელოვანი გუნდის მთავარი მწვრთნელი ვარ. ფეხბურთელებმაც უნდა იამაყონ, რომ დინამოელები არიან და ჩვენ ერთად უნდა მივაღწიოთ დიდ წარმატებებს.

**დავით ცაბაძე**

U 17. საერთაშორისო ტურნირი

# მეტოქეები ცნობილია

17-წლამდელთა ნაკრებებს შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი, რომელშიც ჩვენი ჭაბუკთა ნაკრებიც ითამაშებს, შემოდგომაზე გაიმართება. ჯგუფში ჩვენი მეტოქეები ჩეხეთი, ბოსნია და უნგრეთი იქნებიან. მანამდე კი გელა შეყილაძის გუნდი ტრადიციულად პალანგის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებს. ტურნირის წილისყრა უკვე შედგა და ჩვენი მეტოქეებიც გაირკვა.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, პალანგის ტურნირზე მოასპარეზე 8 გუნდი წილისყრამ ორ ჯგუფად ასე დაანაწილა:

**A ჯგუფი:**

საქართველო, რუსეთი, სომხეთი, მოლდოვა.

**B ჯგუფი:**

ლიტვა, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ლატვია.

ჩვენი ჯგუფის კალენდარი ასეთია:

**19.08.08.**

საქართველო-მოლდოვა
რუსეთი-სომხეთი

**20.08.08.**

საქართველო-რუსეთი
მოლდოვა-სომხეთი

**22.08.08.**

საქართველო-სომხეთი
მოლდოვა-რუსეთი

რაც შეეხება ტურნირის ფორმატს, ჯგუფში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები ნახევარფინალში 24 აგვისტოს დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ამავე დღეს ჯგუფის ბოლო ორი გუნდი მე-5 – მე-7 ადგილებისთვის ბრძოლას გააგრძელებს. ტურნირის ფინალი 25 აგვისტოს გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ ოთარ ხიზანეიშვილთან

# ნაკრებში გული და სული უნდა ჩაიდოს

## ყველანი ერთად უნდა დავჯდეთ და გავარკვიოთ, რა ჭირს საქართველოს ნაკრებს

ოთარ ხიზანეიშვილს ეროვნულ ნაკრებში 17 კეპი მოუხვეჭია და როცა ფორმაშია, საიმედო თამაშით არაერთხელ გამოუჩენია თავი. ბოლო წლებში მისი კარიერა ალმა-დალმა წავიდა, რაც მეტწილად ტრავმიანობით იყო გამოწვეული.

განვლილი სეზონი მან "ფრაიბურგში" ჩაამთავრა და ახლახან ისევ მეორე ბუნდესლიგის "აუგსბურგში" ჩაირიცხა. ხიზანეიშვილი შვებულებას თბილისში ატარებს და ინტერვიუ გუშინ ჩამოვართვით.

ხისტი და აგრესიული მცველი გვპირდება, რომ მალე ყველას შეახსენებს თავს კარგი თამაშით. ოთარს აქეთურ-იქეთურზე ვესაუბრეთ.

**- განვლილ სეზონში მხოლოდ ორჯერ გახვედი სათამაშოდ და ისიც შეცვლებზე. მაინც რა მოხდა, რატომ აგითვალწუნა "ფრაიბურგის" დამრიგებელმა რობინ დუტმა?**

- ზუსტად ვერ გეტყვით, ყველაფერი ასე ალბათ იმიტომ მოხდა, რომ მან თავის ხალხი მოიყვანა გუნდში, ხოლო მათ, რომლებიც "ფრაიბურგში" ფოლკერ ფინკეს დროს მივედით, ფაქტობრივად, შანსი არ მოგვცა.

**- "ფრაიბურგიდან" ჯერ კიდევ ზამთრის შესვენების დროს აპირებდი წასვლას. რამ შეგიშალა ხელი?**

- "ქაისერისფორს" ვუნდოდი, ლაპარაკი იყო "სანდერლენდზეც", ფრაიბურგელებმა ჩემში სატრანსფერო თანხა მოითხოვეს, როგორც მე მითხრს, 800 ათასი ევრო. "ქაისერი" თანახმა იყო ეს თანხა გადაეხადა, მაგრამ "ფრაიბურგმა" მერე უფრო ძვირად დამაფასა და ტრანსფერიც არ გამოვიდა.

**- სეზონის ბოლოს სამატჩო განაცხადშიც არ იყავი...**

- აპრილში, "აუესთან" გვქონდა სტუმრად მატჩი და დუტს ვუთხარი, თუ არ მათამაშებ, ტყუილად რალაზე წამოვიდე, ფრაიბურგში დავრჩები და ვივარჯიშებ-მეთქი. მწვრთნელმა მითხრა, წამოდი, თუ არ ითამაშებ, პრემიას ხომ მაინც მიილებო. ვუპასუხე, პრემია დიდად არ მილირს, მთავარი ჩემთვის თამაშია-მეთქი. თუ არ წამოხვალ, სათადარიგოებშიც ალარასოდეს შეგიყვანო - მითხრა დუტმა და სიტყვა შეასრულა. მანამდე, საშუასეზონო პერიოდში მწვრთნელიც და კლუბის ხელმძღვანელებიც მეუბნებოდნენ, გვჭირდები, ნურსად წახვალო.

**- როგორ ფიქრობ, რა დაკარგე ერთწლიანი უქმობით? ეს ისეთი დანაკარგია, რომელსაც მალე ვერ აინაზღაურებ?**

- დანაკარგი მნიშვნელოვანია, სათამაშო პრაქტიკით დიდ გამოცდილებას იძენ. ბოლო სამ წელიწადში ბევრი გამიცდა.

**- რამდენი დრო დაგჭირდება ოპტიმალურ ფორმაში შესასვლელად? შოთა არველაძის გამოსათხოვარ მატჩში რომ ითამაშე, ზედმეტი კილოგრამები გეტყობოდა...**

- თამაშამდე ათი დღე უვარჯიშებელი ვიყავი. ისეთი ორგანიზმი მაქვს, ცოტაც რომ გამიცდეს, ეგრევე წონაში ვიმატებ. ახლა ავთო ბერიძესთან გავივლი ფიზმომზადების ათდღიან კურსს, 22 ივნისს კი "აუგსბურგში" მივალ. ნაყოფიერი შეკრება და ორი თამაში - ამის მერე უკვე კარგ ფორმაში ვიქნები, უთამაშებლობით გამოწვეულ დანაკარგს მალე ვინაზღაურებ.

**- წინა სეზონში "აუგსბურგი" ძლივს გადაურჩა მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნას. რა იქნება გუნდის მიზანი დამდეგ სეზონში?**

- მეორე ბუნდესლიგის შვიდ საუკეთესო გუნდში მოხვედრა, მომდევნო სეზონში კი "აუგსბურგი" ბუნდესლიგაში გადასვლისთვის იბრძოლებს - ასეთია გეგმები. აუგსბურგელები ახალ, 35 ათასიან სტადიონსაც აშენებენ.

**- მართლაც საინტერესოა, ბევრი პრობლემის შემდეგ როგორ წარმოაჩენს თავს ოთარ ხიზანეიშვილი, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში ბოლოს წინა შესარჩევში სტუმრად საფრანგეთთან ითამაშა...**

- უილბლობის პერიოდი მაშინ დამეწყო, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში შინ თურქეთთან რომ მივილე ტრავმა. ამის მერე მუხლის ჯვარედინი იოგების ოპერაცია გავიკეთე, მერე ორჯერ - მენისკის. ბოლო ოპერაციის წინ თითქოს გამოჯანმრთელებული ვიყავი, მაგრამ მუხლის ტკივილი არ მასვენებდა, სულ შიშის ქვეშ ვთამაშობდი, ზუსტი დიაგნოზის დასმაც გაჭიანურდა, როგორც იქნა, ალმოაჩინეს, რომ მენისკის ოპერაცია მჭირდებოდა. ბოლო ერთი წელიწადია, ჯანზე ვარ.

**- ალბათ იცი, ფოლკერ ფინკე საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი რომ არის. როგორ ფიქრობ, ყველაზე მეტად რითია ძლიერი ფინკე?**

- ადამიანებთან ურთიერთობით, ის არავის ასხვავებს. სასიამოვნო ვარჯიშები აქვს, მეტწილად ბურთთან, კარგი ფსიქოლოგია და ტაქტიკაშიც ძლიერია.

**- საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი ხშირად ეცვლება, მაგრამ შედეგი ფაქტობრივად ერთი და იგივეა - ჩვენი გუნდი ფინალურ ეტაპზე გასასვლელად ვერ იბრძვის.**

- ეს მხოლოდ მწვრთნელს არ უნდა დაბრალდეს. ნაკრებში გული და სული უნდა ჩაიდოს, ამას მხოლოდ თამაშის წინ ვაკეთებდით, მაგრამ ეს არ კმარა. ყველანი ერთად უნდა დავჯდეთ და გავარკვიოთ, რა სჭირს საქართველოს ნაკრებს.

**- "ფრაიბურგის" 19-წლამდელთა გუნდში დავით თარგამაძის თამაშებს ესწრებოდი?**

- ჩვენი მატჩები ერთმანეთს ემთხვეოდა და თარგამაძის მხოლოდ ერთ თამაშს დავესწარი. მან საკმაოდ კარგად ითამაშა. ერთხელ დათო პირველი გუნდის ორმხრივ თამაშში დავიმატეთ და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მას ყველა აქებს, "ფრაიბურგის" 19-წლამდელთა მწვრთნელმაც მითხრა, მაგარი ბიჭიაო.

**- გერმანიის ნაკრებზეც გკითხავ. სანამ ევროპის ჩემპიონატი დაიწყებოდა, როგორ აფასებდნენ ნაციონალმანშაფტის შანსებს?**

- გერმანიაში იოახიმ ლიოვზე დადებითი აზრის არიან. სხვათა შორის, ლიოვი ფრაიბურგელია და ჩვენს საშიანო თამაშებზე თითქმის სულ დადიოდა. გერმანიას მისი იმედი აქვს.

**- შენ რომელ გუნდს მიიჩნევ ტურნირის ფავორიტად?**

- ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესო ფეხბურთი ჯერჯერობით სწორედ ლიოვის გერმანიამ აჩვენა. ამ გუნდის მთავარი პრობლემა, ალბათ, კრისტოფ მეტცელდერია, მას სათამაშო პრაქტიკა აკლია და რალაც ვერ დგას დაცვაში მყარად.

**- საუკეთესო გერმანელ მცველად ვინ მოგაჩნია?**

- ყველაზე უფრო ლამი მომწონს.

დავით თავართქილაძე



# დიდი სისტემის პატარა ნიუანსები

## კოლხიდამ ყენიასთან ხელშეკრულება გააფორმა




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



ლექსო თოფურია

"ნოუ ჰაუ" ქართულ ფეხბურთში იშვიათი მოვლენაა და თუ რამ ხდება, ისიც, ორიოდე გამორჩეული ადამიანის, ორგანიზაციისა და კომპანიის წყალობით.

გუშინ "ლოკომოტივზე" სწორედ ასეთი "ნოუ ჰაუ" ვიხილეთ - მედიაკომპანია "კოლხიდამ" "შალკეს" 17 წლის ნახევარმცველ **ლევან ყენიასთან** კონტრაქტი გააფორმა.

ყველაფერი გენიალური მარტივია - ეს კონტრაქტი და მისი დანიშნულებაც ყველასათვის ადვილად გასაგებია. "კოლხიდამ" "შალკესგან" აილო უფლება, რომ საქართველოში ახალგაზრდა ტალანტის საიმიჯო სახელით ისარგებლოს.

ნანატრ დასავლურ ცივილიზაციაში, უკვე საუკუნეა, ეს ჩვეულებივი მოვლენაა - ცნობილი სახე რომელიმე კომპანიასთან ხელშეკრულებას აფორმებს და შემდეგ მისი პროდუქციის პოპულარიზაციას ეწევა.

სისტემა ნიუანსებისგან, დეტალებისგან შედგება. ქართულ ფეხბურთს ეს ნიუანსები და მთლიანად სისტემა აკლია, ფინანსებს თავი რომ დავანებოთ. სისტემის არარსებობა იწვევს იმას, რომ თითქმის ყველგან წარმატებული საფეხბურთო ბიზნესი ჩვენთან ჩამკვდარია.

ახალგაზრდა ბიზნესმენი **ლექსო თოფურია** კი ამ ინდუსტრიის "დაქოქვას" ცდილობს: მედიაკომპანია "კოლხიდა" საქართველოს ჩემპიონატის სატელევიზიო მიმოხილვა "გოლს" ამზადებს, რაც ჩვენი ჩემპიონატით მასების მიზიდვის მშვენიერი და საჭირო გზაა. ესეც ძალიან მარტივია, მაგრამ სანამ მან არ მოიფიქრა, მასშტაბურად მსგავსი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

მალე "გოლის" ინტერნეტვერსია ამუშავდება - ცხელ-ცხელი ინფორმაციებით, რუბრიკებით, ვიდეორგოლებით, საფეხბურთო ფორუმით და ა.შ, ბუნებრივია, ისევ და ისევ, საქართველოს ჩემპიონატის პოპულარიზაციის მიზნით.

საგურამოში თანამედროვე ბაზის და მცირე სტადიონის მშენებლობა - ამას მხოლოდ "ლოკომოტივისთვის" არ აკეთებს, ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებსაც მოემსახურება.

თუკი მიეცემა საშუალება, "მიხეილ მესხის" სტადიონის გენერალურ რეკონსტრუქციასაც საკუთარ თავზე აილებს - დღეისათვის კი მისი მეპატრონის საკითხი სადავოა და მშვენიერი არენა, ფაქტობრივად, მოუვლელია.

ლექსო თოფურიამ, ამ ყოველივეს, "კოლხიდას" სახელით ლევან ყენიასთან გაფორმებული კონტრაქტი დაუმატა.

ყველაფერი გენიალური მარტივი იმიტომ არის, რომ ამ ხელშეკრულებაში ჩადებული "ხანგრძლივი მოქმედების ნალმი" რამდენიმე წელიწადში ამოქმედდება, იმასთან ერთად, როდესაც ყენიას ნიჭი უფრო წარმოჩნდება - ისევ ქართული ლიგისა და ფეხბურთის პოპულარიზაცისითვის. ეს გზა გრძელი და რთულია, მაგრამ მის გასავლელად ასეთი "ნოუ ჰაუები" ჰაერივით გვჭირდება - სისტემას ხომ ნიუანსები "ქოქავენ".

ლექსო თოფურია: *"ეს კონტრაქტი, "შალკეს" ნებართვით, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე იმოქმედებს. ბუნებრივია, გაფორმებული ხელშეკრულება, გერმანელებს ლევანის სახელის საიმიჯო მიზნით გამოყენების უფლებას აძლევს. მათ კი ეს უფლება საქართველოში "კოლხიდას" დაუთმეს და მას ქართული ფეხბურთის სასარგებლოდ გამოვიყენებთ. "კოლხიდა" შეეცდება საქართველოს ბაზარზე ეს კონტრაქტი მაქსიმალურად გამოიყენოს".*

უჩა უგულავა, ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი: *"მივესალმები "კოლხიდას" ამ ნაბიჯს. ეს საქართველოში პირველი პრეცედენტია, როდესაც მოთამაშემ საიმიჯო სახელის გამოყენების უფლება ქართულ კომპანიას გადასცა. ეს მთელ მსოფლიოში მილებული პრაქტიკაა და იმედია, ქართულ ფეხბურთს წაადგება".*

ლევან ყენია: *"კარგად ვხვდები, რომ კონტრაქტი ქართული ფეხბურთისთვისაა საჭირო და ამიტომაც, სიამოვნებით და დაუფიქრებლად დავთანხმდი".*

მერაბ მამულაშვილი

სტაჟირებაზე არგენტინაში

**თქვენ დელგადო გიწვევთ!**

ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი **ედუარდო დელგადო** იწვევს 17-18 წლის ასაკის, პერსპექტიულ ფეხბურთელებს: ორ მეკარეს, ორ თავდამსხმელს, მარჯვენა და მარცხენა მცველსა და ნახევარმცველს სტაჟირებაზე 1-2 წლით არგენტინაში.

ფეხბურთელები სათანადო დონეზე მომზადების შემდეგ, დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში. მომზადების პროცესში შედის ამხანაგური მატჩები არგენტინის კლუბებთან.

სტაჟირების, აგრეთვე სხვა ხარჯებს გაილებენ მსურველები ან მათი სპონსორები.

30 ივნისამდე, გამგზავრებამდე მსურველებს გაკვეთილები ჩაუტარდებათ ესპანურ ენაში. გასაუბრება და დაწვრილებითი ცნობები 10 ივნისიდან ყოველდღე, კვირის გარდა.

*ლეონიძის (ყოფილი კიროვის) ქუჩა №4 (თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე) 12-დან 14სთ-მდე. ტელეფონი: 8 99 23 55 20*

ქართულ-არგენტინული საფეხბურთო კლუბი GEHARG-ის წარმომადგენლობა საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია 2008

# დინამო აქაც ჩემპიონია

სეზონი შეჯამდა - საუკეთესოები გამოვლინდნენ, წარმატებულებს შრომა დაუფასდათ, ერთი სიტყვით, ყველაფერი თავის ადგილას დალაგდა.

"დია 2008"-ს მარჯანიშვილის თეატრმა უმასპინძლა. თბილისის მერიის ბიგ-ბენდი და ქართველი მომღერლები საღამოს ალამაზებდნენ, ლაშა დვალიშვილმა და TBC TV-მ **შოთა არველაძეს** მშვენიერი კლიპის სახით, სასიამოვნო სიუპრიზი მიუძღვნეს.

საღამოს **თემიკო ჭიჭინაძე** და **თათული ბართაია** უძღვებოდნენ.

სულ გამოვლინდა 11 ნომინაციის გამარჯვებული:

1. საუკეთესო მეკარე - **დიდიე ოვონო ("დინამო" თბილისი)**

*ნომინანტები - ლადო ნადირაშვილი ("ამერი"), როინ კვასხვაძე ("ზესტაფონი").*

2. საუკეთესო მცველი - **უჩა ლობჟანიძე ("ზესტაფონი")**

*ნომინანტები - ლექსო კვახაძე ("ვიტ ჯორჯია"), მილოშ კრშკო ("დინამო").*

3. საუკეთესო ნახევარმცველი - **გიორგი მერებაშვილი ("დინამო")**

*ნომინანტები - დავით ოდიკაძე ("დინამო"), ჟილვან ვიეირა ("ზესტაფონი").*

4. საუკეთესო თავდამსხმელი - **დიმიტრი ტატანაშვილი ("ამერი")**

*ნომინანტები - რატი ალექსიძე ("ლოკომოტივი"), ბექა გოცირიძე ("ზესტაფონი").*

5. საუკეთესო მსაჯი - **ლევან ფანიაშვილი**

*ნომინანტები - გიორგი ვადაჭკორია, ლევან კვარაცხელია.*

6. საუკეთესო მწვრთნელი - **რამაზ მუმლაძე ("ვიტ ჯორჯია")**

*ნომინანტები - თემურ მახარაძე ("ზესტაფონი"), დუშან უჰრინი ("დინამო").*

7. ჩემპიონატის საუკეთესო გოლის ავტორი - **გიორგი მეგრელაძე ("ბორჯომი")**

*("ამერი"-"ბორჯომის" მატჩის გოლი)*

8. წლის საუკეთესო პროექტი - **მედიაკომპანია "კოლხიდა"**

*ნომინანტები - "პლაჟის ფეხბურთის ასოციაცია", თბილისის "ლოკომოტივისა" და ეროვნული ნაკრების საგურამოს ბაზა.*

9. წლის აღმოჩენა - **მათე ვაწაძე ("დინამო")**

*ნომინანტები - დავით დევდარიანი ("ოლიმპი"), ირაკლი კლიმიაშვილი ("ვიტ ჯორჯია").*

10. ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი - **გიორგი მერებაშვილი ("დინამო")**

*ნომინანტები - მიხეილ ხუციშვილი ("დინამო"), ბექა გოცირიძე ("ზესტაფონი")*

11. საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი - **კახა კალაძე ("მილანი")**

*ნომინანტები - ლევან კობიაშვილი ("შალკე"), ალექსანდრე იაშვილი ("კარლსრუე").*

თბილისის "დინამომ" ერთგვარი რეკორდი დაამყარა - საქართველოს ჩემპიონატთან დაკავშირებულ რვა ნომინაციაში თბილისის "დინამო" წარმოდგენილი იყო ათჯერ (აქ ნომინაცია "გოლსაც" ვგულისხმობთ, სადაც თორმეტიდან ორი საუკეთესო ბურთი დინამოელებმა გაიტანეს).

საქართველოს ჩემპიონს სულ ოთხი ნომინაციის გამარჯვებულის პრიზი გადაეცა.

ამ ლამაზ საღამოს და აღიარებას ევროთასებზე ასეთივე გაგრძელება სჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი



საუკეთესო ფეხბურთელი კახა კალაძე



საუკეთესო მეკარე დიდიე ოვონო



საუკეთესო გოლის ავტორი
გიორგი მეგრელაძე



სეზონის აღმოჩენა მათე ვაწაძე



ჩემპიონატის საუკეთესო ნახევარმცველი
და მოთამაშე გიორგი მერებაშვილი



ჩემპიონატის მცველი
უჩა ლობჟანიძე



საუკეთესო თავდამსხმელი
დიმიტრი ტატანაშვილი



საუკეთესო მწვრთნელი
რამაზ მუმლაძე



საუკეთესო მსაჯი
ლევან ფანიაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. სეზონის შეჯამება. ლოკომოტივი

# გადარჩენისთვის ბრძოლიდან ინტერტოტომდე

### ლოკომოტივი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| დ. ფოფხაძე | 26 | 26 | - | 1 | - |
| გუშარაშვილი | 20 | 20 | 3 | 7 | - |
| ძუხილავა | 20 | 20 | - | 1 | - |
| გულორდავა | 19 | 19 | - | 2 | - |
| სამხარაძე | 16 | 15 | 3 | 2 | 2 |
| ბარბაქაძე | 16 | 12 | 1 | 6 | - |
| დ. ჩაგელიშვილი | 16 | 6 | - | - | - |
| გ. კვახაძე | 14 | 10 | 1 | 2 | - |
| გვარამაძე (მეკ.)* | 12 | 12 | -14 | 1 | - |
| მ. ალავიძე (მეკ.)** | 12 | 12 | -12 | 1 | - |
| ს. გილაური** | 12 | 4 | - | 1 | - |
| ფარულავა** | 11 | 10 | 2 | 2 | 1 |
| ალექსიძე** | 11 | 7 | 9 | 2 | - |
| იმედაძე* | 11 | 7 | 1 | - | - |
| ალავერდაშვილი | 11 | 5 | - | 3 | - |
| დარასელია** | 10 | 10 | 3 | - | - |
| მალიჩავა* | 10 | 10 | 2 | - | - |
| ლალაძე* | 10 | 10 | - | 3 | - |
| ზ. ჩხეტიანი** | 10 | 10 | - | 6 | - |
| გ. მიქაძე* | 10 | 8 | 1 | 5 | - |
| ხოხონიშვილი* | 9 | 8 | - | 3 | 1 |
| ქუცურუა** | 8 | 6 | 1 | 1 | - |
| წულაძე** | 8 | 6 | - | - | - |
| ლ. ჩაგელიშვილი | 8 | 5 | - | 1 | - |
| ცქიტიშვილი** | 7 | 7 | 1 | - | - |
| ტიკურიშვილი* | 7 | 2 | - | 2 | - |
| მ. ჟღენტი* | 6 | 3 | - | 1 | - |
| ბუდალაშვილი | 6 | 1 | - | - | - |
| ბოგოხიძე* | 5 | 2 | - | - | - |
| ყენია* | 4 | 4 | 1 | 4 | 1 |
| კაჭახიძე** | 4 | 2 | - | - | - |
| მიგინეიშვილი (მკ.) | 2 | 2 | -4 | - | - |
| ა. კობიაშვილი* | 3 | 3 | - | - | - |
| გ. კირკიტაძე* | 2 | - | - | - | - |
| ბახტაძე** | 2 | - | - | - | - |
| ნიკოლაიშვილი** | 1 | 1 | - | - | - |
| ბერიძე* | 1 | - | - | - | - |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 26 | 23 | 1 | 2 | 67-18 | 70 |
| 2. ვიტ-ჯორჯია | 26 | 19 | 3 | 4 | 45-14 | 60 |
| 3. ზესტაფონი | 26 | 18 | 5 | 3 | 56-16 | 59 |
| 4. ოლიმპი | 26 | 16 | 4 | 6 | 26-16 | 52 |
| 5. ამერი | 26 | 15 | 3 | 8 | 48-27 | 48 |
| 6. მესხეთი | 26 | 11 | 6 | 9 | 29-30 | 39 |
| 7. მგლები | 26 | 10 | 3 | 13 | 27-33 | 33 |
| 8. სიონი | 26 | 9 | 5 | 12 | 34-35 | 32 |
| 9. ბორჯომი | 26 | 9 | 4 | 13 | 32-39 | 31 |
| *10. ლოკომოტივი* | *26* | *7* | *6* | *13* | *27-35* | *27* |
| 11. სპარტაკი | 26 | 5 | 8 | 13 | 15-28 | 23 |
| 12. მერანი | 26 | 6 | 1 | 19 | 15-54 | 19 |
| 13. ბათუმი | 26 | 4 | 4 | 18 | 16-51 | 16 |
| 14. დილა | 26 | 1 | 5 | 20 | 12-53 | 8 |


რატი ალექსიძემ ლოკომოტივს დიდი სამსახური გაუწია

ეროვნული ჩემპიონატის მაღალ საფეხურებზე გასულმა რამდენიმე კლუბმა ინტერტოტოზე უარი თქვა, რამდენიმემ სალიცენზიო მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა და საბოლოოდ, გაირკვა, რომ ნაკლებპრესტიჟულ ევროტურნირზე საქართველოს ის გუნდი წარმოადგენს, რომელიც ბოლო ტურამდე უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძოდა.

"ლოკომოტივი" სეზონის მიწურულსლა გამოცოცხლდა, როცა უშუალო კონკურენტებთანაც გამოიჩინა თავი და ლიდერებსაც ტოლ-სწორად ეომა. ყოველივე ამას კი ვერაფრით შეძლებდა, კლუბის ხელმძღვანელობას შემადგენლობის გასაძლიერებლად რომ არ ეზრუნა. მეორე წრეში რკინიგზელთა ღირსება ალექსიძე-ცქიტიშვილი-დარასელიას გამოცდილმა ტრიომ დაიცვა და ეს სეზონი ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი იყო. გუნდის წარმატებაში სამივე მათგანმა დიდი წვლილი შეიტანა, მაგრამ განსაკუთრებით მაინც რატი ალექსიძის შედეგიანი თამაში უნდა გამოვყოთ. მან ხომ არაერთი ცხოვრებისეული დაბრკოლება გადალახა, შეუძლებელი შეძლო, ფეხბურთს თითქმის ოთხწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და იმის მიუხედავად, რომ მეორე წრეც კი არასრულად ჩაატარა, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირებშიც გაერია და ეროვნულ ნაკრებშიც დაბრუნდა.

მთელი სეზონის განმავლობაში "ლოკომოტივის" შედეგიანობა მეტწილად ძლიერ შემსრულებლებზე იყო დამოკიდებული. ზემოთ ნახსენები სამეულის მისვლის შემდეგ გუნდი ნელ-ნელა ამოვიდა გასავარდნი ზონიდან, სეზონი კი რკინიგზელებმა ეფექტურად დაიწყეს ლევან ყენიას ჩინებული თამაშის წყალობით. ყენია "შალკეში" მალევე წავიდა, რის შემდეგაც "ლოკომოტივს" სამეულის დამატებამდე სერიოზული სათამაშო კრიზისი დაეწყო.

"ლოკომოტივში" კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა 2007 წლის ბოლოს მოხდა – საფეხბურთო კარიერა ეროვნული ნაკრების ყოფილმა მეკარემ, დავით გვარამაძემ დაასრულა.

## საუკეთესო მატჩი

ჩემპიონატის პირველ ტურში "ლოკომოტივმა" "ამერს" ისე დამაჯერებლად სძლია, ბევრს ეგონა, რომ გიორგი კიკნაძის გუნდი მაღალ მიზნებს შეექიდებოდა. თუმცა ყველაფერი პირიქით მოხდა და სეზონის დიდი ნაწილი გუნდმა გასავარდნ ზონაში გაატარა. "ამერთან" მატჩის გარდა, მეორე წრეში სტუმრად "სიონის" 3:0 განადგურება უნდა გამოვყოთ. "ლოკომოტივმა" შინ "ზესტაფონთანაც" რიგიანად ითამაშა.

## ყველაზე ცუდი მატჩი

პირველ წრეში "ლოკომოტივი" ბევრად უხარისხო ფეხბურთს თამაშობდა. განსაკუთრებით უხარისხოდ გუნდმა შინ "მერანთან" (0:2) და სტუმრად "ზესტაფონთან" (0:5) ითამაშა.




## რჩეულნი

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ სეზონის დასკვნით ნაწილში "ლოკომოტივში" საუკეთესო რატი ალექსიძე იყო, ჩემპიონატის სტარტზე კი ლევან ყენია გამოირჩეოდა.

## მზადება მომავალი სეზონისთვის

გუნდმა უკვე დაიწყო ინტერტოტოსთვის სამზადისი. შეგახსენებთ, პირველ ეტაპზე რკინიგზელთა მეტოქე ლუქსემბურგული "ეტცელა" იქნება. მატჩები 22 და 29 ივნისს გაიმართება. პირველ თამაშს თბილისელები სტუმრად ჩაატარებენ. თუკი პირველი ბარიერი გადალახა, "ლოკომოტივი" ივლისის დასაწყისში რუსულ "სატურნს" ეთამაშება. თუ სასწაული მოხდა და ქართველებმა ეს ეტაპიც გაიარეს, ბოლო ეტაპზე გერმანულ "შტუტგარტს" შეებრძოლებიან.

## საკადრო პოლიტიკა

ჯერჯერობით, ალექსიძე, ცქიტიშვილი და დარასელია გუნდში რჩებიან. დიდია იმის შანსი, რომ მათ "ლოკომოტივთან" ერთად ინტერტოტოს თასზე იასპარეზონ.

## ფინანსური მდგომარეობა

"ლოკომოტივი" უმდიდრეს ქართულ კლუბთა რიცხვს არ მიეკუთვნება, მაგრამ საარსებო მინიმუმი და განვითარების პერსპექტივა ნამდვილად გააჩნია.

## მიზნები

ჯერჯერობით, გაურკვეველია, როგორი კონტინგენტი ეყოლება გუნდს მომავალ სეზონში. ფაქტია, რომ თუ შემადგენლობა საგრძნობლად არ გაიძლიერა, "ლოკომოტივი" კვლავ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ბრძოლას დასჯერდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**I ტური**
შ ამერი 2:1
გოლები: სამხარაძე, გუშარაშვილი

**II ტური**
ს ვიტ ჯორჯია 0:1

**III ტური**
შ მესხეთი 2:3
გოლები: გ. მიქაძე, ყენია

**IV ტური**
ს ზესტაფონი 0:5

**V ტური**
შ მგლები 0:1

**VI ტური**
შ დილა 1:0
გოლი: ბარბაქაძე

**VII ტური**
ს ოლიმპი 0:1

**VIII ტური**
შ სიონი 1:0
გოლი: იმედაძე

**IX ტური**
ს ბორჯომი 1:2
გოლი: გუშარაშვილი

**X ტური**
შ მერანი 0:2

**XI ტური**
შ დინამო 1:2
გოლი: გუშარაშვილი

**XII ტური**
ს ბათუმი 0:1

**XIII ტური**
ს სპარტაკი 0:2

**XIV ტური**
ს ამერი 1:1
გოლი: ქუცურუა

**XV ტური**
შ ვიტ ჯორჯია 0:1

**XVI ტური**
ს მესხეთი 0:0

**XVII ტური**
შ ზესტაფონი 1:1
გოლი: ალექსიძე

**XVIII ტური**
ს მგლები 0:0

**XIX ტური**
ს დილა 1:1
გოლი: ალექსიძე

**XX ტური**
შ ოლიმპი 0:1

**XXI ტური**
ს სიონი 3:0
გოლები: ალექსიძე, ცქიტიშვილი, დარასელია

**XXII ტური**
შ ბორჯომი 1:0
გოლი: ფარულავა

**XXIII ტური**
ს მერანი 1:0
გოლი: დარასელია

**XXIV ტური**
შ სპარტაკი 2:2
გოლები: ალექსიძე (2)

**XXV ტური**
ს დინამო 5:6
გოლები: ალექსიძე (2), სამხარაძე (2), დარასელია

**XXVI ტური**
შ ბათუმი 4:1
გოლები: ალექსიძე (2), ფარულავა, გ. კვახაძე

ჩელსი

# სკოლარი, მორიგი ფავორიტი?

## არისტოკრატებმა ბაიერნს რიბერი მოჰკითხეს, თანახმაა თუ არა გერმანული გიგანტი ფრანგი ვარსკვლავი ლონდონში სარეკორდო ფასში გაუშვას...

**რიკარდო კარვალიოს** აზრით, "ჩელსის" მთავარ მწვრთნელად ლუიშ ფელიპე სკოლარი უნდა დაინიშნოს. "არისტოკრატების" ცენტრალური მცველი ბრაზილიელთან ერთად პორტუგალიის ნაკრებში მოღვაწეობს. ის სკოლარის ლონდონური გრანდისთვის იდეალურ კანდიდატად მიიჩნევს. "ჩელსის" მილანელი **კარლო ანჩელოტის** გადაბირება სურდა. იტალიელმა მწვრთნელმა როსონერიში დარჩენა გადაწყვიტა. ინგლისური სააგენტოების ცნობით, ახალი ფავორიტი სწორედ სკოლარია.

ვინც არ უნდა დაინიშნოს "ჩელსის" თავკაცად, მას **დიდიე დროგბას** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. კოტდივუარელი თავდამსხმელი "მილანში" მიდის. ამ ტრანსფერზე ოდნავ ქვემოთ მოგახსენებთ. იქამდე კი გავაგრძელოთ "არისტოკრატების" სამწვრთნელო საკითხის განხილვა.

კარვალიო: *"ყველამ იცის, რომ მას (სკოლარის) პორტუგალიის ნაკრებთან კონტრაქტი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ უმთავრდება თუ პორტუგალია თასს მოიპოვებს, შეიძლება, დარჩეს. თუ არა, შეიძლება, პრემიერლიგას მიაშუროს, თუმცა დარწმუნებული არა ვარ. სკოლარი საუცხოო სპეციალისტია. მან იცის, როგორ გააკეთოს გუნდი. მან იცის ადამიანებთან ურთიერთობა. ხანდახან ფეხბურთელებს ეს ძალიან სჭირდებათ. ვნახოთ, მე თუ მკითხავენ, რეკომენდაციას აუცილებლად სკოლარის გავუწევდი."*

თუ ბრაზილიელი სპეციალისტი "ჩელსიში" დაინიშნება, რიკარდო კარვალიო დაუყოვნებლივ გააფორმებს ახალ კონტრაქტს. პორტუგალიელ ვარსკვლავს მადრიდის "რეალი" და "ინტერი" ეპატიჟება. ფეხბურთელი საკლუბო საკითხების განხილვას არ ჩქარობს. ის ევროპის პირველობის დასრულებას ელოდება.

სკოლარის დანიშვნას მიესალმება "ჩელსის" კიდევ ერთი პორტუგალიელი ლეგიონერი, **პაულუ ფერეირა**: *"დიდ კლუბებს არა მხოლოდ დიდი ფეხბურთელები, არამე დიდი მწვრთნელებიც სჭირდებათ. სიამოვნებით ვიმუშავებდი სკოლარისთან. მართალია, ის ხუთი-ექვსი წელიწადია, სანაკრებო დონეზე მოღვაწეობს (სკოლარის სანაკრებო კარიერა, ბრაზილიისა და პორტუგალიის ნაკრებების ჩათვლით, შვიდი წელიწადს მოიცავს), მაგრამ იქამდე არა ერთ კლუბში მუშაობდა. ვიცით, რომ ის კლუბების დონეზეც ძლიერია."*



ლუიშ ფელიპე სკოლარი, ლონდონური გრანდის ერთ-ერთი ფავორიტია

პიროვნება, რომელსაც ახალი მწვრთნელის დანიშვნა ევალება, "ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონია**. მან გასული უქმეები მილანში გაატარა. კენიონი "როსონერისთან" დროგბას ტრანსფერის საკითხს განიხილავდა. 30 წლის თავდამსხმელს ლონდონიდან აბარგება სურს. "არისტოკრატები" მის სანაცვლოდ 30 მილიონ გირვანქას ითხოვენ. ფეხბურთელის ასაკის გათვალისწინებით, ეს ცოტა გადამეტებული მოთხოვნაა. მილანელებს იმედი აქვთ, რომ "ჩელსის" 18 მილიონ გირვანქაზე დაითანხმებენ.

"არისტოკრატები" დროგბას ტრანსფერში აღებულ ფულს სხვა თავდამსხმელის შეძენას მოახმარენ. ესპანური სააგენტოების ცნობით, "ჩელსიში" გადასვლას აპირებს **სამუელ ეტოო**. დროგბას გარდა, "მილანში" მიდის **ანდრეი შევჩენკო**. "დეილი მეილის" ცნობით, ეტოოსთვის გამზადებულია სამწლიანი ხელშეკრულება და ანაზღაურება კვირაში 130 ათასი გირვანქის ოდენობით. სამუელს მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

"ჩელსის" ახალი მწვრთნელი ჯერ არ დაუნიშნავს, თუმცა ეს ხმაურიანი ტრანსფერების დაგეგმვაში ხელს არ უშლის. ლონდონელებმა **ფრანკ რიბერის** დაადგეს თვალი. "არისოტოკრატებმა" "ბაიერნს" გარიგება შესთავაზეს. "დეილი მეილის" ცნობით, გერმანულმა გიგანტმა 31 მილიონი გირვანქა მოითხოვა. "ჩელსი" ფიქრობს. 31 მილიონი არისტოკრატებისთვისაც კი სარეკორდო თანხაა. დღემდე ყველაზე დიდი ფული მათ **ანდრეი შევჩენკოს** ტრანსფერში გადაიხადეს. 2006 წლის ზაფხულში, "ჩელსიმ" "მილანს" 30.8 მილიონი გირვანქა გადაუხადა.

გერმანული სააგენტოები ამ ცნობას არ ადასტურებენ. "კიკერი" "ბაიერნის" გენერალური მენეჯერის, **ული ჰოინესის** კომენტარს ავრცელებს. ენაჭარტალა ული ამბობს, რომ რიბერის გაყიდვა გამორიცხულია. იმავე დეილი მეილში ვკითხულობთ, რომ "ჩელსის" სხვა ორი სამიზნეა მილანელი **კაკა** და ლივერპულელი **ფერნანდო ტორესი**.

"არისტოკრატების" მომავალი მწვრთნელის თემას იტალიური სააგენტოებიც ეხმაურებიან. მათი ცნობით, "ჩელსი" რომაელი **ლუჩანო სპალეტის** კანდიდატურასაც განიხილავს. და თუ **ფრენკ ლემპარდი** გუნდიდან წავა, ლონდონელები **დანიელე დე როსისაც** შესთავაზებენ სარფიან კონტრაქტს. "გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, სპალეტის დანიშვნის შემთხვევაში, "ჩელსის" მეორე მწვრთნელი **ჯანფრანკო ძოლა** გახდება და გუნდი კიდევ ერთ იტალიელ ლეგიონერს - **ალბერტო აკვილანის** გადაიყვანს.

"მირორი" იუწყება, რომ **ეშლი კოულით** "ინტერი" დაინტერესდა. ინგლისელი მიმომხილველები ეჭვობენ, რომ მილანურ გრანდში დანიშნული **ჟოზე მოურინიო** ყოფილი გუნდიდან რამდენიმე ვარსკვლავს წაიყვანს. "მირორი" მისი სასურველი ფეხბურთელების სიაში ინგლისის ნაკრების მარჯვენა მცველსაც განიხილავს. კოულს ლონდონური კონტრაქტი სამი წლის შემდეგ ეწურება. ის 25 მილიონი ევრო ღირს.

"სანის" ცნობით, "ჩელსი" **ჟოაო მოუტინიოს** შეძენას ცდილობს. ამ ფეხბურთელს "მანჩესტერ იუნაიტედი" ეპატიჟება. "მოუტინიო" "სპორტინგის" საკუთრებაა. "იუნაიტედმა" ლისაბონური კლუბიდან ორი ფეხბურთელი - **კრისტიანო რონალდო** და **ნანი** შეიძინა. მას პორტუგალიელებთან უფრო ახლო ურთიერთობა აკავშირებს. ამიტომ მოუტინიოს დასაკუთრების უკეთესი შანსიც აქვს. მაგრამ "ჩელსი" თამაშიდან უბრძოლველად გასვლას არ აპირებს. "სანის" მტკიცებით, "ჩელსი" მზადაა, 21 წლის ფეხბურთელში 21 მილიონი ევრო გადაიხადოს. "სპორტინგი" ნახევარმცველის გაშვებას არ ჩქარობს. ამიტომ მოუტინიოს სანაცვლოდ შვიდი მილიონით მეტს ითხოვს.

ტოტენჰემი

# რამოსმა ბენტლი მოიფიქრა

## ბერბატოვი თუ წავა, ლონდონელები მილიტოს იყიდიან



დევიდ ბენტლი

"ტოტენჰემი" "ბლექბერნის" მარჯვენა გარემარბ **დევიდ ბენტლის** ეპატიჟება. "მამლები" 21 წლის ფეხბურთელს კვირაში 70 ათას გირვანქას სთავაზობენ. გარიგების შემთხვევაში, ბენტლი ლონდონური კლუბის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. ჯერჯერობით, ყველაზე მეტს **რობი კინს**, კაპიტან **ლედლი კინგსა** და ახალწვეულ **ლუკა მოდრიჩს** უხდიან. ისინი კვირაში 60 ათას გირვანქას იხვეჭენ. "ბლექბერნი" ბენტლის სანაცვლოდ 15 მილიონ გირვანქას ითხოვს. "ტოტენჰემი" მზადაა, გადაიხადოს 5 მილიონი, პლუს ვარდებს გადაულოცოს **აარონ ლენონი** და **ჰოსამ გალი**.

"ბლექბერნში" გაურკვევლობა სუფევს. **მარკ ჰიუზის** "მანჩესტერ სიტიში" წასვლის შემდეგ, გუნდს ახალი მწვრთნელი ჯერაც არ დაუნიშნავს. წამყვანი ფეხბურთელები გუნდის დატოვებას ფიქრობენ. მათ შორისაა ბენტლიც. იანვრის ტრანსფერებისას დევიდის შეძენა "ლივერპულმა" დააპირა. მერსისაიდელებმა "ბლექბერნს" 12 მილიონი გირვანქა შესთავაზეს, მაგრამ ცივი უარი მიიღეს. ინგლისის ნაკრების ყოფილ ვარსკვლავს კონტრაქტის გაფორმებისას, შემადგენლობა შეიძლება განახევრებული დახვდეს.

დავუბრუნდეთ "ტოტენჰემს". "მამლები" ყველა ღონეს ხმარობენ **დიმიტარ ბერბატოვის** შესანარჩუნებლად. კლუბი მზადაა, სახელფასო სტრუქტურასაც კი გადახედოს, თუკი ფეხბურთელი ლონდონში დარჩება. სპეკულაციების თანახმად, ბერბატოვს "მანჩესტერ იუნაიტედი", "რეალი" და "ბარსელონა" ეპატიჟებიან. "დეილი მეილის" ცნობით, "მამლები" ფეხბურთელს ახალ კონტრაქტს და კვირაში 70 ათას გირვანქას შესთავაზებს. ტოტენჰემის თავკაცი **ხუანდე რამოსი** თავს იზღვევს და ყოველი შემთხვევისთვის, სარაგოსელი **დიეგო მილიტოს** შეძენასაც გეგმავს. "სარაგოსა" პრიმერა დივიზიონს გამოეთხოვა. არგენტინელი თავდამსხმელის ფასი უცნობია.

### გუდიონსენი: ნიუკასლი ან ვესტ ჰემი

**ეიდურ გუდიონსენი**, სადაცაა, "ბარსელონას" დატოვებს. 29 წლის ისლანდიელი თავდამსხმელი ინგლისში აპირებს დაბრუნებას. მან ორი სარფიანი შეთავაზება მიიღო. "ჩელსის" ყოფილ ფორვარდს "ნიუკასლსა" და "ვესტ ჰემში" ეპატიჟებიან. "ვესტ ჰემმა" მისი შეძენა იანვრის ტრანსფერების დროსაც სცადა, მაგრამ ამაოდ. კატალონიურმა გრანდმა მის მიერ შეთავაზებული 4 მილიონი გირვანქა შორს დაიჭირა. "ნიუკასლის" თავკაცი **კევინ კიგანი ობა მარტინსის** შემცვლელს ეძებს. კიგანს ნიგერიელი ვარსკვლავი აღარ სჭირდება. გუდიონსენმა პრემიერლიგაში ექვსი სეზონი გაატარა და **ჟოზე მოურინიოსთან** ერთად ორჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი.

ბარსელონა

# პირლო და ინძაგი კამპ ნოუზე?



ანდრეა პირლო

"სქაი იტალიის" ცნობით, "ბარსელონა" **ანდრეა პირლოთი** დაინტერესდა. იტალიური სააგენტო ტრანსფერს სავსებით რეალურად მიიჩნევს. საქმე ისაა, რომ პირლო მილანური კონტრაქტით უკმაყოფილოა. გუნდის ლიდერებმა დიდი ხანია, ახალ ხელშეკრულებებს მოაწერეს ხელი და ზღაპრული კონტრაქტები დაიბევეს. "მილანის" ხელმძღვანელობას პირლო ჯერ არ გახსენებია. უფრო მეტიც, მაისის მიწურულს "როსონერიმ" არსენალელი ნახევარმცველი **მატიო ფლამინი** გადაიყვანა და მასაც კი პირლოზე უკეთესი ხელფასი დაუნიშნა.

28 წლის ფეხბურთელი საკლუბო საკითხების განხილვისაგან ჯერჯერობით თავს იკავებს. ის ევროპის ჩემპიონატის დასრულებას ელოდება. "ბარსელონა" კი დროს უქმად არ კარგავს და იტალიელთან საქმის დასაჭერად ემზადება. "სქაი იტალია" იუწყება, რომ პირლოს შეძენა კატალონიელთა ახალმა დამრიგებელმა **ხოსეპ გუარდიოლამ** მოითხოვა. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

"ელ მუნდო დეპორტივოში" ვკითხულობთ, რომ "ბარსელონას" კიდევ ერთი იტალიური ვარსკვლავის შეძენა სურს. საუბარია **ფილიპო ინძაგიზე**, რომლის მილანური ხელშეკრულება დასასრულს უახლოვდება. ინძაგი 34 წლისაა. "ბარსას" მასთან ერთწლიანი ხელშეკრულების გაფორმება უნდა. სპეკულაციების თანახმად, **სამუელ ეტოო** ინგლისში წასვლას აპირებს. კატალონიელებს მისი შემცვლელი დასჭირდებათ. ინძაგი ასაკის გამო საკმაოდ იაფი ელირება. გუარდიოლას სწორედ პიპოს ყაიდის თავდამსხმელი სჭირდება. "ბარსელონელებს" უფრო ძვირი დაუჯდებათ იუვენტუსელი **დავიდ ტრეზეგე**. ესპანური სააგენტოების ცნობით, განიხილება ინტერელი **ხულიო კრუსის** ტრანსფერიც.

### ალვეში კატალონიელია

ამასობაში, "ბარსელონამ" მორიგი ძვირადღირებული ტრანსფერი გაჩარხა. კატალონიურმა გრანდმა "სევილიიდან" **დანიელ ალვეში** გადაიბირა. გარიგების თანახმად, ანდალუსიური კლუბი, კომპენსაციის სახით, არც მეტი, არც ნაკლები, 32 მილიონ ევროს მიიღებს. ბრაზილიელი "კამპ ნოუზე" მომდევნო ხუთ სეზონს გაატარებს. ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაიშალოს, თუ ალვეშს სამედიცინო შემოწმებისას სერიოზული ტრავმა, ან ქრონიკული ავადმყოფობა აღმოაჩნდება. თავად სამხრეთამერიკელი კატალონიელებს არწმუნებს, რომ ხარივით ჯანმრთელია. ალვეში ახალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ელის. მისი თქმით, "ბარსა" მსოფლიოს საუკეთესო კლუბია და მისი ღორსების დაცვა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის უდიდესი პატივია.



დანიელ ალვეში

# EURO 2008

გერმანია

## გერმანიას ლიოვის სჯერა!



პოლონეთის ნაკრებთან გამარჯვება მთელმა გერმანიამ მაგრად იზეიმა. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, პირველივე თამაშში ევროპის თასი დავინახეთო. ალემანთა გადაჭარბებული სიხარული სავსებით ლოგიკურია, რადგან ბოლო 12 წლის განმავლობაში ბუნდესგუნდმა ევროპის ჩემპიონატზე პირველი თამაში მოიგო! 1996 წლის ფინალის შემდეგ (2:1 ჩეხეთთან) ბუნდესნაკრებს კონტინენტის პირველობაზე არცერთი თამაში არ ჰქონდა მოგებული. ევროპის ბოლო ორ ჩემპიონატს გერმანელები ჯგუფურ ეტაპზე გამარჯვების გარეშე გამოეთიშნენ. ახლა კი ყველაფერი სხვაგვარადაა და გერმანელებსაც იმედი გაუჩნდათ.

ჟურნალისტებს **იოახიმ ლიოვის** მიმართ საქებარი სიტყვები არ დაუშურებიათ. იოგიმ ბუნდესგუნდი უკვე 22 თამაშში გაწვრთნა და აქედან 16 შეხვედრა მოაგებინა. ახლა კი, იოგი სამწვრთნელო კარიერის უმნიშვნელოვანესი პერიოდი აქვს. და პირველ თამაშში მან ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც საჭირო იყო.

მაგალითად, ლიოვი ენდო **ლუკას პოდოლსკის**, რომელიც ბევრს უკვე ჩამოწერილი ჰყავდა. ექსპერტები ფიქრობდნენ, რომ პოლდის გერმანიის ნაკრებში ალარაფერი ესაქმებოდა. ლიოვმა კი, ბაიერნელი თავდამსხმელი სულაც ნახევარდაცვაში ათამაშა და ექსპერიმენტმა 100 პროცენტით გაამართლა. პოლდიმ მწვრთნელს ნდობისათვის მადლობა ორი გოლით გადაუხადა. ახლა მას ბუნდესგუნდში უკვე 27 გოლი აქვს გატანილი (49 თამაშში). და ნამდვილად არ არის გამორიცხული, რომ ევრო 2008 პოდოლსკის ტურნირი გახდეს.

ლიოვი ისევ ენდო ძველ დაცვას - **მეტცელდერისა** და **მერტეზაკერის** დუეტს. რაც მთავარია, გერმანიას გოლი არ გაუშვია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მეტცე-მერტეს დუეტი დღესაც ისეთივეა, როგორიც 2006 წლის მუნდიალზე იყო, რადგან მთელ რიგ მომენტებში აშკარად გამოჩნდა, რომ პერიც და კრისტოფიც საუკეთესო ფორმაში არ არიან. ეს განსაკუთრებით ამ უკანასკნელზე ითქმის, რომელსაც გასულ სეზონში, მადრიდის "რეალის" შემადგენლობაში სათამაშო პრაქტიკა ფაქტობრივად არ ჰქონია.

გავაგრძელოთ: ლიოვმა **ბასტიან შვაინშტაიგერი** სათადარიგოთა სკამზე დატოვა და მის ნაცვლად **კლემენს ფრიტცი** ათამაშა, რომელმაც დაკისრებულ ამოცანას თავი ძალიან კარგად გაართვა (შეფასება: 2 ბალი). იოგიმ შვაინი მოედანზე 55-ე წუთზე შეიყვანა ამ ცვლილებამაც გაამართლა: ბასტიანმა მეორე გოლის დროს, ბურთისთვის ბოლომდე იბრძოლა და პოდოლსკის დუბლი მისი დამსახურებაცაა.

ხუთშაბათს გერმანელებს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი აქვთ ხორვატიასთან და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდის ვინაობას სწორედ ეს შეხვედრა გაარკვევს. პირველ ადგილზე გასვლა კი, გერმანელებისთვის იმის გამოა აუცილებელი, რომ იოგის გუნდი მეოთხედფინალში პორტუგალიას ასცდეს.

**გოტფრიდ ლენცი**

კაიზერის მოსაზრება

## ბეკენბაუერი: არავისი არ უნდა გვეშინოდეს!

### ამ გუნდით ევროპის ჩემპიონობა შესაძლებელია

გერმანიისა და პოლონეთის მატჩში 1:0 ვიწინასწარმეტყველე, რა თქმა უნდა, ჩვენს სასარგებლოდ. ისიც ვთქვი, **მიხაელ ბალაკი** ამ ერთადერთ გოლს 89-ე წუთზე გაიტანს-მეთქი. საბედნიეროდ, უფრო დიდი ანგარიშით მოვიგეთ და ის, რომ სამ ქულას ჩავიჯიბავდით, გაცილებით ადრე გადაწყდა, ვიდრე მეგონა. ერთი სიტყვით, ისე აღარ ვინერვიულეთ, როგორც 2006 წლის მუნდიალზე, როცა პოლონეთს ბოლო წამს გატანილი გოლით (**ნოივილი**) მოვუგეთ.

აუცილებლად უნდა ვთქვა: ჩემი აზრით, ეს იყო იდეალური დასაწყისი და ევროპის ჩემპიონატზე დღემდე ჩატარებულ მატჩებს შორის საუკეთესო შეხვედრა. ამ თამაშის შემდეგ თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ გერმანიას არავისი არ უნდა ეშინოდეს - არც საფრანგეთის, არც იტალიის, არც ჰოლანდიის და ა.შ. დიახ, იოახიმ ლიოვის გუნდმა ყველას დაუმტკიცა, რომ ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია. მე კი აღფრთოვანებული ვარ!

ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ: პოლონელებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს და ეს სამი ქულა გერმანიას იოლად არ მოუპოვებია. ხუთშაბათს, ხორვატიასთან კი, ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლისთვის უნდა ვიბრძოლოთ. სასურველია, რომ მეოთხედფინალში პორტუგალიას ავცდეთ. თუმცა ჩემი აზრით, წინასწარი გამოთვლები უადგილო და უაზროა. გერმანიის ნაკრები ნებისმიერ მეტოქეს უნდა დაუდგეს.

ჰო, მატჩის გმირი **ლუკას პოდოლსკი** იყო, მაგრამ პირადად მე გერმანიის ნაკრებში სუსტი რგოლი ვერ შევნიშნე. ცხადად გამოჩნდა, რომ ლიოვმა გუნდი შესანიშნავად მოამზადა. მოკლედ, ამ გუნდით ევროპის ჩემპიონობა შესაძლებელია.

**ფრანც ბეკენბაუერი,**
ბილდი

ინტერვიუ ფაბიო კაპელოსთან

## საფრანგეთი, გერმანია, იტალია და რომელიმე იბერიული ნაკრები

### კაპელოს აზრით, დღევანდელი ბუნდესგუნდი წინანდელზე ძლიერია. მაესტრო სიურპრიზს რუმინეთისგან ელოდება

**ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ფაბიო კაპელო შვებულებაშია და ევროპის ჩემპიონატს მშვიდად ადევნებს თვალს. ავსტრია/შვეიცარიაში ის რამდენიმე მატჩს დაესწრება. "გაძეტა დელლო სპორტმა" დიდ მაესტროს აზრის გაზიარება სთხოვა...**

**- კაპელო, რა მისიით ბრძანდებით ევროპის ჩემპიონატზე?**

- ჩემი ამოცანაა, მომავალ საკვალიფიკაციო ციკლში ინგლისის ნაკრების მეტოქეებს დავაკვირდე. ხორვატიის ნაკრები ჩვენს ჯგუფშია და ვთვლი, რომ მთავარი კონკურენტიც იქნება. მათი მონაწილეობით ჯგუფური ეტაპის სამივე მატჩს ვნახავ, ხოლო თუ პლეიოფში გავიდნენ, აქ დავრჩები და ხორვატებს ბოლომდე მივადევნებ თვალს.

**- იტალიის ნაკრების მატჩებს არ ნახავთ?**

- მხოლოდ ტელევიზორში.

**- თქვენი აზრით, ვინ არის ჩემპიონატის ფავორიტი?**

- საფრანგეთი, გერმანია, იტალია და რომელიმე იბერიული ნაკრები: ესპანეთი ან პორტუგალია.

**- და იტალია გავა C ჯგუფიდან?**

- ინგლისში ამ კვარტეტს "სიკვდილის ჯგუფი" უწოდეს. იმედიც მაქვს და მჯერა კიდეც, რომ იტალია შორს წავა. თუმცა სამივე მეტოქე ძლიერია და სახიფათო, განსაკუთრებით, საფრანგეთი.

**- რაიმონ დომენეკის საფრანგეთმა თქვენს ინგლისს პარიზში 1:0 მოუგო...**

- ეს იყო მარტში. ინგლისმა წააგო მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებთან, ისიც პენალტით. საფრანგეთი ყოველთვის სახიფათო გუნდია. ეს არის გუნდი, რომელსაც ინდივიდუალურად და გამოცდილებით უალრესად მდიდარი ფეხბურთელები ჰყავს. ისინი ელოდებიან ხელსაყრელ მომენტს, რათა კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ და მძიმე დარტყმა მოგაყენონ. საფრანგეთს უამრავი სხვა ღირსებაც აქვს და ამიტომაცაა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი წონადი ფავორიტი.

**- მაგრამ ტურნირზე არ წაიყვანეს დავიდ ტრეზეგე, გაელ კლიში, მატიო ფლამინი კი მხოლოდ იმისთვის ჰყავდათ, რომ საჭიროების შემთხვევაში, რომელიმე ტრავმირებული მოთამაშე შეეცვალა...**

- რა ბედნიერია დომენეკი! ბედნიერია იმიტომ, რომ ამხელა არჩევანი აქვს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ჰოლანდია და რუმინეთიც. ყველამ იცის მათი ძალა, მეტადრე ჰოლანდიის. ძალიან საინტერესო ნაკრები ჰყავს რუმინეთსაც. გახსოვთ, რა ლაღად გაიარა შესარჩევი ციკლი? რუმინეთს საკმაოდ ძლიერი კოზირები აქვს და ნებისმიერი მეტოქის განბილება შეუძლია. ასე რომ, იტალიის ნაკრებს მძიმე თამაშები ელის. თუმცა ჯგუფი თანაბრად რთულია დანარჩენი სამი გუნდისთვისაც.

**- რამდენად სერიოზული დარტყმაა "სკუადრა აძურასთვის" ფაბიო კანავაროს ტრავმა და ელოდით, რომ რობერტო დონადონი ევროპის ჩემპიონატზე ანტონიო კასანოსა და ალესანდრო დელ პიეროს წაიყვანდა?**

- დონადონის კარგად ვიცნობ. ის არ არის მწვრთნელი, რომელიც ფეხბურთელებს ნაკრებში პირადი სიმპათიების მიხედვით იწვევს. ვიტყოდი, რომ მის ხელთაა კარგად დაბალანსებული გუნდი. დელ პიერო და კასანო? და რატომ იყო მოულოდნელი მათი წაყვანა? ორივეს ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა. რაც შეეხება კანავაროს... მისი ტრავმა უკვე ფაქტია და დონადონი ვერაფერს შეცვლის. ვფიქრობ, ის მონახავს დაცვაში სწორ არჩევანს. მისთვის რჩევების მიცემას კი ნამდვილად არ ვაპირებ, რადგან ეს არც სჭირდება. დომენეკის არ იყოს, მასაც მდიდარი არჩევანი აქვს.



ისე, კანავარო რომ შინ არ დაბრუნდა და გუნდთან ერთად რჩება, ესეც კარგია. ბიჭებს მისგან გამხნევება არ მოაკლდებათ. კანავარო ძლიერი პიროვნებაა და მოედანზე იქნება თუ მის მიღმა, ყოველთვის დიდ ფიგურად რჩება.

**- რას იტყვით გერმანიის ნაკრების შანსებზე?**

- დარწმუნებული ვარ, გერმანიის ნაკრები ხორვატებთან ერთად ჯგუფიდან გავა. ავსტრიას შინაური კედლების ფაქტორი ვერ დაეხმარება, ამ გუნდს კლასი აკლია. აი, პოლონეთი კი იბრძოლებს... მაგრამ საქმე ისაა, რომ ხორვატიას უკეთესი მოთამაშეები ჰყავს. გასაგები მიზეზების გამო, გერმანიის ნაკრებიც ტურნირის ერთ-ერთი "მასპინძელია", თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში.

**- მიუხედავად იმისა, რომ გერმანული კლუბები ჩემპიონთა ლიგაში წარმატებებს ვერ აღწევენ, არ შეიძლება პარალელის გავლება ეროვნულ გუნდთან. ასე არ არის?**

- იცით, როცა ფეხბურთელი ნაკრების მაისურას იცმევს, სხვანაირი ხდება. უფრო მეტს და უკეთ მუშაობს, ვიდრე კლუბებში. მე ვნახე გერმანიის ნაკრების რამდენიმე მატჩი და შემიძლია ვთქვა, რომ იოახიმ ლიოვის გუნდი უფრო ძლიერია, ვიდრე იურგენ კლინსმანისა, რომელიც ბოლო მუნდიალზე მონაწილეობდა. თანაც, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებს შორის სერიოზული სხვაობაა.

**- ბოლოს და ბოლოს, შეუძლია ესპანეთის ნაკრებს წარუმატებელი ციკლის დაძლევა?**

- ჩვეულებრივი კითხვა, რომელსაც ყოველი დიდი ტურნირის წინ მიმომხილველები სვამენ ხოლმე. ისე, მართლაც საინტერესოა, ესოდენ მაღალი რანგის შემსრულებლებით, რომელიც ესპანეთს არასოდეს აკლია, გუნდი ნახევარფინალამდეც ვერ აღწევს. ჩემი აზრით, პრობლემა ფსიქოლოგების სფეროს განეკუთვნება. როგორც ჩანს, ძლიერი მეტოქეების წინაშე ისინი სიმყარესა და საკუთარ ძალებში რწმენას კარგავენ. მე ვფიქრობ, ესპანეთს ევროპაში ყველაზე ძლიერი შუა ხაზი ჰყავს, სესკ ფაბრეგასის, ჩავი ერნანდესისა და ანდრეს ინიესტას შემადგენლობით. ახლა ვნახოთ, ვინ თამაშობს წინ? ფერნანდო ტორესი, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი... შესაძლოა, ესპანელებმა სწორედ ამ ჩემპიონატზე გატეხონ ნავსი.

**- ხომ არ გგონიათ, რომ ესპანეთი და ინგლისი რაღაცით ჰგვანან ერთმანეთს?**

- არის პრობლემები, რომელიც ორივე ნაკრებს აწუხებს... მაგრამ ინგლისის ეროვნული გუნდი აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

**- რა აზრის ხართ პორტუგალიის ნაკრებზე? ზედმეტად ხომ არ არის ეს გუნდი დამოკიდებული კრისტიანო რონალდოზე?**

- მე ვფიქრობ, პორტუგალია მარტო რონალდო არ არის. როგორ გგონიათ, დეკუმ რომ არ ითამაშოს, არ დაეტყობა გუნდს? ლუიშ ფელიპე სკოლარის ბრწყინვალე ანსამბლი ჰყავს. ყველა რგოლში არიან საკვანძო მოთამაშეები და დაცვაც შესანიშნავადაა ორგანიზებული. ბურთის ფლობის ხელოვნებით ისინი ესპანეთს არაფრით ჩამოუვარდებიან. დიახ, არის პრობლემები შეტევაში, მაგრამ თუ კრისტიანო რონალდო იმდენს გაიტანს, რამდენიც "მანჩესტერ იუნაიტედში" გაჰქონდა, მაშინ ეს პრობლემაც გადაიჭრება.

**- ვინ შეიძლება გაიბრწყინოს ევროპის ჩემპიონატზე?**

- ფრანგებში ფრანკ რიბერიმ, პორტუგალიელთა შორის კრისტიანო რონალდომ, ესპანელებში ფერნანდო ტორესმა... იტალიის ნაკრების ლიდერები ლუკა ტონი და ანდრეა პირლო იქნებიან, ასევე ჯანლუიჯი ბუფონი, რომელიც "აძურასთვის" ყოველთვის ბევრს ნიშნავს და თავისი მისია ამ ჩემპიონატზეც უნდა შეასრულოს.

**- ალბათ, ევროზე არც მოულოდნელობების გარეშე იქნება. ვისგან ელით სიურპრიზს?**

- უკვე ვთქვი, რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო რუმინეთთან. და მოდით, არ დაგვავიწყდეს მოქმედი ჩემპიონი საბერძნეთიც. ბევრი ამბობს, წინა პირველობა ბერძნებმა იტალიური "კატენაჩოს" წყალობით მოიგესო. მაგრამ, მე მათ ვეკითხები: ხომ მოიგეს? ხომ გახდნენ ევროპის ჩემპიონები? რა მნიშვნელობა აქვს, როგორ მიაღწიე ამას? დამარცხებული ასპარეზს ტოვებს, გამარჯვებული კი კვარცხლბეკზე ადის. მორჩა და გათავდა. გამარჯვება ერთადერთია, რასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ასე იყო ყველა ეპოქაში და ასეა ახლაც.

# EURO 2008

# უიდეო, უაზრო, უმაქნისი საფრანგეთი

## პიცურკას, თურმე, სამი ქულა უნდოდა

**C ჯგუფი**

**რუმინეთი-საფრანგეთი 0:0**

9 ივნისი. ციურიხი

**რუმინეთი:** ლობონტი, კონტრა, ტამაში, გოიანი, რატი, რადოი (93. დიკა), კოკისი (63. კოდრეა), კივუ, ნიკოლიტა, მუტუ (78. მ. ნიკულაე), დ. ნიკულაე

**საფრანგეთი:** კუპე, სანიოლი, ტურამი, გალასი, აბიდალი, ტულალანი, მაკელელე, რიბერი; მალუდა, ანელკა (72. გომისი), ბენზემა (78. ნასრი)

**მაყურებელი:** 30 000

**მსაჯი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 3 | **გაფრთხილება** | 1 |
| 6 (2) | **დარტყმა** | 11 (3) |
| 18 | **ჯარიმა** | 20 |
| 3 | **კუთხური** | 3 |
| 46% | **ბურთის ფლობა** | 54% |

ესეც ევროპის ჩემპიონატის პირველი სენსაცია: ფავორიტმა საფრანგეთის ნაკრებმა, რომელსაც ჯგუფში იტალია და ჰოლანდიაც ჰყავს, აუტსაიდერად შერაცხულ რუმინეთს ვერ მოუგო - 0:0. საფრანგეთს დიდი ტურნირების მძიმედ დაწყება სჩვევია - ეს ტენდენცია განსაკუთრებით ბოლო წლებში შეინიშნება. **რაიმონ დომენეკის** შეგირდებმა 2006 წლის მუნდიალიც ძალიან მძიმედ დაიწყეს და თუ გახსოვთ, "მამლების" ჯგუფიდან გასვლის საკითხი ორი წლის წინათ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. მაგრამ ისიც გეხსომებათ, რომ მაშინ ფრანგები ფინალში გავიდნენ...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ "სიკვდილის ჯგუფის" პირველმა შეხვედრამ გულშემატკივრების მოლოდინი ვერ გაამართლა. ფრანგები უტევდნენ, მაგრამ იმდენად უიდეოდ და უაზროდ, რომ დაცვაში კომპაქტურად ჩამდგარ რუმინელებს ფაქტობრივად ვერაფერი დააკლეს. ამრიგად, ევრო 2008-ზე უგოლო ფრე პირველად დაფიქსირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი ტურის შემდეგ მეოთხედფინალში გასვლის შანსს ორივე გუნდი ინარჩუნებს.

რუმინელებს შორის ყურადღების ცენტრში **ადრიან მუტუ** გახლდათ, რომელიც თანაგუნდელთა იერიშების სულისჩამდგმელი უნდა ყოფილიყო და რომელსაც ზურგს საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გამწესებული, გამოცდილი **კრისტიან კივუ** უმაგრებდა. რუმინელთა მთავარმა მწვრთნელმა **ვიქტორ პიცურკამ** მაინც დაიხმარა მცველი **გოიანი**, რომელმაც ტრავმის მოშუშება ბოლო წამს მოასწრო. ფრანგებმა კაპიტანი **პატრიკ ვიეირა** ვერ დაიხმარეს. დომენეკმა ძირითად შემადგენლობაში ვერც **ტიერი ანრი** გაამწესა - ტრავმის გამო. "ბარსას" ფორვარდის ნაცვლად სასტარტოში **ნიკოლა ანელკა** ვიხილეთ, რომელსაც დომენეკმა **კარიმ ბენზემა** შეუწყვილა. ძირითად შემადგენლობაში ითამაშა **ტურამმაც**, რომლისთვისაც ეს რიგით მე-15 მატჩი გახლდათ ევროპის ჩემპიონატზე, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოცდილმა მცველმა ახალი რეკორდი დაამყარა.

ფრანგებმა პირველ წუთებზე რუმინელთა დაცვის გარღვევა სწრაფი შეტევებით სცადეს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში არაზუსტ პასებს აკეთებდნენ. მერე, თანდათანობით დამშვიდნენ და სწრაფი კომბინაციების ნაცვლად, ფრთხილი შეტევები შემოგვთავაზეს, რამაც მატჩი მოსაწყენი გახადა. რისკზე წასვლა არც რუმინელებს უცდიათ. რიბერი და მალუდა მეტოქის ფლანგის მცველებს წნეხის ქვეშ ვერ აქცევდნენ. მოედნის ცენტრში კი რუმინელები ძალიან მაგრად იდგნენ.

ამიტომაც, პირველი სახიფათო მომენტები მხოლოდ მე-18 წუთზეღა შეიქმნა, მაგრამ ვერც **მალუდამ** და ვერც ანელკამ კარისკენ ხეირიანად ვერ დაარტყეს. რუმინელების შეტევები მხოლოდ ერთი ფეხბურთელისკენ იყო მიმართული (მუტუ), დომენეკის გუნდს კი შეტევაში რაღაც აკლდა, ან ვიღაც, მაგალითად **ზიდანი**...

ანელკას თავური რიბერის ჩაწოდების შემდეგ (33), დარტყმა მეტ-ნაკლებად შორი დისტანციიდან (37) და რიბერის დარტყმა, რომლის შემდეგაც ბურთი რუმინელთა კარის ბადეს გარედან მოხვდა (37) - პირველ ტაიმში ფრანგების მონაგარი სულ ეს იყო.

მეორე ნახევარში მომხვდურები ოდნავ გააქტიურდნენ. რუმინელები ყრუ დაცვაში აღარ იდგნენ, მაგრამ **კუპეს** კარს მხოლოდ და მხოლოდ ორჯერ დაემუქრნენ - მუტუმ ორი უშედეგო ჯარიმა დაარტყა (48, 52). პიცურკას შეგირდებს მეტი არაფერი შემოუთავაზებიათ. 50-ე წუთზე მალუდამ სცადა შორიდან გატანა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა - ფრანგები რუმინელთა დაცვაში ხვრელებს ამაოდ ეძებდნენ. ერთადერთი ხვრელი რიბერიმ აღმოაჩინა, როდესაც ბენზემა გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ ამ უკანასკნელმაც ვერ ივარგა (58). საფინალო სასტვენამდე 20 წუთით ადრე დომენეკს თავისი გუნდის უნიათობა ყელში ამოუვიდა და მოედანზე **ნასრი-გომისის** დუეტი შეუშვა (ამ უკანასკნელმა ბოლო ტესტმატჩში დუბლი შეასრულა), მაგრამ შედეგი არც ამ ცვლილებებმა გამოიღო. რუმინელებმა დამსახურებული ქულა მოიპოვეს და შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფის აუტსაიდერის კვალობაზე ევროპის ჩემპიონატი საკმაოდ კარგად დაიწყეს, რასაც ფრანგებზე ნამდვილად ვერ ვიტყვით.

### მატჩის შემდეგ

**ვიქტორ პიცურკა** (რუმინეთი): "ვფიქრობ, შედეგი სამართლიანია. ფრის შემდეგ მეოთხედფინალში გასვლის შანსს ორივე გუნდი ინარჩუნებს. არ დაგიმალავთ, სამი ქულისთვის ვიბრძოდით, მაგრამ ფრითაც კმაყოფილი ვარ."

**რაიმონ დომენეკი** (საფრანგეთი): "ორი ქულა დავკარგეთ, ეს ძალიან ცუდია. სამწუხაროდ, ვერაფერი გავახერხეთ. რუმინეთთან ფრეს, შესაძლოა, ჩვენთვის ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვეს."

**გოტფრიდ ლენცი**

# ტოტალური ფეხბურთის დაბრუნება

## ჰოლანდიამ ევროპა გაანათა. დონადონიმ ახლა საკუთარი ნაკრებიც უნდა დაამარცხოს

**C ჯგუფი**

**ჰოლანდია-იტალია 3:0**

9 ივნისი. ბერნი

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ოოიერი, მატიისენი, ბულარუზი (77. ჰეიტინგა), ვან ბრონკჰორსტი, ენგელაარი, სნეიდერი, დე იონგი, კუიტი (81. აფელაი), ვან დერ ვაარტი, ვან ნისტელროოი (70. ვან პერსი).

**იტალია:** ბუფონი, პანუჩი, ბარძალი, მატერაცი (55. გროსო), ძამბროტა, ამბროზინი, გატუზო, პირლო, კამორანეზი (75. კასანო), დი ნატალე (64. დელ პიერო), ტონი.

**გოლები:** 1:0 ვან ნისტელროოი (26), 2:0 სნეიდერი (31), 3:0 ვან ბრონკჰორსტი (79)

**მაყურებელი:** 31 783

**არბიტრი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 1 | **გაფრთხილება** | 3 |
| 16 (11) | **დარტყმა** | 13 (6) |
| 19 | **ჯარიმა** | 11 |
| 3 | **კუთხური** | 5 |
| 50% | **ბურთის ფლობა** | 50% |


ვან ნისტელროის თამაშგარე გოლი

მოსაწყენი რუმინეთი-საფრანგეთის შემდეგ, ჰოლანდიამ ევროპის ჩემპიონატი გაანათა და პირველი მსუყე ევრსიურპრიზიც შემოგვთავაზა. მაგრამ სიურპრიზი განა იმიტომ, "ნარინჯისფრებმა" გაიმარჯვეს, არამედ იმიტომ, თუ როგორ გაიმარჯვეს, იმიტომ, თუ როგორი დაძაბუნებული, დამძიმებული და უთავბოლო იყო იტალიის ნაკრები მატჩის უმეტესი დროის განმავლობაში. 3:0 "სკუადრა აძურასთვის", მით უმეტეს, ამ რანგის ტურნირში და თან პირველ მატჩში, თითქმის კატასტროფის ტოლფასია. ბოლოს იყო 1:4 ბრაზილიისგან, 1970 წლის მუნდიალის ფინალში. თუმც ისტორიას ისიც ახსოვს, როგორ უმატებს ხოლმე იტალია ჩემპიონატის მსვლელობისას, მაგრამ დაგვეთანხმებით, ახლა განსაკუთრებული შემთხვევაა.

არ ვიცი, რა ძალა უნდა გამონახოს **რობერტო დონადონიმ** გუნდის შიგნით, რომ დარჩენილი ორი თამაში მოიგოს და ჯგუფიდან გავიდეს. შესაძლოა, იტალიელებს ერთი გამარჯვება და ფრეც ეყოთ პლეიოფში გასასვლელად, მაგრამ წინ მათ ცბიერი რუმინეთი და პრინციპული მეტოქე საფრანგეთი ჰყავთ (ამ გუნდების გუშინდელმა უსახურმა ფრე შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს, ორივეს შეუძლია მომატება). ისე კი, მსოფლიო ჩემპიონებისთვის ორ მატჩში 4 ქულა რეალურია, მაგრამ დონადონის წინ ახლა სამმაგად რთული ამოცანა აქვს: მან არა მარტო მეტოქეები, არამედ საკუთარ გუნდიც უნდა დაამარცხოს. დიახ, უნდა დაამარცხოს ის ფსიქოლოგიური შოკი, რომელშიც "აძურა" გუშინდელი კოშმარის შემდეგ აღმოჩნდა...

ჰოლანდიამ კი 90 წუთით დაგვაბრუნა 70-ანი წლების "ტოტალური ფეხბურთში", იმ ფეხბურთში, რომლის პირმშოც თავადაა, ხოლო **მარკო ვან ბასტენი**, ასე მგონია, დიდი **რინუს მიხელსის** საქმის გამგრძელებელი ჩანს. დღევანდელ ჰოლანდიას რომ უყურებთ, ეს არის ახალგაზრდული და მზარდი კრებული, რომლისთვის ეს ევროპა იმ (2010) მუნდიალისთვის ტრამპლინად გამოდგება. აღმოჩნდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მარკოს ბრწყინვალედ უმუშავია. ჩვენ ვნახეთ საოცარი ეფექტი როგორც შეტევაში, ისე კონტრშეტევაში. ეგ არის, რომ ემოციამ არ უნდა გადაძალოს, თორემ თუ ამას მოერია, ჰოლანდია მინიმუმ ფინალში ჩანს. მომავალ მატჩებში "ტიტებს" ცივი გონება უფრო დასჭირდებათ. აქ გამოჩნდება ვან ბასტენის, ახლა როგორც ფსიქოლოგის ნიჭი...

დონადონის რაც შეეხება. ალბათ, ის შეცდა, როცა ნახევარდაცვა "ბებერ" მილანელებზე ააგო. თანაც, **პირლოს, ამბროზინისა** და **გატუზოს** ყოველმხრივ წარუმატებელი სეზონი ჰქონდათ. უკეთესი იქნებოდა, ერთ-ერთის ნაცვლად მოძრავი და გონიერი **დე როსი** დაეყენებინა. სხვათა შორის, მატჩის წინ სწორედ ამას ურჩევდნენ მწვრთნელს იტალიელი მიმომხილველები. და სწორედ ამ ინერტული სამეულის ბრალი იყო, რომ ჰოლანდია იოლად ანგრევდა მოედნის ცენტრში აღმართულ ფსევდობარიერს...

არანაკლებ გაუგებარი იყო ცვლილებები, რომელიც "დონმა" მეორე ტაიმში განახორციელა. **ძამბროტასა** და **პანუჩის** ფლანგები შეუცვალა, **მატერაცის** ნაცვლად კი გამოიყვანა **გროსო,** რომელსაც, რატომღაც, ფლეიმეიქერის ფუნქციები ჩააბარა. ისე, გროსოს შეეძლო, ორი წლის წინანდელის დარად გმირი გამხდარიყო, მაგრამ ასპროცენტიაში შანსი ვერ გამოიყენა, ისევე, როგორც **ტონიმ.** მერე იყო **დელ პიეროს** ჯარიმა, რომელიც **ვან დერ სარმა** სასწაულით მოიგერია. და ამ ხუთწუთიან მონაკვეთში განიავებული შანსების გამო, "აძურა" მესამედ **ვან ბრონკჰორსტმა** დასაჯა. ამ უკანასკნელმა მეორე გოლშიც დაიდო ლომის წილი. ეს იყო ქრესტომათიული კომბინაცია. ვან ბრონკჰორსტის შორეული პასი **კუიტმა** მიიღო და **სნეიდერს** დაუგდო თავით, ამან კი შემობრუნებით დასცხო ახლო კუთხეში. **ბუფონი** კი... ისე, ბუფონთან იტალიელებს ბევრი არაფერი აქვთ სასაყვედურო. ჯიჯიმ ორ-სამ ეპიზოდში იხსნა იტალია. გახსოვთ, **ვან ნისტელროისთან** პირისპირ რომ დარჩა?

მთავარი ბოლოსთვის შემოვინახეთ: ჰოლანდიის პირველი გოლი. ვან ნისტელროოი ლამის ორი მეტრით წინ იყო ბოლო იტალიელ მცველზე. რა თქმა უნდა, ეს თავადაც შენიშნა. როცა სიხარულით კუნტრუშს მოჰყვა, აკი ცალი თვალი არბიტრისკენ ეჭირა და ცალითაც ლაინსმენს უმზერდა. ალამი არ აღმართულა, მთავარმა განმსჯელმა კი ხელი ცენტრისკენ გაიშვირა...

ამასთან დაკავშირებით, სპეციალისტის კომენტარს ქვემოთ გთავაზობთ, აქ კი იმას ვიტყვი, რომ დროა, შვედი არბიტრი **პეტერ ფროიდფელდტი**, თავის ლაინსმენიანად, ჩემოდნებს ალაგებდეს. მათ ევროპის ჩემპიონატზე არაფერი ესაქმებათ. რა თქმა უნდა, იტალია დიდხანს ილაპარაკებს ამ გოლზე....მაგრამ გულახდილად ვთქვათ, უფრო მეტი ლაპარაკი მათ საკუთარ შეცდომებზე მართებთ.

### მატჩის შემდეგ

**მარკო ვან ბასტენი** (ჰოლანდია): *"უბედნიერესი და ამაყი ვარ. ჩვენ ხომ მსოფლიო ჩემპიონები დავამარცხეთ, თან როგორი ანგარიშით. ეს უდავოდ ისტორიული ფაქტია, თუმც მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ახალი ერის დასაწყისი? ჯერ არ ვიცი. ნუ ვიჩქარებთ. მხოლოდ ერთი მატჩი მოვიგეთ. დარწმუნებული ვარ, მომატებაც შეგვიძლია. ესოდენ ძლიერი მეტოქის ძლევა ბიჭებს სტიმულით ალავსებს. მინდა, თითოეულ ფეხბურთელს მადლობა გადავუხადო. ვერ ვიტყვი, რომ ვინმემ ცუდად ითამაშა, პირიქით, მთელი გუნდი შესანიშნავი იყო. და დიდი მადლობა ჩვენს გულშემატკივარსაც, რომლისგანაც საოცარი მხარდაჭერა ვიგრძენით".*

**რობერტო დონადონი** (იტალია): *"სამწუხაროდ, ძალიან ცუდად ვითამაშეთ, ჰოლანდიამ კი პირიქით, გაცილებით მეტი აჩვენა, ვიდრე ველოდით. როცა მეტოქეს გოლის გატანის შანსებს აძლევ, მარცხი აღარ უნდა გაგიკვირდეს. პირველ გოლზე თამაშგარე ჩანდა... მაგრამ ამას ვეღარ ვუშველით. მეორე ტაიმში უკეთ გამოვიყურებოდით. გამოჩნდა, რომ ფიზიკურად ძლიერი გუნდი გვყავს. ოპტიმისტი ვარ და ვთვლი, რომ ჯერ არაფერია დაკარგული. მთავარია, ეს მარცხი სასწრაფოდ დავივიწყოთ და მომდევნო შეხვედრებისთვის მშვიდად მოვემზადოთ".*

**პაატა გელაშვილი**

### სპეციალისტის კომენტარი

ვან ნისტელროის საკამათო გოლთან დაკავშირებული აყიოტაჟის გამო, კომენტარი ქართველ სპეციალისტს, საერთაშორისო რანგის ცნობილ არბიტრს ვთხოვეთ. მიუხედავად იმისა, რომ მან, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზის გამო, ვინაობის გამხელა არ ისურვა, მისეულ განმარტებას მაინც გთავაზობთ:

*"ვან ნისტელროის გოლი არ უნდა ჩათვლილიყო. იტალიელი ფეხბურთელი (პანუჩი - რედ) პირით ხაზს იქით სათამაშო ეპიზოდის გამო, ინერციით აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში, ის მოედანზე მყოფ ფეხბურთელად ვერ ჩაითვლებოდა და, შესაბამისად, ვან ნისტელროიზე აშკარა თამაშგარე მდგომარეობა უნდა დაფიქსირებულიყო. კიდევ ვაზუსტებ: ფეხბურთელს თავისი სურვილით, თუნდაც ტრავმის გამო რომ დაეტოვებინა მოედანი, მაშინ ის მოედანზე მყოფ მოთამაშედ ჩაითვლებოდა და ასეთ შემთხვევაში, თამაშგარე აღარ დაფიქსირდებოდა".*

EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰიდინკი არაგონესს თავგზას უბნევს

**D ჯგუფი**

**ესპანეთი-რუსეთი**

10 ივნისი. ინსბრუკი. 20:00

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ესპანეთი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, პუიოლი, მარჩენა, კაპდევილა, მარკოს სენა, ინიესტა, ჩავი, სილვა, ფერნანდო ტორესი, ვილია (ან დანი გუისა).

**რუსეთი:** აკინფეევი, ანიუკოვი, კოლოდინი, შიროკოვი, ჟირკოვი, სემაკი, ზირიანოვი, სემშოვი, ბილიალეტდინოვი, სიჩოვი, პავლიუჩენკო.

**არბიტრი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია)

ესპანეთის ნაკრები რუსეთთან სათამაშოდ დიდი ხნის განმავლობაში გამალებით ემზადებოდა. "სელექსიონი" ამ შეხვედრას მეტ-ნაკლებად სერიოზული პრობლემებით ხვდება. ამ პრობლემებს ფეხბურთელების გადაღლილობა და **ლუის არაგონესის** დაბალი კვალიფიკაცია თუ ჯიუტი ხასიათი განაპირობებს. შესაძლოა, ვინმე შეგვეკამათოს, მაგრამ აშკარაა, რომ პირენეელთა თავკაცი სალი იდეების ნაკლებობას განიცდის. მას რთულ დროს ეროვნული გუნდის თამაშის რადიკალურად გადაწყობა არ ეხერხება ხოლმე. ასე თუ ისე, "სელექსიონი" ევროპის ჩემპიონატის წინ საკმაოდ მძიმედ გამოიყურებოდა. შეგახსენებთ, პერუსა და აშშ-ის ნაკრებების წინააღმდეგ ესპანელებმა ძალიან უსახურად ითამაშეს. მართალია, ორივე მატჩი მოიგეს, მარამ სპეციალისტებს უამრავი კითხვა გაუჩნდათ. წამყვანი გაზეთების მიმომხილველები დარწმუნებულები არიან, რომ ეს პრობლემები რუსეთთან დაპირისპირებაშიც იჩენს თავს. პირენეელთა მდგომარეობას საკადრო პრობლემებიც ართულებს. პირველ ყოვლისა, **დავიდ ვილიას** შესახებ უნდა ითქვას. მოგეხსენებათ, "ვალენსიის" ფორვარდმა ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო. ახლა ყველას აინტერესებს, შეძლებს თუ არა ვილია სადებიუტო პაექრობაში მონაწილეობას. ამ საკითხთან დაკავშირებით ცხადი და ობიექტური ინფორმაცია არ არსებობს. გაზეთების ერთი ნაწილი წერს, რომ დავიდი კვლავ ავადაა და მოედანზე გასვლას ვერ შეძლებს. სამწუხაროდ, გულშემატკივრებმა ისიც არ იციან, ვილიამ ივარჯიშა, თუ არა. არაგონესი ჩვევას არ ღალატობს და ყველა ვარჯიშზე პრესას კარს უხურავს. სენიორ ლუისი აბსოლუტურად გასაიდუმლოებულ გარემოში მუშაობს. შესაბამისად, არ არსებობს არანაირი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ტაქტიკით იასპარეზებს ესპანეთის ეროვნული გუნდი ან რომელ ფეხბურთელებს დაეყრდნობა მთავარი მწვრთნელი. მართალია, გაზეთებში სავარაუდო შემადგენლობა გამოქვეყნდა, მაგრამ მოთამაშეთა ჩამონათვალი თავიდან ბოლომდე ჟურნალისტების ინტუიციასა და ვარაუდზეა დამყარებული.

არაგონესმა ის მაინც ინება, რომ მედიისთვის პრესკონფერენცია გაემართა. დიდი მცდელობის მიუხედავად, პირენეელთა დამრიგებელმა შემადგენლობაზე საუბარი არ ისურვა. მან ვილიას თამაში ფაქტობრივად გამორიცხა, მაგრამ მიმომხილველთა ერთი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ლუისი ჰოლანდიელ კოლეგას თავ-გზას უბნევს და ცდილობს, **ჰიდინკს** მცდარი ტაქტიკა შეადგენინოს. მოკლედ, არაგონესს ჟურნალისტები ისევ არ სწყალობენ. მიუხედავად ყველაფრისა, ასაკოვანი სპეციალისტი იმედიანადაა განწყობილი: *"ვიცი, რომ ახლა მთელი ესპანეთის ყურადღება ჩვენკენაა მოპყრობილი, მაგრამ ეროვნული გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, ჩვენი ვარჯიშები დახურულად გამომეცხადებინა. იმედია, გულშემატკივრები მომიტევებენ. მე სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ბიჭები თავდაუზოგავად იბრძოლებენ. მჯერა, გამარჯვებას მოვიპოვებთ. ეს ურთულესი მატჩი იქნება, მაგრამ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვართ."*

ოპტიმიზმი გუუს ჰიდინკსაც არ აკლია, თუმცა ჰოლანდიელ სპეციალისტს საკადრო პრობლემები აღელვებს. საქმე ის არის, რომ დისკვალიფიკაციისა და ტრავმის გამო რუსებს **ანდრეი არშავინი** და **პაველ პოგრებნიაკი** დააკლდებიან. ჰიდინკი მიიჩნევს, რომ ამ ორი ფეხბურთელის არყოფნით რუსეთის ეროვნულ გუნდს საკუთარი პოტენციალის 50 პროცენტის გამომჟღავნებაც გაუჭირდება. მიუხედავად ამისა, რუსული დელეგაცია იმედს არ კარგავს. ჰიდინკმა ერთგვარი ცბიერი ტაქტიკა აირჩია და კომპლიმენტების კასკადით გადაწყვიტა ესპანელები ფსიქოლოგიურ წნეხში ჩაეგდო. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, ჰოლანდიელი მწვრთნელის განცხადებას შემოგთავაზებთ: *"ესპანეთი უპირობო ფავორიტია. ისტორიით, ტრადიციით, კლასითა და გამოცდილებით ჩვენ მათთან ახლოსაც ვერ მივალთ. არ ვამბობ, რომ გამარჯვების შანსი არ გვაქვს, თუმცა მოდით, ვიყოთ რეალისტები და ვაღიაროთ, რომ პირენეელებს გაცილებით უკეთესი შანსები გააჩნიათ. ჩვენი გამარჯვება, ალბათ, დიდი სენსაცია იქნება".*

ერთი შეხედვით, ჰიდინკი გულწრფელად საუბრობს. ესპანელებს ხომ ზედიზედ 16 თამაში არ წაუგიათ, მაგრამ უდავოა, რომ საკუთარი გუნდის შესაძლებლობების დამცირებით ეს კაცი დიდი გამარჯვებისთვის ემზადება.



ჰიდინკი თავადაც სიამოვნებით ვარჯიშობს

# შვედეთი იბრაჰიმოვიჩის გარეშე

## შევა თუ არა რეჰაგელი მეორედ ერთ მდინარეში?

**D ჯგუფი**

**შვედეთი-საბერძნეთი**

10 ივნისი. ზალცბურგი. 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, დელასი, კირიაკოსი, ტოროსიდისი, ბასინასი, კაცურანისი, კარაგუნისი, ამანატიდისი, ხარისტეასი, გეკასი.

**შვედეთი:** ისაკსონი, მ. ნილსონი, მელბერგი, ჰანსონი, შტორი, ვილჰელმსონი, ლინდეროტი, კალსტრიომი, ლიუნგბერგი, ელმანდერი, ჰ. ლარსონი.

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

შვედეთის ნაკრები დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საბერძნეთთან მატჩის წინ **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** სერიოზული პრობლემები შეექმნა. "ინტერის" სუპერფორვარდს მარცხენა მუხლის ტრავმა აწუხებს. იბრას ფეხი ისე სტკიოდა, რომ ბოლო ვარჯიში ვერ ჩაატარა. მას შვედეთიდან საგანგებოდ გამოძახებული წამყვანი ფიზიოთერაპევტები დასტრიალებენ თავს, მაგრამ პროფესიონალი ექიმების მეცადინეობის მიუხედავად, სიტუაცია საგანგაშოა. სასწაული უნდა მოხდეს, ზლატანმა დროულად გამოჯანმრთელება რომ მოახერხოს. წამყვანი ფორვარდის ტრავმით შეშფოთებული **ლარს ლაგერბაკი** აცხადებს, რომ საუკეთესო შემთხვევაში იბრა მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში თუ შეძლებს თამაშს. ამიტომ, სკანდინაველთა თავკაცი ვეტერან **ჰენრიკ ლარსონს** საგანგებოდ ამზადებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ძირითად შემადგენლობაში სწორედ ის იასპარეზებს. ლარსონი მოვლენათა ამგვარად განვითარებას არ ელოდა, თუმცა გამოცდილი ფორვარდი უკან დახევას არ აპირებს: *"ლაგერბაკმა მითხრა, ზლატანს ფეხის ტკივა, ბერძნებთან ალბათ, ვერ ითამაშებს და შენი იმედი მაქვსო. არ მეგონა, პირველივე ტურში თუ მომიწევდა მოედანზე გასვლა. დავბერდი, მაგრამ მე არაფრის არ მეშინია. მწვრთნელს, რა თქმა უნდა, თანხმობა განვუცხადე და პირობა მივეცი, რომ თავს არ დავზოგავ. ვნახოთ, რამდენად გავიმართლებს. მჯერა, ბერძნებთან მატჩში კარგ შედეგს მივაღწევთ."*

საბერძნეთი ევროპის მოქმედი ჩემპიონია. მიუხედავად ამ ტიტულისა, **ოტო რეჰაგელის** გუნდს ფავორიტად არავინ მიიჩნევს. არადა, ოთხი წლის წინაც ზუსტად ასე იყო. ბერძნებს სათვალავში არავინ აგდებდა, თუმცა მეფე ოტომ სასწაული მოახდინა. ვინ იცის, იქნებ მისმა ჯადოქრობამ ახლაც გამოიღოს შედეგი. ყოველ შემთხვევაში, ბერძნები ტურნირს უდიდესი მოტივაციითა და ენთუზიაზმით იწყებენ. რეჰაგელი აცნობიერებს, რომ საკმაოდ რთულ ჯგუფში პირველ შეხვედრაში მოპოვებულ გამარჯვებას განსაკუთრებული ფასი აქვს. გერმანელ სპეციალისტს მსოფლიო პრესის კრიტიკა ფეხებზე კიდია. მას უსახური ფეხბურთის პროპაგანდაში ადანაშაულებენ. ჰერ ოტომ ერთ-ერთი ფრანგული გაზეთის ჟურნალისტს ირონიულად განუცხადა, არა უშავს, დიდ გუნდებს უსახური ფეხბურთითაც მიუღწევიათ წარმატებისთვისო და მაგალითად 2004 წლის საბერძნეთის ნაკრები მოიყვანა. ვნახოთ, შეძლებს თუ არა რეჰაგელი ერთ მდინარეში მეორედ შესვლას. ბერძენთა მთავარი მწვრთნელი ბედნიერია, რადგან უკლებლივ ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს. **გიორგიოს კარაგუნისი** ფეხს იტკიებდა, მაგრამ ტრავმა მოიშუშა და ბოლო ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა. ასე რომ, ოტოს საუკეთესო შემადგენლობის გამოყვანა შეეძლება.



[illegible]

ილია **ნიკოლაიშვილი**

# შფოთიანი უქმეები ავსტრიაში

## პოლიციამ უკვე 206 ადამიანი დააპატიმრა

ავსტრიამ ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩებს კვირას უმასპინძლა. ამ დღეს ვენასა და კლაგენფურტში B ჯგუფის შეხვედრები გაიმართა. ავსტრიის პოლიციას მთელ ქვეყნის მასშტაბით ზუსტად 206 ადამიანი დააპატიმრა. ამათგან, 160 კლაგენფურტში აიყვანეს. ამ ქალაქში გერმანია პოლონეთს შეხვდა და ორი უპასუხო გოლით მოუგო.

ორშაბათ ნაშუადღევს საპატიმროში მხოლოდ ოთხი ადამიანი იმყოფებოდა. დანარჩენები ახსნა-განმარტებების ჩამორთმევის შემდეგ კვირას, გვიან საღამოს გაათავისუფლეს. ხულიგნები, რომელთაც იზოლირება საჭიროდ ჩაითვალა, გერმანელი მოქალაქეები აღმოჩნდნენ. ისინი ქუჩაში ნაცისტურ ლოზუნგებს ისროდნენ, რითაც პოლონელი გულშემატკივრის პროვოკაციას ისახავდნენ მიზნად. საერთო ჯამში, ნაცისტური გამოხდომებისათვის 140 ადამიანი დააკავეს. მათი 90 პროცენტი გერმანელი გულშემატკივარი იყო.

ვენაში, სადაც ხორვატებმა მასპინძელ ავსტრიას მინიმალური ანგარიშით სძლიეს, მდგომარეობა შედარებით მშვიდი იყო. ამის მიუხედავდ, რვა გულშემატკივარი საპყრობილეში მიაბრძანეს. მათ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა დასდეს ბრალად.

საერთო ჯამში, კვირას, ავსტრიის ქუჩებში 270 ათასი ადამიანი იმყოფებოდა. პოლიციამ საქმეს კარგად გაართვა თავი. ფართო მასტშაბიანი შეტაკებები არ მომხდარა. დაპირისპირებათა უმცირეს კერებსაც კი დროულად აქრობდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ავსტრიის ორ ქალაქში სამორიგეოდ 3 000 პოლიციელი იყო გამოყვანილი. ამათგან 2 500 კლაგენფურტში იმყოფებოდა. ხსენებული 2 500 სამართალდამცველიდან 400 გერმანელი პოლიციელი იყო და 100 პოლონელი.

კლაგუნფურტის მერმა სიამაყით განაცხადა, რომ მისმა ქალაქმა უპრეცედენტო მასტშაბის საფეხბურთო ზეიმს ღირსეულად უმასპინძლა. ოფიციაური ინფორმაციით, კლაგენფურტის ქუჩებში 80 ათასი გულშემატკივარი დაიარებოდა. ამათგან 30 ათასი პოლონელი იყო, 25 ათასი გერმანელი და 5 000 ხორვატი.

როგორც ხედავთ, პოლონელმა ფანებმა გერმანელებს რიცხობრივად აჯობეს. მაგრამ როცა საქმე ხულიგნობაზე მიდგა, გერმანელები სწორუპოვარნი აღმოჩნდნენ. დაპატიმრებულთა შორის, 144 გერმანელი იყო, 10 პოლონელი, ორი ავსტრიელი და რატომღაც ერთი სლოვენიელი მოქალაქე იყო.

რუსეთი

# ნახევარი მილიონი ჰიდინკს

თუ რუსეთის ნაკრები მეოთხედფინალში გავა, **გუუს ჰიდინკი** საუცხოო გასამრჯელოს მიიღებს. ჯგუფიდან გასვლის სანაცვლოდ, მას 500 ათას ევროს მიუთვლიან. რუსეთის საფეხბურთო კავშირი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რამდენს გადაუხდიან მწვრთნელს ნახევარფინალში და ფინალში გასვლის შემთხვევაში. საფეხბურთო კავშირი მხოლოდ იმას ამბობს, რომ მწვრთნელის პრემია გუნდის მიერ მიღწეული წარმატების პირდაპირ პროპორციული იქნება. ანალოგიურად, ყოველ მომდევნო ეტაპზე გასვლისათვის გაიზრდება ფეხბურთელების ანაზღაურებაც. ერთი რამ ცნობილია: მეოთდეხფინალში გასვლა თითოეულ რუს ფეხბურთელს 250 ათას ევროს მოუტანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი

# დეკუ: ცალი ფეხით ინტერში?

## მორატი ლემპარდში ადრიანოს ან ბალოტელის იძლევაო...


დეკუ მოურინიოსთან მიდის?

ევროპის ჩემპიონატის მიუხედავად, სატრანსფერო მოძრაობა დიდად არ შეფერხებულა. იტალიური სააგენტოები გვატყობინებენ, რომ "ინტერს" **დეკუსთან** კონტრაქტის გაფორმებისგან, 24 საათზე ნაკლები აშორებს. **ჟოზე მოურინიოს** ყოფილი პორტუელი შეგირდი თავისთან მიჰყავს. საერთოდაც, ის ეცდება, "ინტერის" ბირთვი "თავისი" ფეხბურთელებისგან შეკრას. დეკუ პირველი მერცხალია. პორტუგალიის ნაკრების ფლეიმეიქერი დიდი ხანია "ინტერისთვის" ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, მაგრამ ვიდრე "ბარსელონაში" მონასტერი არ აირია და საკადრო წმენდა არ დაიწყო, "ნერაძურისთვის" ეს ფეხბურთელი მიუწვდომელი გახლდათ. მას ცუდი სეზონი ჰქონდა, იყო ტრავმებიც და იყო არცთუ თბილი ურთიერთობა მწვრთნელ **ფრანკ რაიკაარდთან**, მოურინიოსთან კი მას პრობლემა, ალბათ, არ ექნება.

ჟურნალისტებმა ისიც გაარკვიეს, რომ დეკუ 20-ნომრიან მაისურას მოირგებს. "ინტერი" კატალონიურ გრანდს სადლაც 12-13 მილიონ ევროს გადაუხდის, ხოლო თავად ფეხბურთელს, 3-წლიან კონტრაქტსა და სეზონურად 5 მილიონ ევროს შესთავაზებს.

შეგახსენებთ, რომ დეკუ "ბარსაში" 2004 წელს გადავიდა მას მერე, რაც მოურინიოსთან ერთად ზედიზედ მოიგო უეფას თასი და ჩემპიონთა ლიგა. იმ სატრანსფერო ოპერაციაში **რიკარდო კვარეშმაც** მონაწილეობდა. მაშინ, კატალონიელებმა ის "პორტუში" გაუშვეს. ახლა საუბარია იმაზე, რომ კვარეშმამ, დეკუსთან ერთად, "ინტერში" უნდა ამოჰყოს თავი.

მაგრამ **ფრენკ ლემპარდი?** "ინტერი" "ჩელსის" ლიდერს მაინც არ ეშვება. მოურინიოს ლემპარდზე აზრი საჯაროდ არ დაუფიქსირებია, თუმც გაზეთები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ლემპარდი ჟოზეს სიაში პირველ ნომრად სწერია. **მასიმო მორატიმ** იცის, რომ ეს ტრანსფერი არა მხოლოდ ძვირადღირებული, პერსონალური ფაქტორების გათვალისწინებითაც რთული განსახორციელებელი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ფრენკს "ჩელსისთან" ახალი კონტრაქტი არ გაუფორმებია, "სტემფორდ ბრიჯზე" ის უაღრესად პატივსაცემი ფიგურაა და ლონდონელები ყველა ღონეს იხმარენ, რომ ლემპარდი კლუბში დატოვონ. მორატი მზადაა, **ადრიანო** ან **მარიო ბალოტელი** დათმოს. ადრიანო, თურმე, მოურინიოს გეგმებში არ ჯდება. "ინტერის" წინადადებაა, რომ "იმპერატორის" (ადრიანოს მეტსახელი) ხელფასი, 4.4 მილიონი გირვანქა წელიწადში, ლონდონელებმა დაფარონ.

რაც შეეხება ბალოტელის, რომელიც აგვისტოში 18 წლისა ხდება, ის თანამედროვეობის უნიჭიერეს ფორვარდად ითვლება. შეიძლება, ეს საკამათო იყოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, აპენინებზე მან უკვე დაიმსახურა "სუპერმარიოს" მეტსახელი. "ინტერის" სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბრანკამ** უკვე შეატყობინა ბალოტელის, რომ შეიძლება, გაიყიდოს. თავად მარიო კი "გაძეტა დელო სპორტს" გამოუტყდა, რომ თავს "ინტერის" ფეხბურთელთად ვერ აღიქვამს.

თუ "ჩელსი" პირდაპირ გარიგებაზე არ წავიდა და რომელიმე ფეხბურთელიც მოითხოვა, ადრიანოსა და ბალოტელის გარდა, "ინტერს" შეუძლია **დეიან სტანკოვიჩი, სეზარ აპარესიდო, მანიშე, სანტიაგო სოლარი, ნიკოლას ბურდისო, ოლივიე დაკური** ან **დავიდ სუასო** შესთავაზოს.

მაგრამ გუშინ, "დეილი მეილი" იმასაც წერდა, რომ რაკი დეკუ "ჩელსისაც" უნდა, დიდია ალბათობა, "ინტერთან" გარიგებაზე წავიდეს, პორტუგალიელზე ხელი აალებინოს და თავად კი ლემპარდს შეელიოსო.

იუვენტუსი

# ქალბატონი ტრეზეგეს ვერ ელევა

## აკვილანი და ალონსო ქალაში რჩება

"იუვენტუსის" პრეზიდენტმა **ჯოვანი კობოლი ჯილიმ** ბეჭედი დასვა: **დავიდ ტრეზეგე** არ იყიდებაო. ფრანგმა ფორვარდმა ბოლო კამპანიისას 20 გოლი გაიტანა, მაგრამ მას მერე, რაც "ქალბატონმა" ბრაზილიელი **კარვალიო ამაური** იყიდა, ტრეზეგე უმალ "ბარსელონას" დაუკავშირეს, კლუბს, სადაც ის ჯერ კიდევ 2004 წელს უნდა გადასულიყო. კატალონიელები დავიდში 20 მილიონ ევროს იძლეოდნენ, მაგრამ "სინიორა" წინააღმდეგი წავიდა.

*"ტრეზეგეს გაყიდვაზე არასოდეს გვიფიქრია. ამ მომენტისთვის აკვილანისა და ჩაბი ალონსოს ტრანსფერებზე ვმუშაობთ. ამ ფეხბურთელებს დიდი ხნის განმავლობაში ვაკვირდებოდით და დავასკვენით, რომ მათ "იუვენტუსთან" ინტეგრირება არ გაუჭირდებათ"*, - უთხრა კობოლი ჯილიმ "ტუტოსპორტს".

ფაქტობრივად, "იუვენტუსმა" პირველად და ოფიციალურად აღიარა, რომ **ალბერტო აკვილანისა** და **ჩაბი ალონსოს** ყიდვას ცდილობს. ამასწინათ, ესპანელმა კომენტარი გააკეთა ტურინში მის სავარაუდო გადასვლასთან დაკავშირებით და იმედი გამოთქვა, რომ ეს საქმე უმტკივნეულოდ მოგვარდებოდა. აკვილანის ტრანსფერს კი **ჯანლუიჯი ბუფონი** და **ალესანდრო დელ პიერო** მიესალმებიან. რაც მთავარია, "რომას" ნახევარმცველი, რომელმაც კლუბს ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი უთხრა, **კლაუდიო რანიერის** ფავორიტიც ყოფილა. თუ ახლა არა, ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე ამ ტრანსფერებს ხელს ვერაფერი შეუშლის.

ბლექბერნი

# მანჩინი, შირერი თუ ლაუდრუპი?

"მანჩესტერ სიტიში" **მარკ ჰიუზის** წასვლის შემდეგ, "ბლექბერნის" სამწვრთნელო პოსტი კვლავ ვაკანტური რჩება. მართალია, ეს არ არის იმდენად პრესტიჟული კლუბი, რომ უფროსობამ მსოფლიო მასშტაბის სპეციალისტი მიიწვიოს, მაგრამ რალაცას ცდილობს და ეს ფაქტია. მაგალითად, "თაიმსის" ინფორმაციით, "ვარდების" დამრიგებლად ვითომ **რობერტო მანჩინი** ინიშნება. "ინტერიდან" სკანდალურად წასულ მანჩინის რომ ინგლისში სურს მუშაობა, ცნობილი ამბავია. ისიც ვიცით, რომ "მანჩო" "ჩელსის" ყურადღებასაც იმსახურებდა და, შეიძლება, დღესაც აწარმოებს მოლაპარაკებას, მაგრამ თუ ეს არ გამოვიდა, ალტერნატიული ვარიანტი სწორედ "ბლექბერნია".

**ზურაბ ხიზანიშვილისა** და მისი თანაგუნდელების მწვრთნელად **ალან შირერის** მისვლასაც ელიან. მოგეხსენებათ, ლეგენდარული ფორვარდისთვის "ბლექბერნი" უცხო არ არის. განიხილება კიდევ ერთი ვარიანტი: მას შემდეგ, რაც "პანათინაიკოსში" **მიკაელ ლაუდრუპის** დანიშვნა ბოლო მომენტში ჩაიშალა, დანიელ "დინამიტს" სწორედ "ბლექბერნში" გამწვრთნელებას უწინასწარმეტყველებენ.


რობერტო მანჩინი


ალან შირერი


მიკაელ ლაუდრუპი

ამხანაგური მატჩები

# დონოვანის 100, ორი გაძევება და ბრწყინვალე ჰოვარდი

## მექსიკამ ერიქსონს თავი ლამაზად გააცნო

**აშშ-არგენტინა 0:0**

**აშშ:** ჰოვარდი, ჩერუნდოლო, ონიევუ (61. დე მერიტი), კალიფი, პირსი (78. ლიუისი), ბრედლი (46. ედუ), მასტროენი, დემპსი (61. ადუ), დონოვანი, ბიზლი (90. ჰეიდუკი), ჯონსონი (74. კლისტანი).

**არგენტინა:** აბონდანსიერი, გონსალო როდრიგესი, ბურდისო (46. დემიკელისი), ჰაინცე, საბალეტა (77. ძანეტი), გაგო, მაქსი როდრიგესი (74. კავენაგი), მასკერანო, კრუსი (64. ლისანდრო ლოპესი), აგუერო (88. ბანეგა), მესი (46. სოსა).

**გაძევება:** მასტროენი (71. აშშ), მასკერანო (87. არგენტინა)

**მაყურებელი:** 78 882

ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ისტ რუთერფორდში, კოკისპირული წვიმის (განსაკუთრებით მეორე ტაიმში) აკომპანემენტით, აშშ-სა და არგენტინის ეროვნულმა გუნდებმა უგოლოდ იბურთავეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ორ გაძევებას, მატჩი საკმაოდ დაძაბული იყო და ამხანაგური ნაკლებად ეთქმოდა.

და არგენტინელთა კაპიტანი **ხავიერ მასკერანო** ორ-ორი ყვითელი ბარათის გამო გააძევეს.

აშშ-ს ნაკრები შესარჩევ ციკლს 15 აგვისტოს, ლოს ანჯელესში, ბარბადოსთან მატჩით იწყებს, "ალბისელესტე" კი, იმავე დღეს, ეკვადორის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

**მექსიკა-პერუ 4:0**

**გოლები:** 1:0 არსე (5), 2:0 გუარდადო (8), 3:0 ველა (20), 4:0 არსე (28)

**მაყურებელი:** 45 000

არგენტინასთან მარცხის (1:4) შემდეგ მექსიკის ნაკრებმა პერუ გაანადგურა. ჩიკაგოში გამართულ შეხვედრას ესწრებოდა "სომბრეროთა" ახალი წინამძღოლი **სვენ გორან ერიქსონი**, რომელიც საქმეს ახლო მომავალში შეუდგება. ჯერჯერობით კი, მას საშუალება ჰქონდა, დროებით მწვრთნელის **ხესუს რამირესის** გუნდის შთამბეჭდავი თამაშით ესიამოვნა.


მესი დემპსის წინააღმდეგ

გარდა იმისა, რომ "ჯაიანტსის" შეხვედრა მუნდიალის საკვალიფიკაციო ციკლისთვის მზადების კონტექსტში განიხილებოდა, მნიშვნელოვანი იყო ერთი ფაქტითაც: ამერიკელთა კაპიტანმა **ლენდონ დონოვანმა** ნაკრებში მე-100 მატჩი ჩაატარა. ამ ნიშნულისთვის მას, წესით, კიდევ გასულ კვირას, ინგლისთან "უემბლიზე" გამართულ ამხანაგურ პაექრობაში უნდა მიეღწია, მაგრამ საზარდულის ტრავმის გამო ვერ ითამაშა. ეს პრობლემა დონოვანს ამჯერადაც აწუხებდა, მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. დაძლია სირთულეები და აშშ-ს ნაკრების მეორე ფეხბურთელი გახდა მეკარე **კეისი კელერის** შემდეგ, ვინც "ასიანში" მოარტყა. კელერმა, რომელიც გამარჯვებებით, უგოლო სერიებითა თუ მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ეტაპებზე ჩატარებული მატჩების რაოდენობით საუკეთესო ამერიკელი გოლკიპერია, საიუბილეო ნიშნულს ერთი წლის წინათ, კონკაკაფ-ის "ოქროს თასის" ნახევარფინალურ მატჩში მიაღწია.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, ამაზე ორი სიტყვით მოგახსენებთ. პირველ ტაიმში არგენტინის ნაკრები დომინირებდა. მეკარე **ტიმ ჰოვარდს** საქმე უხვად ჰქონდა და არა ერთი რთული მომენტიც განმუხტა. მან მეორე ნახევარშიც იხსნა თავისი გუნდი, როცა 63-ე წუთზე **სერხიო აგუეროს** "მკვდარი" ბურთი აუღო. როგორც ზემოთ ვთქვით, ორივე გუნდმა შეხვედრა 10-10 კაცით დაასრულა. **პაბლო მასტროენი**

პერუს ნაკრებს ოთხი წამყვანი მოთამაშე არ ჰყავდა. უდისციპლინობისთვის მათ 18-თვიანი სასჯელი აქვთ აკიდებული. ამდენად, ეს გუნდი კოლუმბიასა და ურუგვაისთან საკვალიფიკაციო მატჩებს ფრიად ცუდ ხასიათზე ხვდება. სპეციალისტების აზრით, პერუს ეროვნულ გუნდს მუნდიალის საკვალიფიკაციოში პერსპექტივა არ აქვს.

მექსიკამ კი საქმე ნახევარ საათში მოათავა. მათ თავიდანვე შტურმს მიმართეს და ვიდრე **ფერნანდო არსე** ანგარიშს გახსნიდა (მე-5 წუთი), პერუელთა მეკარე **ჯორჯ ფორსაითმა** მასვე ხელსაყრელი შეტევა ჩაუშალა, მაგრამ უძლური იყო იმ ეპიზოდში, როცა იმავე არსემ **ლუის პერესის** ჩაწოდება ზუსტით თავურით დააგვირგვინა. სამ წუთში, პერუელთა მცველებს კვლავ ჩაეძინათ. მათ **რიკარდო ოსორიოს** გასწვრივი პასი ვერ მოიგერიეს და **კარლოს სალსიდომ** ანგარიში ორამდე გაზარდა.

ამის შემდეგ, მექსიკამ ცოტა შეისვენა. თუმცა 12 წუთში, ფორსაითმა, საკუთარი შეცდომის ფასად, კიდევ ერთხელ გამოიტანა ბურთი ბადიდან, როცა 19 წლის **კარლოს ველამ** (მეორე სანაკრებო გოლი 5 მატჩში) პერესის ასისტენტობით გაიტანა. მატჩის ბედი საბოლოოდ 28-ე წუთზე გადაწყდა, როცა არსემ დუბლი გაიფორმა. ახლო მანძილიდან დარტყმულს პერუს დაცვამ და მეკარემ კვლავ ვერაფერი მოუხერხეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ტრევიზოს კემპი. მეორე დღე

# კარგად ისვრის, სისწრაფე აკლია...


გიორგი შერმადინი

**იტალიის** ქალაქ ტრევიზოში გრძელდება კემპი, რომელშიც სამი ქართველი მონაწილეობს – მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი ცინცაძე და გიორგი შერმადინი.

კემპის მეორე დღე ორ ნაწილად გაიყო: ჯერ ახალგაზრდებმა სახელოვანი მწვრთნელების რჩევები მოისმინეს, შემდეგ ერთმანეთში ითამაშეს, ბოლოს კი კემპის ვარსკვლავთა ნაკრები შეიკრიბა და საფრანგეთის 20-წლამდელთა ნაკრებს დაუპირისპირდა.

მთავარი მომხსენებელი იყო ევროპის ჩემპიონატის ოქროსმედალოსანი (რუსეთის ნაკრებთან ერთად) მწვრთნელი **დევიდ ბლატი**. მან დამსწრეებს გაანდო წარმატებული კალათბურთელისთვის საჭირო თვისებების ჩამონათვალი: პასი, სროლა, დრიბლინგი, ათლეტიზმი, და კიდევ "სპეციალური მონაცემები", რომლებიც ყველა მოთამაშეს ინდივიდუალურად გააჩნია. ბლატმა ასევე ბევრი ისაუბრა დაცვასა და სხვადასხვა ტაქტიკურ სიახლეებზე.

მოსკოვის "დინამოსა" და რუსეთის ნაკრების მწვრთნელის დევიდ ბლატის ლექციის შემდეგ დაინტერესებულებს საშუალება მიეცათ, თვალ-ყური ედევნებინათ დრაფტის პირველ წრეში არჩევის ორი კანდიდატის, **ომერ ასიკისა** და **სემიჰ ერდენისთვის**. ორივე თურქია და ორივე მეფარეა. ჩვენთვის მათი ვარჯიში საინტერესო იმდენად იყო, რომ თურქების გვერდით გიორგი შერმადინიც ვარჯიშობდა. ინტერნეტსაიტ "დრაფტექსპრესზე" სტატიის ავტორი მხოლოდ თურქებზე მოგვითხრობს, ხოლო "დრაფტნეტზე" ჟურნალისტი არან სმიტი ერდენთან და ასიკთან ერთად დანარჩენებსაც ეხება.

- თურქ ტალანტებს ჰენკ ნორელი, გიორგი შერმადინი, გორან დრაგიჩი და რუდი მბემბა უწევდნენ პარტნიორობას. თუმცა, ბოლო ორზე აღარ შევჩერდებით, რადგან ისინი უკანახაზელები არიან.

ოთხ ტანმაღალ ახალგაზრდასთან "ტორონტოს" ერთ-ერთმა მწვრთნელმა, ჯეი ტრაიანომ იმუშავა. დრაფტის კანდიდატებმა კალათის მიმართულებით ისროლეს, ბურთის ფლობასა და ჩატენვებზე ივარჯიშეს. ასევე მწვრთნელმა შეამოწმა, რამდენად კარგად ისვრიან ისინი როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა ხელით. წვრთნისას ჯეი ტრაიანო კმაყოფილებას არ მალავდა...

*(...შემდეგ არან სმიტი ახასიათებს ერდენსა და ასიკს. მათი მონაცემები ქართველი მკითხველისთვის საინტერესო ნამდვილად არ იქნება – ვ.ს.)*

...ნორელის პოტენციალის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მას დრაფტის მეორე წრეში აირჩევენ. ის და შერმადინი თურქულ დუეტთან ბავშვებივით გამოიყურებოდნენ, რადგან ასაკითაც უმცროსები არიან და ფიზიკურადაც ჩამორჩებიან.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ქართველი გიორგი შერმადინი ასიკსა და ერდენს არაფერს უთმობდა. იგი სროლის სიზუსტითაც გამოირჩევა, თუმცა მოედანზე არცთუ სწრაფად გადაადგილდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილი გაზ დე ფრანსზე ბრუნდება


მაკა ჩახნაშვილი

**მარსელში** იწყება „ოფენ გაზ დე ფრანსის" საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათასი ამერიკული დოლარია. საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი **მაკა ჩახნაშვილი** (180) ძირითად ბადეშია. მისი პირველი მეტოქე 20 წლის უნგრელი **აგნეშ სატმარი** (206) იქნება.

ჩვენი მეორე ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (274) ამერიკაშია, ის ელ პასოს ტურნირში (25 ათასი დოლარი) მონაწილეობს. ტურნირის საკვალიფიკაციო ბადიდან ტრავმის გამო მოიხსნა კიდევ ერთი ქართველი, **სალომე დევიძე**. ტეხასში 18 წლის ტატიშვილი მეორე ნომრად იქნება განთესილი, ძირითადი ბადის წილისყრა ჯერ არ გამართულა.

თურქეთის ქალაქ სტამბოლში იესილიურთის თასის გათამაშება დაიწყო, რომლის საპრიზო ფონდი 10 ათასი ამერიკული დოლარია. ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე სამი ქართველი მონაწილეობდა. **გვანცა რობაქიძე** პირველივე წრეში დამარცხდა ავსტრალიელ **მარისა ჯიანოტოსთან** – 0:6, 2:6. 16 წლის **ეკა გორგოძე** პირველ წრეში ისვენებდა. მეორეში მან გერმანელი **ჰერმონ ბრანე** დაამარცხა - 6:4, 6:1. **ანა ჯიქიამ** იოლად აჯობა **ელიფ ნურ კურაზს** (თურქეთი) – 6:0, 6:0, მეორე წრეში კი რუს **ნადეჟდა სამოილოს** მოუგო - 6:4, 6:3.

ამგვარად, ძირითად ბადეში ხუთი ქართველია. მათგან მხოლოდ **ოქსანა კალაშნიკოვაა** განთესილი, მე-7 ნომრად. პირველ წრეში კალაშნიკოვა თანამემამულეს, **სოფიო ქვაცაბაიას** შეხვდება. **მანანა შაფაქიძე** ავსტრალიელ **ჯეიდ ჰოპერს** დაუპირისპირდება. ეკა გორგოძე რუს **ეკატერინა კისელევას** შეხვდება, რომელიც ქართველივით საკვალიფიკაციო ბადიდან გამოვიდა. ანა ჯიქიას კი არ გაუმართლდა, მისი მეტოქე მასპინძელი, მეორე ნომრად განთესილი **კაგლა ბუიუქაქჩაი** (398) იქნება.

რუმინეთის ქალაქ ფოქსანიში 10-ათასიან ტურნირში 18 წლის **ალექსანდრე თავხელიძე** მონაწილეობდა. თავხელიძე საკვალიფიკაციო ბადეში იყო, ის პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი ჩვენებური რუმინელ **ანდრეი-გრაციან ონციუსთან** დამარცხდა - 0:6, 3:6.

უკრაინაში ჩერკასიში ზედიზედ მეორე 10-ათასიანი ტურნირი დაიწყო. საკვალიფიკაციო ბადეში სამი ქართველია. **ლაზარე კუხალაშვილმა** პირველ წრეში იოლად მოუგო უკრაინელ **არტიომ ტუვაკოვს** - 6:0, 6:1. ასევე უპრობლემოდ გაიმარჯვა **სერგი სიხარულიძემ**, რომელმაც უკრაინელ **ანტონ კოზაკს** აჯობა - 6:0, 6:1. მე-11 ნომრად განთესილი **გიორგი ხრიკაძე** კი პირველი წრისგან თავისუფალი იყო. კუხალაშვილმა მეორე წრეშიც იმარჯვა, მან ამჯერად **არტიომ იაცენკო** (უკრაინა) დაამარცხა - 6:3, 6:2. სერგი სიხარულიძემ კი ბრიტანელ **კრის პრიდლთან** წააგო - 3:6, 7:5, 0:6. ხრიკაძე ტურნირში წარმატებით ჩაერთო, მან **ალექსანდრ რეიპოლსკი** (უკრაინა) დაამარცხა - 6:1, 6:2. ძირითად ბადეში გასაღწევად ლაზარე კუხალაშვილმა მე-2 ნომრად განთესილი უკრაინელი **დმიტრო კამინინი** უნდა დაამარცხოს. გიორგი ხრიკაძე კი მე-8 ნომრად განთესილ რუსს, **ანდრეი ლევინს** ხვდება. ტურნირის ძირითად ბადეში **ნოდარ ითონიშვილი** უბრძოლველად, რეიტინგით მოხვდა, პირველ წრეში ქართველი მე-6 ნომრად განთესილ **ალექსანდრ იარმოლას** (671, უკრაინა) ეთამაშება.

სუმო

# კოკაიმ და ტოჩინოშინმა ლოს ანჯელესი მოიარეს


პირველ დღეს ასაშორიუმ გაიმარჯვა

**1981 წლის** მერე პირველად ლოს ანჯელესი პროფესიონალ სუმოისტებს მასპინძლობს. კალიფორნიის ქალაქში ორდღიანი ტურნირი (ჯუნგიო) გაიმართა. ელიტის 40 რიკიში ორი ლაინერით ტოკიოდან ამერიკაში გადააფრინეს.

პირველი დღის ტურნირი დიდმა ჩემპიონმა **ასაშორიუმ** მოიგო, რომელმაც ფინალში მონღოლი თანაგუნდელი **ასასეკირიუ** დაამარცხა. საინტერესოა, როგორ იჭიდავეს ჩვენებმა - როგორც ჩანს ვეტერანი **დეჯიმასა** და 20 წლის **ტოჩინოშინის (ლევან გორგაძე)** დაპირისპირებას ტრადიციის ხასიათი ეძლევა. შეგახსენებთ, რომ სწორედ ყოფილმა ოძეკიმ დაამარცხა ჩვენებური მაისის ბაშოს ბოლო დღეს, რის გამოც მან უმაღლეს დივიზიონში პირველი ტურნირი უარყოფითი ბალანსით დაასრულა. ტოჩინოშინმა ტოკიოს ერთდღიან ტურნირში შური იძია დეჯიმაზე, თუმცა ლოს ანჯელესში კვლავ იაპონელის ჯერი დადგა. ეს ლოს ანჯელესის ჯუნგუიოს პირველი დღის პირველივე რაუნდში მოხდა. **კოკაი (ლევან ცაგურია)** პირველი წრიდან თავისუფალი იყო, მეორე წრეში კოკაიმ **ჰოკუტორიკი** დაამარცხა საკმაოდ სახალისო ბრძოლაში. მერვედფინალში კოკაი სეკივაკე **ამასთან** დამარცხდა.

მეორე დღეს ტოჩინოშინმა უვატენაგეს ილეთით დააგდო დოჰიოზე **ჰომაშო**, მეორე წრეში ქართველი ჩემპიონმა **ჩიოტაიკაიმ** დაამარცხა, რომელსაც ცხოვრებაში პირველად ეჭიდავა. ამავე წრეში კოკაიმ **ფუტენოსთან** წააგო. ფინალში **კისენოსატომ** დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** დაამარცხა. ამ შეხვედრის შემდეგ მთავარი პრიზის მფლობელის ვინაობის გამოსავლენად პირველი და მეორე დღის გამარჯვებულები შეერკინენ, ასაშორიუმ იმარჯვა და ლოს ანჯელესის ჯონგიოს ჩემპიონი გახდა. დღეს სუმოს ქარავანი ტოკიოში ბრუნდება, სპორტსმენები ნაგოიას ბაშოსთვის მზადებას გააგრძელებენ. მორიგი საგარეო ტურები კი აგვისტოს ბოლოს მონღოლეთში და 2009 წლის ოქტომბერში ლონდონშია დაგეგმილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ოთხი პირადი რეკორდი

**ორკვირიანი** შესვენების შემდეგ ქალთა და ვაჟ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა. ქალთა შორის კვლავ 11 ქართველია მსოფლიო კლასიფიკაციაში. **მაკა ჩახნაშვილმა** ამ ორ კვირაში 6 საფეხურით დაიხია უკან, ის 166 ქულით მსოფლიოს 185-ე ჩოგანია. სამაგიეროდ, კარიერის საუკეთესო პოზიციას მიაღწია **ანა ტატიშვილმა**. 18 წლის ჩოგბურთელმა 110 ქულას მოუყარა თავი, მან 30 ადგილით წაიწია წინ. ანა ტატიშვილი დღეიდან მსოფლიოს 244-ე ჩოგანია. ანამ ჰონორარის სახით კარიერაში უკვე 67 ათას დოლარს მოუყარა თავი. კარიერის საუკეთესო მაჩვენებელი აქვს 19 წლის **სოფიო შაფათავასაც**. სოფიო 71 ქულით მსოფლიოს 316-ე ჩოგანია.


ანა ტატიშვილი

სხვები რეიტინგში: 488 (-9) **თინათინ ყაულაშვილი** - 34 ქულა, 527 (+14) **სალომე დევიძე** - 29, 581 (+64) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 24, 617 (+68) **მანანა შაფაქიძე** - 21, 699 (-13) **სოფიო ქვაცაბაია** - 16, 797 (+9) **ეკა გორგოძე** - 10, 921 (+8) **მაგდა ოქრუაშვილი** - 6, 1006 (+8) **სოფიო მელიქიშვილი** - 4. ოქსანა კალაშნიკოვამ 64 პოზიციით წაიწია წინ და კარიერის საუკეთესო შედეგი აჩვენა, უფრო მეტით (68 ადგილი) წაიწია წინ მანანა შაფაქიძემ, თუმცა მან პირადი რეკორდი ვერ აჩვენა. მსოფლიო კლასიფიკაციაში 921-ე პოზიცია კარიერის მიღწევაა მაგდა ოქრუაშვილისთვის. წყვილთა რეიტინგში ჩახნაშვილი 193-ე ჩოგანია, ანა ტატიშვილი - 259-ე, ოქსანა კალაშნიკოვა - 353-ე, სოფიო შაფათავა - 396-ე.

ვაჟთა რეიტინგში **ლადო ჩიხლაძე** მსოფლიოს 457-ე ჩოგანია, ლადოს 62 ქულა აქვს, ორი კვირის წინანდელთან შედარებით, ლადომ ორი ადგილი დაკარგა. სხვები: 1224 (+1) **ნოდარ ითონიშვილი** - 4 ქულა, 1586 (-7) **გია ჭანტურია** - 1, 1811 (-1) **გიორგი ხრიკაძე** - 1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი. ლეგიონერები

# თითო ლელო, გარდასახვა და საგზური



გია ლაბაძე პირველ დივიზიონში გადმოვიდა

საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ერთი ტური დარჩა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გამარჯვებული **გოდერძი შველიძისა** და **დავით ზირაქაშვილის** "კლერმონი" იქნება. მართალია, ბოლო ტურის წინ ვულკანები უახლოეს მდევარ "ტულუზს" მხოლოდ ოთხი ქულით უსწრებს, მაგრამ შინ დივიზიონიდან უკვე გავარდნილი **ირაკლი გიორგაძის** "დაქსის" დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს.

თუ "კლერმონმა" გათამაშება პირველ ადგილზე დაასრულა, პლეი ოფში მისი მეტოქე მეოთხე ადგილზე გასული გუნდი იქნება, რომლის ვინაობაც ბოლო ტურში გაირკვევა. "პერპინიანი" შინ "სტად ფრანსეს" მიიღებს და "კლერმონის" მეტოქეც მათ შორის დამარცხებული იქნება.

ბოლოსწინა ტურში "ვულკანებმა" თავს მოდუნების უფლება მისცეს და გასვლით მატჩში **ავთანდილ კოპალიანის** "ბოიონთან" წააგეს 8:36. შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 59-ე წუთზე შეცვალეს. ზირაქაშვილი და კოპალიანი განაცხადში არ იყვნენ.

ასევე არ მიუღიათ მონაწილეობა "მონტობანთან" საშინაო მატჩში "მონპელიეს" ქართველებს **დავით ქუბრიაშვილსა** და **მამუკა გორგოძეს**. მონპელიელებმა მეტოქე მოკრძალებული ანგარიშით 12:8 დაამარცხეს.

საშინაო შეხვედრაში **დავით ხინჩაგაშვილის** "ბრივმა" მოუგო **მამუკა მაგრაქველიძის** "ოშს" 40:26. ქართველებს არც ამ მატჩში მიუღიათ მონაწილეობა.

ბოლოსწინა ტურმა **ძმები გიორგაძეების** გარეშეც ჩაიარა. უფროსი ძმის, აქვსენტის "კასტრმა" საკუთარ მოედანზე "ალბი" დაამარცხა 20:16. ირაკლის "დაქსი" კი, ასევე შინ, დამარცხდა "პერპინიანთან" 10:21.

საფრანგეთი. პირველი დივიზიონი: XXV ტური. **მონპელიე-მონტობანი 12:8, სტად ფრანსე-ბიარიცი 22:18, ტულუზი-ბურგუენი 57:17, ბაიონი-კლერმონი 36:8, ბრივი-ოში 40:26, კასტრი-ალბი 20:16, დაქსი-პერპინიანი 10:21.**

**1. კლერმონი - 91 ქულა, 2. ტულუზი - 87, 3. სტად ფრანსე - 79, 4. პერპინიანი – 75 / 5. ბიარიცი - 65, 6. კასტრი - 65, 7. მონტობანი - 59, 8. მონპელიე - 57, 9. ბაიონი - 53, 10. ბრივი - 50, 11. ბურგუენი - 48, 12. ალბი – 47 / 13. დაქსი - 34, 14. ოში - 19.**

მეორე დივიზიონში რეგულარული გათამაშება დასრულდა. პირველი ადგილი და ელიტური პირველი დივიზიონის ერთი საგზური **გია ლაბაძის** "ტულონმა" მოიპოვა. მეორე საგზურისთვის კი ოთხი გუნდი იბრძოლებს. მათ შორის **გიორგი ჩხაიძის** "მეტრო რასინგი" და **ირაკლი მაჩხანელის** "მონ დე მარსანიცა" არიან.

"ტულონმა" სეზონის ბოლო შეხვედრაში საკუთარ გულშემატკივარს სარაგბო სპექტაკლი უჩვენა და ირაკლი მაჩნახელის "მონ დე მარსანი" 70:15 გაანადგურა. გუნდის კაპიტან **გია ლაბაძეს** თამაშში მონაწილეობა არ მიუღია, მაჩხანელმა კი თავიდან ბოლომდე ითამაშა.

სტუმრად აუტსაიდერ "ბლანიაკს" სძლია **გიორგი ჩხაიძის** "მეტრო რასინგმა" 43:28, ჩხაიძე თამაშში 35-ე წუთიდან ჩაერთო და 70-ე წუთზე პარიზელთა შემადგენლობაში პირველი ლელო გაიტანა. "მეტრო რასინგი" საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა და პლეი ოფის ნახევარფინალში 15 ივნისს "ლა როშელს" დაუპირისპირდება. მაჩხანელის "მონ დე მარსანის" მეტოქე კი "ლიონი" იქნება.

პლეი ოფს მიღმა დარჩა **ანტონ ფეიქრიშვილის** "აჟენი", რომელიც გადამწყვეტ შეხვედრაში სტუმრად დამარცხდა სწორედ "ლიონთან" - 12:24. ფეიქრიშვილი ტრავმირებულია.

სტუმრად წააგო "ბეზიესთან" **მალხაზ ურჯუკაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** "ორიაკმა" 10:48. ჟღენტი განაცხადში არ იყო. ურჯუკაშვილი შეხვედრაში მე-40 წუთიდან ჩაერთო და 53-ე წუთზე მატიე ლესკურის გატანილი ლელო გარდასახა.

II დივიზიონი. XXX ტური. **ლა როშელი-ტარბი 29:13, ტულონი-მონ დე მარსანი 70:15, ბეზიე-ორიაკი 48:10, ლიონი-აჟენი 24:12, პო-ნარბონი 51:7, ბორდო-ლიმოჟი 31:0, ბლანიაკი-მეტრო რასინგი 28:43, გრენობლი-ოიონაქსი 7:10.**

**საბოლოო მდგომარეობა: 1. ტულონი - 106 ქულა / 2. მეტრო რასინგი - 99, 3. მონ დე მარსანი - 89, 4. ლიონი - 83, 5. ლა როშელი – 81 / 6. აჟენი - 81, 7. ბეზიე - 81, 8. გრენობლი - 77, 9. ოიონაქსი - 73, 10. პო - 69, 11. ორიაკი - 66, 12. ბორდო - 61, 13. ნარბონი - 57, 14. ტარბი – 45 / 15. ლიმოჟი - 31, 16. ბლანიაკი - 27.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში

# გიორგაძე კარიერას გააგრძელებს

**პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტმა ილია გიორგაძემ ოლიმპიადის წინ გენერალური რეპეტიცია უკვე გაიარა. ევროპის ჩემპიონატითა და მსოფლიო თასით ვეტერანმა ტანმოვარჯიშემ შეჯიბრებათა ციკლი დაასრულა. ახლა იგი ოლიმპიადამდე მხოლოდ შეკრებასა და ვარჯიშებს დასჯერდება. გვესაუბრება ილია გიორგაძის მწვრთნელი ბესიკ გამსახურდია.**

- ევროპის ჩემპიონატისათვის, პროგრამა გავართულეთ. ილიამ განახლებულ პროგრამას მშვენივრად კი გაართვა თავი, მაგრამ ვარჯიშის დამთავრების მომენტში, შეცდომა იქ დაუშვა, სადაც საერთოდ არ ველოდით. საბოლოოდ, იგი ორძელზე ვარჯიშში ოცდამეათე ადგილს დასჯერდა, თავისუფალში კი მეოცე იყო და ფინალს მიღმა დარჩა.

ალსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატზე გვყავდა პერსპექტიული ახალგაზრდა პაატა ნოზაძეც, სადაც დებიუტი ჰქონდა. მან 6 იარაღზე მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა და საბოლოოდ, მრავალჭიდში 22-ე იყო 159 მონაწილეს შორის. დებიუტანტისთვის ეს მშვენიერი შედეგია, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ჩემს უცხოელ კოლეგებს. ისინი გაოცებით მეკითხებოდნენ - სად გყავდათ აქამდე ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა, ამას გვიმალავდითო? მე ვუთხარი - არ გიმალავდით, უბრალოდ, ფინანსურად დალხენილები არ ვართ და აქამდე დიდ შეჯიბრებებზე ვერ ვატარებდით მეთქი...

შემდეგ იყო მოსკოვის მსოფლიო თასი, სადაც ილია გიორგაძემ გაცილებით უკეთ იასპარეზა და ორივე დისციპლინის ფინალში გავიდა. საბოლოოდ, იგი ორძელზე მეცხრე იყო, თავისუფალ ვარჯიშში კი მეათე.

**- ოლიმპიადამდე კიდევ აქვს გიორგაძეს შეჯიბრება?**

- არა, მოსკოვის თასი ბოლო შეჯიბრება იყო. ახლა დაგვრჩა დასკვნითი მოსამზადებელი ეტაპი, რომელსაც 7-27 ივლისს, მოსკოვში გავივლით. ამით მოსამზადებელ ეტაპს დავასრულებთ და 30 ივლისს, პეკინში გავემგზავრებით.

**- ოლიმპიადის შემდეგ რა გეგმები გაქვთ?**

- პაატა ნოზაძე შავი ზღვის ქვეყნების თამაშებზე წავა სტამბოლში და თუკი ევროპის ჩემპიონატის მსგავსად იასპარეზა, ჩემპიონობისთვის რეალურად იბრძოლებს.

რაც შეეხება ილია გიორგაძეს, მან საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ კარიერას ჯერ არ დაამთავრებს. რა შედეგიც არ უნდა აჩვენოს ოლიმპიადაზე, სულ მცირე, კიდევ ერთი წლით გაიხანგრძლივებს კარიერას. ილიას თქმით, ჯერჯერობით, ჯანს არ უჩივის და 2009 წელს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამოსვლას აპირებს. მერე კი შეხედავს სიტუაციას და არ არის გამორიცხული, რომ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე მოხვედრისათვისაც იბრძოლოს.

**კობა ხატისაშვილი**

ფარიკაობა. საერთაშორისო ტურნირი

# ექვსიდან სამი ტიტული

დიღმის მანეჟში დასრულდა მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ 3 წლის წინათ დააწესა და უკვე ტრადიციულ შეჯიბრებად იქცა.

ქართველების გარდა, ტურნირზე მონაწილეობდნენ სომეხი და აზერბაიჯანელი მოფარიკავეებიც. წინა წლებისაგან განსხვავებით, ამჯერად ვერ ჩამოვიდნენ თურქები და ირანელები...

ტურნირის პირველი დღე ჩვენი სპორტსმენებისათვის არც ისე წარმატებული გამოდგა, რაკილა რაპირასა (ვაჟები) და ხმალში (გოგონები) ოქროს მედლების გარეშე დავრჩით. სამაგიეროდ, მეორე და მესამე დღეს, ოთხი შესაძლებლობიდან სამში პირველობა არავის დავანებეთ.

**კობა ხატისაშვილი**

**რაპირა. ვაჟები**

1. არმენაკ გასპარიანი (სომხეთი)
2. ავთო ჭეიშვილი (საქართველო)
3. სანდრო სიხარულიძე (საქართველო)
3. არამ გრიგორიანი (სომხეთი)

**რაპირა. გოგონები**

1. ნატო კობიაშვილი (საქართველო)
2. ეკა გიორგაძე (საქართველო)
3. ციმი ხარხელაური (საქართველო)
3. ნინო კილაძე (საქართველო)

**ხმალი. ვაჟები**

1. დავით მთვარელიძე (საქართველო)
2. ბექა ბაზაძე (საქართველო)
3. რამინ ამიროვი (აზერბაიჯანი)
3. ელჩინ ალიევი (აზერბაიჯანი)

**ხმალი. გოგონები**

1. საბინა მიკინა (აზერბაიჯანი)
2. სევილ ბუნიატოვა (აზერბაიჯანი)
3. სევინ ბუნიატოვა (აზერბაიჯანი)
3. თეოდორა კახიანი (საქართველო)

**დაშნა. ვაჟები**

1. დავით ელბაქიძე (საქართველო)
2. დავით არველაძე (საქართველო)
3. ტეგრან რასულოვი (აზერბაიჯანი)
3. მიხეილ კაზარიანი (აზერბაიჯანი)

**დაშნა. გოგონები**

1. ელმირა ხუდაბერდიევა (აზერბაიჯანი)
2. თეონა ბენიძე (საქართველო)
3. ნათია ჩაჩხიანი (საქართველო)
3. ხატია ლელაძე (საქართველო)

ჭადრაკი

# ეკვატორზე ლიდერები გამოიკვეთნენ...



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**გუშინ**, საქართველოს 12-წლამდელთა ჩემპიონატში მეოთხე ტურის პარტიები გათამაშდა. როგორც მოგახსენეთ, გადამწყვეტი ეტაპი სწორედ აქედან იწყებოდა - ლიდერები ხვდებოდნენ ერთმანეთს და მომდევნო დღეებშიც ფავორიტები გაარკვევნენ უძლიერესს. ცხადია, ყოველთვის არის იმის შანსი, რომ ვილაცამ ქვედა ეშელონებიდან გამოიჩინოს ფხა და ლიდერებს წამოეწიოს, მაგრამ, როგორც წესი, ფინიშის ხაზს მაინც ისინი კვეთენ პირველად, ვისაც ფავორიტის სტატუსი აქვს.

გოგონათა შორის გუშინ მესამე დაფაზე 8 წლის ფოთელი **ადა ქაქუთია** შავებით ხვდებოდა **მარიამ წულაიას**. ადა მეცხრამეტე ნომერია განთესვით, მარიამი 31-ე, მაგრამ ამ ასაკში სარეიტინგო უპირატესობა გადამწყვეტი არ არის. რადგანაც მზარდი მოჭადრაკე შესაძლოა, დღითიდღე იმაღლებდეს ოსტატობას, - რეიტინგები კი, კარგად ვიცით, კვარტალში ერთხელ ითვლება. ადა ქაქუთიამ კარგა ხანია, მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება და გუშინ ერთხელაც დაამტკიცა, რომ მისი სახით, ნიჭიერი გოგონა გვეზრდება - მოიგო და 3.5 ქულა გაუხდა ოთხიდან. შესანიშნავი შედეგია და თუკი დღესაც ივაჟკაცებს, ნამდვილ სენსაციასაც გამოაცხობს. სიმართლე ითქვას, ადას ეს ძალიან გაუჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ თეთრებით ითამაშებს: მისი მეტოქე პირველი ნომერი **დეა გოგიშვილია**, რომელმაც გუშინ პრინციპულ დავაში აჯობა მეორე ნომერ **თეკლა მაჭარაშვილს** და უდანაკარგოდ, ერთპიროვნულად ლიდერობს ჩემპიონატს.

ასეთივე დაპირისპირება იყო მეორე დაფაზე მესამე და მეოთხე ნომერ მოჭადრაკეთა შორის - **ნატო იმნაძე** თეთრებით **ანა შამათავას** დაჯაბნას ცდილობდა და შეძლო კიდეც. ნატოს 3.5 ქულა აქვს და დღეს შავებით **თეკლა მაჭარაშვილს** ხვდება. ამათ დაპირისპირებაც ერთ-ერთი ცენტრალურია დღევანდელ ტურში.

გოგონებში ქულების მხრივ საკმაო სიმჭიდროვეა: 3.5 ქულა ორს აქვს, 3 - შვიდს, 2.5 კი - ორს. ასე რომ, არც ცხრილის შუა წელში მყოფთ დაუკარგავთ ჯერ წარმატების იმედი.

ვაჟთა შორის კიდევ მეტი გაურკვევლობაა, უფრო სწორად, ლიდერის გამოკვეთამდე ჯერ ადრეა - უდანაკარგოდ ოთხი მონაწილე აგრძელებს სვლას. ამ ოთხიდან სამი განთესვით პირველ სამეულში შედის - **ირაკლი ბერაძე, გიგლა ბენიძე** და **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი**, ხოლო მეოთხე - **გუგა ბურდული** მეთერთმეტეა. ცხადია, მეთერთმეტედ განთესილს შანსიც აქვს და ამბიციაც რეალურად უნდა გააჩნდეს, როგორც ჩანს, ბურდულს არც მოტივაცია აკლია და ლიდერებსაც არ უფრთხის.

ამათ ნახევარი ქულით კიდევ ერთი ოთხეული ჩამორჩება: **გიორგი სიბაშვილი, მამუკა ანთაძე, ბექა ბესელია** და **ალექსანდრე ურდულაშვილი**. მათ კი სამქულიანთა 10-კაციანი რაზმი მოჰყვება და მშვიდად ყოფნას არ ანებებენ. ლიდერთა შორის გუშინ შესაძლო იყო **ალექსანდრე ებრალიძეც** ყოფილიყო, - იგი განთესვით მეოთხეა და გუგა ბურდულთან შეხვედრაში დიდ უპირატესობასაც ფლობდა - ხარისხით და პაიკით დაწინაურდა, რასაც მალე მეტოქის კაპიტულაცია უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ალექსანდრე მოეშვა და მარტივი კონტრთამაში გამოეპარა, რის შედეგადაც თავად მიილო თამაში. გულისტეხა და იმედგაცრუება იმდენად დიდი იყო, რომ ებრალიძემ ცრემლები ვერ შაიკავა და კარგა ხანი მოუნდა დამშვიდებას.

დღეს ვაჟთა შორის პირველ ათ დაფაზე საკმაო რაოდენობის ინტრიგა იტრიალებს. ვნახოთ, ვინ ვის ებრძოლება: **ირაკლი ბერაძე (4) - გიგლა ბენიძე (4); ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (4) - გუგა ბურდული (4); გიორგი სიბაშვილი (3.5) - მამუკა ანთაძე (3.5); ბექა ბესელია (3.5) - ალექსანდრე ურდულაშვილი (3.5); გიორგი შავლაძე (3) - უჩა მღვდელაძე (3); ნოე თუთისანი (3) - ირაკლი კელაპტრიშვილი (3); გუგუნა ხიდეშელი (3) - ლეონტი ხუბუნაია (3); თემურ ოთხოზორია (3) - გიორგი დანგაძე (3); გიორგი მამნიშვილი (3) - გიორგი დანგაძე (3); გიორგი ფაჩულია (2.5) - ალექსანდრე ებრალიძე (2.5).**

**გოგონები: ადა ქაქუთია (3.5) - დეა გოგიშვილი (4); თეკლა მაჭარაშვილი (3) - ნატო იმნაძე (3.5); ანა შამათავა (3) - მარიამ სამურკასოვი; ნინო ხომერიკი (3) - მარიამ ჭოლაძე (3); მარიამ ვალიშვილი (3) - ანა თადოშვილი (2.5); მეგი ჭაჭია (2.5) - ნანა მელაძე (2).**

**ზვიად შათირიშვილი**

ველოსპორტი

# კავკასიის ტური ოთხ ეტაპად



10 ივნისს დაიწყება და 13 ივნისამდე გაგრძელდება საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლა, "კავკასიის ტური". შეჯიბრებაზე საქართველო ორი ნაკრებით წარდგება, "კავკასიის ტურში" მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის გუნდიც. მასპინძელთა გარდა ლია პირველობაზე თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკრებები გამოვლენ. "კავკასიის ტური" ოფიციალურად 10 ივნისს დილის 11:00 საათზე თბილისის "დინამოს" სპორტულ ბაზასთან დაიწყება, სულ კი 4 ეტაპი გაიმართება. პირველი ეტაპი 10 ივნისს, თბილისი-ფასანაური-მცხეთის მარშრუტით ჩატარდება, 11 ივნისს მეორე ეტაპი მოეწყობა რბოლა თბილისი-წითელი ხიდი-გამარჯვება, მე-3 ეტაპი 12 ივნისს, მცხეთაში გაიმართება (წრიული რბოლა მცხეთის გარშემო), ხოლო ბოლო, მე-4 ეტაპი 13 ივნისს შედგება და ველომრბოლელები ერთმანეთს მუხიანის დასახლებაში შეეჯიბრებიან კრიტერიუმში. ტურნირის გენერალური სპონსორია კომპანია "ვისოლი".

"კავკასიის ტურის" დაწყების წინ, 9 ივნისს, საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის ხელმძღვანელობამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართა.

*სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური*

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეკინი 2008. მონაწილეები. რამაზ ნოზაძე, ანტიკური ჭიდაობა

# ფავორიტი

**რამაზ ნოზაძე:** ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. დაიბადა 1983 წლის 17 ოქტომბერს თბილისში. ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი (2004); მსოფლიო ჩემპიონი (2007) და ბრინჯაოს პრიზიორი (2003); ევროპის ორგზის ჩემპიონი (2003; 2007) და მესამე პრიზიორი (2008); მსოფლიო თასის მფლობელი (2003).


რამაზ ნოზაძე

2004 წლის აგვისტო, მზით გათანგული ათენი და ოლიმპიური საჭიდაო კომპლექსის საპრესკონფერენციო დარბაზი. ყურადღების ცენტრში 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამარჯვებული ეგვიპტელი **ქარამ მოჰამედ გაბერ იბრაჰიმია**. ის საკუთარ ძალებში დარწმუნებული კაცის იერით ესაუბრება ჟურნალისტებს და სრულად ირგებს ოლიმპიური ჩემპიონის საკადრის პატივს. იქვე **რამაზ ნოზაძე** ზის განბილებული, ნირწამხდარი სახით და გონებაში ფინალური ბრძოლის პერიპეტიები უტრიალებს. მის გაოგნება გასაგებია - მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იგი ზედიზედ მეორე დიდ ტურნირზე დამარცხდა ეგვიპტელთან. თანაც, ამჯერად - კიდევ უფრო უშანსოდ. იგი სინანულით იგონებს იმ გეგმებს, რასაც მწვრთნელებთან ერთად აწყობდა, როგორ ოცნებობდა რევანშზე და ცდილობს ამოიცნოს, სად შეცდა. მაგრამ ახლა ამის თავიც არა აქვს - ამას მშვიდი, წყნარი გონება სჭირდება, ყველაფრის კარგად გაანალიზება.

ნოზაძესთან ერთად გაოგნებული და განბილებულია მისი ათასობით ქომაგიც საქართველოში. ის ხომ ნამდვილი კერპია აქაური, მეტად მომთხოვნი გულშემატკივრებისთვის, თანაც - ოლიმპიადაზე ოქროს მოპოვების რეალურ კანდიდატად მიიჩნევდნენ და კერპის დამარცხებასთან შეგუება ძნელი აღმოჩნდა. ისინი ახლა დარდს იმაზე კამათით იქარვებენ, როგორ უნდა ეჭიდავა ნოზაძეს, რა იქნებოდა წარმატების ფორმულა. რომ ჩვენებურს უნდა დაეხურა ჭიდაობა, მაქსიმალურად ახლო დისტანციიდან ეჭიდავა და მეტოქისთვის სივრცე არ უნდა მიეცა. ეგვიპტელი ხომ უჩვეულო შესაძლებლობების მოჭიდავეა. ეს საოცრად მოქნილი, ტექნიკური და სწრაფი ფალავანი ხალიჩაზე კი არ ჭიდაობს, საცირკო შოუს აწყობს, ნამდვილ სპექტაკლს დგამს. მის შესახებ სავსებით მართებულად შენიშნა ჩვენი ნაკრების თავკაცმა ბეგი დარჩიამ, კიდევ კარგი, ეგ რომ გამოჩნდა, გაალამაზა ჭიდაობის ეს სახეობა, თორემ საყურებლად აღარ ღირდა უკვეო. ზის ახლა ეგვიპტელი საპრესკონფერენციო დარბაზში და დიდებით ტკბება. მაგრამ ის ობიექტური კაცია და არც მეტოქის შექება ავიწყდება, რომელიც, წაგების მიუხედავად, თავისი შესაძლებლობების გამო ქებას მაინც იმსახურებს. უცებ ეგვიპტელი თარჯიმნის ზურგს უკან გადაიწია, ნოზაძეს მხარზე დაარტყა ხელი და უთხრა - შენ მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი ხარ!

ვიმედოვნებთ, ამ სიტყვების ახდენის დროც მოვიდა. მართალია, პეკინის ოლიმპიადაზე თავად ქარამ იბრაჰიმიც იქნება, რუსი **ასლანბეკ ხუშტოვიც**, ვისთანაც ნოზაძე ევროპის წლევანდელ პირველობაზე დამარცხდა და სხვა უძლიერესი კონკურენტებიც, მაგრამ ამ ტურნირის ერთი გამოკვეთილი ფავორიტთაგანი ჩვენებურია. თუმცა ახლა ნოზაძე ისეთ დღეშია, წინასწარ ზეიმი ნაადრევია. ერთი კვირა არაა, რაც ვარჯიშები განაახლა და ინდივიდუალურად ემზადება, რაზეც მისი პირადი მწვრთნელი **ოთარ ტატიშვილი** გვესაუბრება:

"ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნოზაძე ნატკენ მხარს მკურნალობდა. გადავწყვიტეთ, საფუძვლიანად ემკურნალა, ბოლომდე გამოჯანმრთელებულიყო და მერე დაეწყო ვარჯიში. ამიტომ შერეული მიდგომა - მზადების პარალელურად მკურნალობა - ვიუარეთ, ბოლომდე ვუმკურნალეთ და უკვე მეორე კვირაა, სპეციალური გეგმით ვარჯიშობს. ჯერ მხარის სახსარზე სრულ დატვირთვას ვერ ვილებთ. ახლა წახკაძორში მივდივართ ოლიმპიურ ბაზაზე, სადაც უფრო მაღალ დატვირთვაზე გადავალთ. იქ უკვე გუნდის საერთო მზადებას მიუახლოვდება, მაგრამ მაინც იქნება განსხვავებული, სპეციფიკური ვარჯიშები მკერდის, მხრის სახსრის, კუნთების გასამაგრებლად.

მოგვიანებით კიდევ ერთი გასვლითი შეკრება გვექნება - მინსკში, რადგან, ჩემდა სამწუხაროდ, საქართველოში სათანადო ბაზა არ არსებობს და იძულებული ვართ, უცხოეთში ვიაროთ. ჩვენი გათვლებით, ნოზაძე პიკში მანდ უნდა შევიდეს.

რაც შეეხება ტურნირებს, წახკაძორის შემდეგ ბაქოში გამოსვლას ვგეგმავთ, სადაც ნოზაძე პერსონალურადაა მიწვეული "ოქროს დიდი პრიზის" ფინალურ ტურნირზე, მაგრამ ვნახოთ, როგორ კონდიციაში იქნება სომხეთიდან დაბრუნების შემდეგ. თუ არ იქნება ჩვენთვის სასურველ ფორმაში, მაშინ მანდ არ წავალთ და ერთი კვირის შემდეგ ესპანეთში ვიჭიდავებთ. ეს საკითხი მოგვიანებით გაირკვევა, მაგრამ ოლიმპიადამდე ერთ ტურნირზე გამოვა. მას შეჯიბრებები არ აკლია, მაგრამ ესეც აუცილებელია - ხატოვნად რომ ვთქვათ, სისხლის სუნი უნდა იგრძნოს".

"ვფიქრობ, ნოზაძე უკვე მზადაა მთელი დატვირთვით ვარჯიშის დასაწყებად. ამ ეტაპზე მთავარია, ის სავარჯიშო ფორმაში მოვიდეს და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. თავად მასში ჩანს ის ენთუზიაზმი და შემართება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საუკეთესოდ მომზადებას და წარმატებით გამოსვლას." - ამბობს ნაკრების თავკაცი **ბეგი დარჩია**.

"მხარის სერიოზული ტრავმის შემდეგ ვარჯიში ახლახან განვაახლე - დღეს მესამედ ვივარჯიშე, ერთი ორთარძოლაც ჩავატარე და ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. მხარი ცოტათი ისევ მტკივა, თუმცა, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ მოვიშუშე და უკვე სრული დატვირთვით ვემზადები. ამჟამად იმ ფორმაში ვარ, რაც ამ ეტაპისთვის მომეთხოვება. ამ დღეებში შეკრებებზე წავალთ და თანდათან ოპტიმალურ ფორმაშიც შევალ. ჯერჯერობით ცოტა ზედმეტი წონა მაქვს -105 კილოგრამი ვარ, მაგრამ საბაზო შეკრების მერე ხალიჩაზე რომ გადავალთ, ერთ კვირაში 101-ზე ჩამოვალ, რაც ჩემი სტაბილური წონაა" - ეს უკვე თავად რამაზ ნოზაძის სიტყვებია.

ნოზაძეს თვითონაც მშვენივრად ესმის, რომ ფავორიტობა ოლიმპიადაზე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ანიჭებს. ისიც მშვენივრად იცის, რომ იქ გამარჯვება არ იქნება იოლი იმის მიუხედავად, რომ ეგვიპტელი ვერაა ძველებურად ძლიერი და ლიცენზიის მოპოვებაც გაუჭირდა. ადრე, ყოველ ტურნირზე წასვლამდე ის მუდამ გადაჭრით ამბობდა, რომ მიდიოდა მოსაგებად, ახლა კი ოლიმპიურ პროგნოზებზე საუბრისას ბევრად თავშეკავებულია: "პროგნოზებისგან თავს შევიკავებ. რაც ღმერთის ნებაა, ის იქნება. არა მგონია, ამაზე ლაპარაკი გამართლებული იყოს. ვფიქრობ, წინასწარ ლაპარაკი არაა სწორი. მიმაჩნია, რომ კაცმა კი არ უნდა ილაპარაკო, არამედ უნდა გახვიდე და იჭიდაო." - ასეთია მისი ამჟამინდელი წინასაოლიმპიადო განწყობა.

შეგირდზე არანაკლებ თავშეკავებულია **ოთარ ტატიშვილიც**, რომელიც ასევე ერიდება პროგნოზებს: "ჭიდაობა ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება და შეიძლება ითქვას, ყველამ ისწავლა. მაგრამ ჩვენც მივაღწიეთ გარკვეულ პროგრესს და მეტოქეებს სიურპრიზებს შევთავაზებთ. თუმცა ბოლო დღემდე პროგნოზის გაკეთება ძალიან ძნელია. ვნახოთ, როგორ ჩაივლის მოსამზადებელი ციკლი, რამდენად შეგვიწყობს ხელს ჯანმრთელობა, ხომ არ იქნება პრობლემები და შევძლებთ თუ არა მოსამზადებელი გეგმის წარმატებით დასრულებას. წილისყრაზეც ბევრი რამა დამოკიდებული. ამიტომ ვამბობ, რომ ასე ადრე პროგნოზების გაკეთება ძნელია. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ხალხი 4-5-ზის მსოფლიო ჩემპიონია და ოლიმპიადაზე მედალს ვერ იღებენ. მესმის საზოგადოების დაკვეთაც - მათ მედალი სურთ და მედლისთვის ვიბრძოლებთ, მაგრამ როგორი ხარისხის იქნება, ეს 15 აგვისტოს გამოჩნდება, როცა რამაზი იჭიდავებს".

დაგვეთანხმებით, ამჯერად ორივე ძალზე თავშეკავებულია პროგნოზებში. საკითხავია, რა გახდა ამის მიზეზი? იქნებ ევროპის წლევანდელ პირველობაზე წაგება, რომელიც არა მარტო მათთვის, არამედ ჩვენთვის, ქომაგისთვისაც ძალზე მოულოდნელი და ჩვეულებრივზე ცივი შხაპი აღმოჩნდა? ნოზაძე ხომ იქაც ფავორიტად ჩავიდა და ლამის წინასწარ ვულოცავდით გამარჯვებას. კაცმა რომ თქვას, მიზეზიც გვქონდა - რამაზმა ხომ შარშან დუბლი გააკეთა, ანუ ევროპის პირველობაც მოიგო და მსოფლიო ჩემპიონიც გახდა. და ეს ყველაფერი იმ მძიმე ავტოავარიის შემდეგ გააკეთა, რომელმაც მისი კარიერა კინაღამ შეიწირა. რაკი სპორტს ასე წარმატებით დაუბრუნდა, ლამის ისეთი აზრი გაჩნდა, რომ ცალი ხელით მოიგებდა ევროპის პირველობას. ისიც საყურადღებოა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე იგი ვერ იყო საუკეთესო ფორმაში - ეს აშკარად ეტყობოდა მის ჭიდაობას, თუმცა ამას გამარჯვებაში ხელი არ შეუშლია. თავის მხრივ, ეს იმას ნიშნავდა , რომ მასში რეზერვი არსებობდა და ოპტიმიზმის საბაბიც გვემატებოდა - მოუმზადებელი თუ მსოფლიო ჩემპიონი ხდება, მაშ, მომზადებული რას იზამს! სწორედ ამიტომ გვეიმედებოდა მისი, მაგრამ ჩავიდა ფინეთში ტურნირზე და გამაოგნებელი მარცხი იწვნია რუს ხუშტოვთან!!! კაცმა რომ თქვას, ის შეხვედრა უფრო რამაზმა წააგო, იმდენად ინერტულად ჭიდაობდა, ვიდრე – მეტოქემ მოიგო, მაგრამ ოქრო კი გვერდზე დარჩა და ნოზაძე მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა. თან, ეს ყველაფერი ოლიმპიადის წინ მოხდა, რამაც ქომაგი ორმაგად შეაშფოთა. საკითხავია, რამ გამოიწვია ხუშტოვთან მარცხი?

აქ საინტერესოა ერთი გარემოებაც. ნოზაძის ევროპაზე წასვლა-არწასვლასთან დაკავშირებით მწვრთნელთა საბჭოში აზრები ორად გაიყო. ნაწილი მიიჩნევდა, რომ ნოზაძეს ეს ტურნირი უნდა გამოეტოვებინა და სანაცვლოდ რომელიმე რიგით ტურნირში ეჭიდავა, მაგრამ ამ ვითარებაში გადამწყვეტი ტატიშვილის პოზიცია აღმოჩნდა. იგი საჭიროდ მიიჩნევდა იქ გამოსვლას, როგორც პრესტიჟულ და ძლიერ ტურნირში და ამას სწორედ ზემოთქმული "სისხლის სუნის" შეგრძნებით ხსნიდა. სამწუხაროდ, მან მაშინ ინტერვიუ სასტიკად იუარა, თუმცა პირად საუბარში ასეთი რამ მითხრა - ყველას რომ ჰგონია, ნოზაძე ოღონდ ჩავიდეს ტურნირზე და აუცილებლად მოიგებს, არაა ეგრე საქმე. ამიტომ მინდა ახლა მისი ევროპაზე წასვლა, რომ იგრძნოს მეტოქეები ძალა, იგრძნოს, რომ ყველა შეხვედრა საბრძოლველიაო. ყველაფერი ისე კარგად აგიხდეთ, როგორც მისი ეს სიტყვები ახდა. დღეს ტატიშვილი იმ წაგებას ასე ხსნის: "ევროპის პირველობამდე ნოზაძეს მხარი სტკიოდა - ვარჯიშზე იტკინა და გაუმიზეზდა. ხუშტოვთან წაგების მიზეზიც ეს იყო და ამიტომ დათმო ის შეხვედრაც, მაგრამ მისი პოტენციალი ყველამ ნახეთ ბულგარელ კალოიან დინჩევთან, როცა სულ რაღაც 10 წამში ასეთი დონის მოჭიდავესთან საკუთარი ძალა გამოაჩინა".

"ხუშტოვთან წაგებას ტრავმით ვხსნი - ხელი სერიოზულად მტკიოდა. თან, მართალი გითხრათ, არც ბოლომდე დავიხარჯე რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ტრავმის გამიზეზებისაც მეშინოდა და არც ბოლომდე გახსნა მინდოდა. ეს ჩემთვის ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი ერთ-ერთი სასტარტო ტურნირი გახლდათ და იქ უფრო სამომავლო სტრატეგიულ გეგმებზე ვფიქრობდი, ვიდრე - შედეგზე. გულახდილად გეტყვით, მედალზე არც ვფიქრობდი. ვიფიქრე, ჩავალ და შევხედავ, იქნებ, 1-2 შეხვედრის მერე არც გავაგრძელო ჭიდაობა-მეთქი. მიმაჩნია, რომ ნორმალურად გამოვედი, რადგან მედალიც მოვიპოვე და, მგონი, ჩემი ჭიდაობით უკმაყოფილონი არც მწვრთნელები დარჩენილან." - ამბობს ნოზაძე.

**რამაზ ნოზაძე** ახლა, ამ წუთებში სომხურ წახკაძორშია, სადაც გუშინდელიდან ნაკრებმა შეკრება დაიწყო. ესაა საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი შეკრება, რომლითაც გუნდი ოლიმპიადისთვის მიზანმიმართულ მზადებას იწყებს. ბუნებრივია, ევროპის პირველობაც თუ სხვა ტურნირებიც თამაშებისთვის მზადებას ემსახურებოდა, მაგრამ აქამდე ნაკრებს სხვა, შედარებით ლოკალური მიზნებიც ამოძრავებდა - თუნდაც იგივე კონტინენტის პირველობა, მაგრამ სეზონის უმთავრესი ტურნირი მაინც ოლიმპიადაა და ახლა საგანგებოდ ემზადებიან იმისთვის. ეს თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ, მაგალითად, სეზონის დასაწყისში მოწყობილ ანალოგიურ საბაზო შეკრებაზე სრულად არ დატვირთულან - პიკი ხომ ოლიმპიადისთვისაა აუცილებელი, წელიწადში ორჯერ კი ეს ძალზე ძნელია. ამიტომ მაშინ შედარებით მსუბუქად ივარჯიშეს, ახლა კი მთელი დატვირთვებით შეუდგებიან საქმეს. მთავარია, ტრავმებისგან დაიფაროს ღმერთმა. ამ ეტაპზე ყველას მთავარი საფიქრალი ესაა, თორემ ნოზაძის შესაძლებლობებში ეჭვი არავის ეპარება. მის კოლექციას მხოლოდ ოლიმპიური ოქრო აკლია, მაგრამ ეს ჩვენზე - ქომაგებზე მეტად თავად ნოზაძეს აფიქრებს. გადატანილი ტრავმებისა თუ ზემოაღნიშნული ხელისშემშლელი მიზეზების მიუხედავად (რაც აქამდე ხელს უშლიდა ვარჯიშში), ვფიქრობთ, ამ დანაკლისის შევსების მაინც კარგი შანსი ეძლევა.

ამას იმიტომ არ ვფიქრობთ, რომ ეგვიპტელი ვერაა ძველებურად შეუჩერებელი ან სხვა კონკურენტები მოაკლდნენ. პირიქით, ადრე თვით რუსეთის ნაკრებშიც კი არ იყვნენ მისი მომრევები იმის მიუხედავად, რომ მათ რიგებში მსოფლიოს 5-ზის ჩემპიონი გოგი კოლუაშვილი ჭიდაობდა, ახლა კი აგერ, ხუშტოვი გამოჩნდა, რომელმაც მოუგო კიდეც. არა, ამას უფრო იმიტომ ვამბობთ, რომ ათენის შემდეგ განვლილ ოთხწლიან ციკლში, ტრავმებისა და გაცდენილი პერიოდის მიუხედავად, თავად ნოზაძემ ისწავლა ბევრი და გაცილებით გაიზარდა, როგორც სპორტსმენი. თუ ადრე მისი ძირითადი კოზირი ჩოქბჯენიდან ჭიდაობა იყო, დღეს დგომიდანაც თავისუფლად აკეთებს ილეთებს. სხვა საქმეა, ჩოქბჯენიდან კაცის აქაჩვა და დატრიალება თუ სხაგვარ ფანდებს ურჩევნია - აქ ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი - წყალში, მაგრამ ახლა მეტოქეებს გაცილებით დიდ თავსატეხს უჩენს. ამ ყველაფერთან ერთად გამოცდილებაც მოემატა, რაც ასევე ბევრს ნიშნავს.

და მაინც, ვისთან მოუწევს ნოზაძეს პაექრობა ჩინეთში და ვის მიიჩნევს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტებად? აჯობებს, ამაზე მას მოვუსმინოთ: "ოლიმპიადაზე ყველა ძირითადი კონკურენტი იქნება - რუსი ასლანბეკ ხუშტოვიც, ეგვიპტელი ქარამ იბრაჰიმიც, გერმანელი მირკო ენგლიხიც და ლატვიელი მინდაუგას ეზერსკისიც. კიდევ 1-2 მოჭიდავე, რომელთაგანაც ასევე დიდ წინააღმდეგობას მელოდები, თუმცა, ამათ გარდა, ყველასთან საჭიდაოა. უბრალოდ, ამათ ძირითად კონკურენტებად მივიჩნევ, თორემ უბრძოლველად არავინ არაფერს დაგითმობს და ვერც ერთ შეხვედრაში ვერ მოდუნდები, წავიდა ის დრო, როცა ვიღაცასთან შეგეძლო ბოლომდე არ დახარჯულიყავი. ახლა ყველა სათანადოდ უნდა შეაფასო, თორემ სხვანაირად არ გამოვა - ზერელე მიდგომა დამღუპველია, ყველასთან საბრძოლველად უნდა განეწყო".

ყველა მეტოქესთან საბრძოლველად რომ უნდა განეწყო, ეს დარჩიამაც მშვენივრად იცის და იმიც დარწმუნებულია, რომ ნოზაძეს პეკინში მძიმე ბრძოლები ელოდება, მაგრამ ამისთვის მზადაა. "ძლიერ მეტოქეს თუ არ მოუგე, ჩემპიონი ვერ გახდები. ვიმედოვნებ, ნოზაძე ოლიმპიადისთვის კარგად მოემზადება - წინ მთელი მოსამზადებელი ციკლია. მთავარია, ჯანმრთელობამ შეუწყოს ხელი და, იმედია, ყველაფერი კარგად იქნება." - ამბობს დარჩია.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ინტერვიუ ანა ივანოვიჩთან

# მაგალითი ჯოკოვიჩმა მომცა

როლან გაროსის ახალი დედოფალი სერბი ანა ივანოვიჩი გახდა. ის პირველი სერბი ქალი ჩოგბურთელია, რომელმაც "დიდი სლემის" ტურნირის მოგება შეძლო. ამასთან, ანა ასევე პირველად, WTA-ს რეიტინგს ჩაუდგა სათავეში. მოკლედ ივანოვიჩი ახალ ცხოვრებას იწყებს და საინტერესოა, როგორ ხვდება სერბი ამ ცვლილებებს.

**- ამბობენ, რომ "დიდი სლემის" პირველი ტურნირის მოგების შემდეგ, საკუთარ თავზე სხვანაირად იწყებ ფიქრს. უკვე იგრძენით ეს ცვლილება?**

- არა, ერთადერთი, რასაც ახლა ვგრძნობ, უდიდესი ბედნიერებაა. სიტყვები არ მყოფნის ამ გრძნობის გამოსახატავად. "დიდი სლემის" ტურნირის მოგება - ეს ის არის, რაზეც ბავშვობიდან ვოცნებობდი. იცით, როგორ ხდება ეს? მუშაობ კორტის მიღმა, შემდეგ კორტზე, მთელი ძალა და მონდომება ჩოგბურთს მიაქვს, რადგან მიყვარს ეს თამაში, მისგან აბსოლუტურ სიამოვნებას ვიღებ და აი, პარიზში ამ მონდომებისთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი მივიღე. ახლა იმის სტიმული მაქვს, რომ უფრო ბევრი ვიმუშაო და ასეთი ჯილდოები, რაც შეიძლება მეტი შევაგროვო.

**- აქამდე ივანოვიჩზე ამბობდნენ, რომ ნაზი გოგონაა იმისთვის, რომ კორტზე ნამდვილი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინოსო. როლან გაროსის ფინალში ეს მითი საბოლოოდ დაამსხვრიეთ...**

- ვცდილობ. როცა კორტზე გადიხარ, იქ მართლაც მეომრად უნდა გადაიქცე, მაგრამ სინამდვილეში ამის თქმა იოლია, ვიდრე მისი განხორციელება. მეტოქე შენგან მუდმივ ზეწოლას უნდა გრძნობდეს, უნდა დაანახო - ვინ არის მოედნის ბატონ-პატრონი... კორტის მიღმა კი, ალბათ, ყველაფერი სხვანაირად არის. მიუხედავად ყველაფრისა, ჩემთვის მთავარია პატიოსანი ჩოგბურთელის სახელი მქონდეს. არ ვაპირებ არაფრის გამო საკუთარი სახე დავკარგო.

**- მელბურნში ჯოკოვიჩის გამარჯვების შემდეგ, ეს იყო სერბული ჩოგბურთის კიდევ ერთი ტრიუმფი. მთავარი პრიზი მოიგეთ და თან მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდით. ახლა, თანამედროვე ჩოგბურთში მუდმივად თქვენ, ნოვაკი და ელენა იქნებით ლიდერები?**

- იმედი მაქვს, ასე იქნება! წლის დასაწყისში, ჯოკოვიჩი პირველი სერბი გახდა, ვინც "დიდი სლემის" ტურნირი მოიგო. ჩემთვის ვფიქრობდი - რადგან მან ამას მიაღწია, ე.ი. მეც შემიძლია იგივე წარმატების მოპოვება. ეს ფაქტორი უდიდეს მოტივაციას მაძლევდა და იმედია, ჩვენი მაგალითი რომელიმე სერბი ბავშვისთვის ალმაფრენის წყარო გახდება.



**- რამდენი ხანი შეძლებთ რეიტინგის პირველი პოზიციის შენარჩუნებას?**

- როცა საკუთარ თამაშს თამაშობ, რეიტინგში შენი პოზიცია თავად მეტყველებს ყველაფერზე. მთავარია, მომავალშიც ყველაფერი სწორად გავაკეთო და საკუთარ თამაშს არ ვუღალატო, კლასიფიკაცია კი, თავის თავზე თვითონ იზრუნებს. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ პირველ პოზიციაზე გადავედი, ახლა მთავარია უფრო მეტად თვითდაჯერებული ვიყო.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებთ უიმბლდონზე გამარჯვებას?**

- მე ჯერ კიდევ პარიზული ცხოვრებით ვტკბები და ბალახზე ფიქრი არ დამიწყია. მაგრამ, რა თქმა უნდა, იქ წასვლა და გამარჯვება ძალიან მინდა. ვიცი, რომ ამიერიდან ყველა მეტოქე ჩემ წინააღმდეგ საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენებას შეეცდება. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ უიმბლდონზე გამარჯვების კარგი შანსი მაქვს.

**- ბევრს საუბრობენ თქვენი გუნდის შესახებ, მაგრამ მშობლებზე ცოტა რამ თუ ვიცით - ისინი ჩრდილში ყოფნას ამჯობინებენ.**

- მშობლები ყოველთვის მეხმარებოდნენ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. დედაჩემი ხანდახან მოგზაურობს ჩემთან ერთად, მაგრამ ინტერვიუების მიცემა არ უყვარს.

**- ამან, ალბათ, უფრო დამოუკიდებელ ადამიანად გაქციათ...**

- რა თქმა უნდა, ეს უფრო ძლიერს ხდის ადამიანს. ჩემი მშობლები არასდროს არაფერს მაიძულებდნენ, ყოველთვის პატივს სცემდნენ ჩემს გადაწყვეტილებებს. ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან კორტზე დამოუკიდებლად გიწევს გადაწყვეტილებების მიღება და ამას თავიდანვე უნდა შეეჩვიო.

**- თქვენთვის საუკეთესო ვარიანტი იყო ის, რომ ფინალის დღეს ჟუსტინ ანენი ტრიბუნაზე იმყოფებოდა და არა, კორტის მეორე მხარეს.**

- ამის შესახებ ხშირად მეკითხებიან - მსურს თუ არა შარშანდელი ფინალის დავიწყება? არ მსურს, რადგან თუნდაც ანენთან წაგება ჩემთვის უდიდესი გამოცდილება იყო. რა თქმა უნდა, მაშინ ძალიან დამწუხრებული ვიყავი, მაგრამ ჟუსტინი დიდი ჩემპიონია. ლეგენდარულ ჩოგბურთელთან წავაგე და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ამ ფინალზე მისი ხილვა ძალიან მესიამოვნა, ხოლო, როცა ანენმა თასი გადმომცა, ენით აუწერელი გრძნობა დამეუფლა.

**- სხვათა შორის, წელს ანენის რეკორდი დაამხეთ: შარშან მან 14-ჯერ წარმოთქვა Allez, თქვენ კი, საფინასთან მატჩში - 17-ჯერ წამოიყვირეთ - Adje...**

- ეს დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული ჩვევაა. თავისთავად ხდება ყველაფერი. შემდეგ, Common ამეკვიატა, რადგან ინგლისურენოვან მწვრთნელებთან მიწევს მუშაობა. იმედია, თანამემამულეები ამის გამო არ გამინაწყენდებიან.

გია თვალაბეიშვილი

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

ფორმულა 1. ინციდენტი

# ათი ადგილით უკან

"მაკლარენმა" აღიარა, რომ კანადის დიდი პრიზის დროს მომხდარი ინციდენტის გამო, მისი ბრიტანელი პილოტი **ლუის ჰემილტონი** სამართლიანად დაისაჯა. პიტლაინიდან გამოსასვლელში მომხდარი ავარია ჰემილტონის უყურადღებობამ გამოიწვია, რისთვისაც ბრიტანელი პილოტი მომდევნო რბოლას (საფრანგეთის დიდი პრიზი), საკვალიფიკაციო სესიაზე მოპოვებულ პოზიციაზე ათი ადგილით უკან დაიწყებს.

აღნიშნული ინციდენტი ჰემილტონს ისედაც ძვირად დაუჯდა. მის გამო, მან რბოლის დასრულება ვერ შეძლო და ბუნებრივია, ქულაც ვერ მოიპოვა. ამით კი ყველაზე უკეთ "ბეემვე ზაუბერის" პოლონელმა პილოტმა **რობერტ კუბიცამ** ისარგებლა, ვინც კანადური რბოლის მოგებით, ჩემპიონატის ლიდერი გახდა.

ჰემილტონის გარდა, ინციდენტმა "ფერარის" ფინელი პილოტი **კიმი რაიკონენიც** დააზარალა, ვინც ასევე ვერ შეძლო რბოლის გაგრძელება და ზედიზედ მეორე ეტაპი დაასრულა უქულოდ. ამის გამო, ის კლასიფიკაციაში მოწინავე სამეულიდან თავისმა ბრაზილიელმა თანაგუნდელმა **ფელიპე მასამ** გამოდევნა.

*"სტიუარდების გადაწყვეტილებას ჩვენ მკაცრად მივიჩნევთ, თუმცა ის სრულიად სამართლიანია. მკაცრია იმდენად, რამდენადაც მის გამო, ლუის ჰემილტონს საფრანგეთში ძალიან გაუჭირდება. მაგრამ სამართლიანია იმის გამო, რომ ჩვენ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ მცირე არგუმენტიც კი არ გაგვაჩნია. რაც რბოლის დროს ბოქსებიდან გამოსასვლელში მოხდა, ლუისის ბრალია და ამ ფაქტს ვერსად გავექცევით. ახლა ისლა დაგვრჩენია, საფრანგეთისთვის მას წინასწარ მოვუმზადოთ განსხვავებული სტრატეგია, ისეთი, რომლის წყალობითაც, ის დანაკარგს მაქსიმალურად აანაზღაურებს"*, - რბოლის შემდეგ გამოქვეყნებულ პრესრელიზში ამბობს "მაკლარენის" მთავარი აღმასრულებელი **მარტინ უაიტმარში**.

რაიკონენმა ჰემილტონის ქმედებას აუხსნელი და სულელური უწოდა. ფორმულა ერთის პირველ შავკანიან პილოტს, კრიტიკა არც ბრიტანულმა პრესამ დააკლო, რომელმაც მას ისიც კი გაუხსენა, რომ რბოლამდე ორი დღით ადრე, ლუისი თავის მამას აშაყირებდა იმის გამო, რომ მან ერთი კვირით ადრე, 600 ათას დოლარად ღირებული "პორშე" დაამტვრია.

უაიტმარში დასძენს, რომ მისი პილოტის გაუაზრებელმა ქმედებამ რაიკონენი და "ფერარი" ძლიერ დააზარალა, თუმცა ახლა რაიმეს გამოსწორება შეუძლებელია. ის ასევე დასძენს, რომ ინციდენტის მომენტში პიტლაინი მეტისმეტად გადატვირთული იყო, რაც ნებისმიერ პილოტს საქმეს ურთულებდაო. თუმცა ამის მიუხედავად, სტიუარდების გადაწყვეტილების გასაჩივრებას ის არ აპირებს.

*"ჩვენ მანი კურზე ათადგილიანი ჯარიმით მივდივართ, რაც, რა თქმა უნდა, ხელისშემშლელი გარემოებაა. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ლუისი ალბათ საფრანგეთის რბოლაზე პიტსტოპზე გვიან შევა. ჯერ რბოლის მოდელირება არ ჩაგვიტარებია, თუმცა ინტუიცია მკარნახობს, რომ ასე იქნება. რამდენ პიტსტოპს შეასრულებს? ეს ჯერ გადასაწყვეტია"*, - ამბობს უაიტმარში და დასძენს, რომ "მანი კურისა" და "სილვერსტოუნის" ტრასები "მაკლარენის" ბოლიდებისთვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მეტოქეებისთვის, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მის გუნდს ამ ორ ეტაპზე უდავო უპირატესობა ექნება.

მერაბ ლორთქიფანიძე



რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6675 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5585 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 5225 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3050 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 2905 |
| 6(6). ენდი როდიკი (აშშ) | 2405 |
| 7(8). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2015 |
| 8(7). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 2000 |
| 9(10). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1615 |
| 10(9). რიშარ გასკე (საფ) | 1595 |
| 11(12). ენდი მარეი (ბრიტ) | 1555 |
| 12(13). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1490 |
| 13(20): ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1485 |
| 14(11). ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 1440 |
| 15(25). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 1405 |
| 16(22). რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 1360 |
| 17(19). პოლ-ანრი მატიო (საფ) | 1345 |
| 18(15). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1335 |
| 19(14). ტომი რობრედო (ესპ) | 1255 |
| 20(23). ვერნანდო ვერდასკო (ესპ) | 1240 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 710 |
| 2(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 611 |
| 3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 500 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 340 |
| 5(6). დავიდ ფერერი (ესპ) | 254 |
| 6(9). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 231 |
| 7(5). ენდი როდიკი (აშშ) | 213 |
| 8(7). ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 200 |
| 9(10). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 191 |
| 10(8). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 189 |
| 11(11). ენდი მარეი (ბრიტ) | 174 |
| 12(20). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 161 |
| 13(14). რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 160 |
| 14(12). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 149 |
| 15(18). მიხაელ ლოდრა (საფ) | 148 |
| 16(16). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 136 |
| 17(13). ხუან მონაკო (არგ) | 135 |
| 18(17). მიხაილ იუჟნი (რუს) | 134 |
| 19(25). პოლ ანრი მატიო (საფ) | 131 |
| 20(15). მარდი ფიში (აშშ) | 130 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპ) | 3 869 241 |
| 2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3 136 920 |
| 3. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 2 090 610 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 1 257 698 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპ) | 826 354 |
| 6. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 797 506 |
| 7. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 731 721 |
| 8. ენდი როდიკი (აშშ) | 731 376 |
| 9. მიხაელ ლოდრა (საფ) | 682 071 |
| 10. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 672 244 |
| 11. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 610 777 |
| 12. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 585 923 |
| 13. ენდი მარეი (ბრიტ) | 583 420 |
| 14. მიხაილ იუჟნი (რუს) | 562 096 |
| 15. გაელ მონფილსი (საფ) | 532 319 |
| 16. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 510 994 |
| 17. იგორ ანდრეევი (რუს) | 503 340 |
| 18. დმიტრი ტურსუნოვი (რუს) | 493 163 |
| 19. მარდი ფიში (აშშ) | 490 050 |
| 20. ლუის ორნა (პერ) | 458 291 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(2). ანა ივანოვიჩი (სერ) | 4222 |
| 2(1). მარია შარაპოვა (რუს) | 3806 |
| 3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3755 |
| 4(4). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3565 |
| 5(8). ელენა დემენტიევა (რუს) | 2750 |
| 6(5). სერენა უილიამსი (აშშ) | 2676 |
| 7(7). ვენუს უილიამსი (აშშ) | 2606 |
| 8(6). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2541 |
| 9(14). დინარა საფინა (რუს) | 2222 |
| 10(9). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2035 |
| 11(10). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2032 |
| 12(11). პატი შნიდერი (შვეიც) | 1940 |
| 13(12). ვერა ზვონარევა (რუს) | 1912 |
| 14(15). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1776 |
| 15(13). აგნეს შავაი (უნგ) | 1681 |
| 16(17). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 1386 |
| 17(20). ალიზ კორნე (საფ) | 1248 |
| 18(19). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 1201 |
| 19(16). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1187 |
| 20(21). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1160 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ანა ივანოვიჩი (სერ) | 2671 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2505 |
| 3. მარია შარაპოვა (რუს) | 2395 |
| 4. სერენა უილიამსი (აშშ) | 1765 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1680 |
| 6. ელენა დემენტიევა (რუს) | 1536 |
| 7. დინარა საფინა (რუს) | 1533 |
| 8. ვერა ზვონარევა (რუს) | 1462 |
| 9. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1202 |
| 10. პატი შნიდერი (შვეიც) | 943 |
| 11. ალიზ კორნე (საფ) | 924 |
| 12. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 792 |
| 13. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 786 |
| 14. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 780 |
| 15. ვენუს უილიამსი (აშშ) | 766 |
| 16. ფლავია პენეტა (იტა) | 721 |
| 17. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ) | 712 |
| 18. აგნეს შავაი (უნგ) | 647 |
| 19. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) | 639 |
| 19. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) | 639 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 464 858 |
| 2. მარია შარაპოვა (რუს) | 1 890 850 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 444 995 |
| 4. დინარა საფინა (რუს) | 1 200 608 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 157 466 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 979 647 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუს) | 777 967 |
| 8. ვერა ზვონარევა (რუს) | 698 304 |
| 9. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 543 206 |
| 10. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) | 507 524 |
| 11. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 488 088 |
| 12. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 458 470 |
| 13. კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 457 441 |
| 14. ალიონა ბონდარენკო (უკრ) | 431 922 |
| 15. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 421 643 |
| 16. პატი შნიდერი (შვეიც) | 408 092 |
| 17. აი სუგიამა (იაპ) | 383 742 |
| 18. ვენუს უილიამსი (აშშ) | 383 201 |
| 19. კატერინა ბონდარენკო (უკრ) | 373 389 |
| 20. ვირხინია რ-პასკუალი (ესპ) | 367 544 |

მძლეოსნობა

# პისტორიუსმა ორი გარბენი მოიგო

სამხრეთაფრიკელმა უფეხო მორბენალმა **ოსკარ პისტორიუსმა**, ვისაც ოლიმპიადაზე ასპარეზობის უფლება სამიოდ კვირის წინათ მიენიჭა, მორიგი ორი გარბენი მოიგო, ოღონდ ინვალიდებს შორის. 400 მეტრზე სპრინტი მან 48.19 წამში გაირბინა, რაც ოდნავ უარესია, მის მიერვე ერთი კვირით ადრე ნაჩვენებ დროზე (47.92 წამი).

ჰოლანდიაში, ინვალიდთა ტურნირზე ასპარეზობისას, მან ასევე 200 მეტრზე სპრინტშიც გაიმარჯვა, სადაც ფინიშს 22.15 წამში მიაღწია. ასპარეზობის შემდეგ, პისტორიუსმა, ვისაც ორივე ფეხი მოკვეთილი აქვს და ნახშირბადოვანი კომპოზიტისგან დამზადებული პროთეზით ასპარეზობს, განაცხადა, რომ თანდათან შედის ფორმაში, თუმცა ოლიმპიური საგზურის მოპოვება მაინც გაუჭირდება.

იმისათვის, რომ პეკინში გამოსვლის უფლება მიიღოს, მან 400 მეტრი 45.55 წამში უნდა გაირბინოს. შედარებისთვის, მისი კარიერის საუკეთესო შედეგი ჯერჯერობით, 46.33 წამია. თუმცა მას სჯერა, რომ ამ ბარიერს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გადალახავს.

შეგახსენებთ, რომ მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციამ, პისტორიუსს პროთეზები ჯანმრთელ მორბენლებთან უპირატესობად ჩაუთვალა, რის გამოც, მის მიერ ორგანიზებულ ტურნირებზე გამოსვლა აუკრძალა, თუმცა მოგვიანებით, სპორტის საქმეთა საარბიტრაჟო სასამართლომ ეს აკრძალვა გააუქმა.

პისტორიუსი ამბობს, რომ ჯანმრთელ სპორტსმენებს შორის, ამ სეზონში პირველად მილანში, 2 ივლისს იასპარეზებს, მეორე გამოსვლა კი რომში, ოქროს ლიგის შეხვედრაზე ექნება, რომელიც 11 ივლისს ჩატარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. II მატჩი

# იძებნება გასოლი



პოუს სტუმრებმა ბევრის უფლება მისცეს

**ბოსტონი-ლეიკერსი 108:102**

20:22, 34:20, 29:19, 25:41

ბ: პირსი (28+8 პასი), პოუ (21), გარნეტი (17+14 მოხსნა), რ. ალენი (17), პოუსი (8), პერკინსი (7), ბრაუნი (6), რონდო (4+6 მოხსნა+16 პასი+2 ჩაჭრა), კასელი.

ლ: ბრაიანტი (30+8 პასი+3 ჩაჭრა), გასოლი (17+10 მოხსნა), რადმანოვიჩი (13+10 მოხსნა), ოდომი (10+8 მოხსნა), ფიშერი (9+3 ჩაჭრა), ფარმარი (9), ვუიაჩიჩი (8), ტურიაფი (4), უოლტონი (2), არისა.

**სერია 2:0**

17 ქულა, 10 მოხსნა, რამდენიმე შედეგიანი პასი - ასეთი სტატისტიკა ნებისმიერი მოთამაშისთვის სანაქებო იქნებოდა, მაგრამ როდესაც ამ ყველაფერს საკვანძო ეპიზოდებში საოცარი პასიურობა სდევს თან, ეს ორმაგი დუბლი გინდ ყოფილა და გინდ არა.

სად არის **დირკ ნოვიცკის** შემდეგ NBA-ის საუკეთესო ევროპელი **პაუ გასოლი**, რომელიც სამწამიანში შესული არ გვინახავს და რომლის პასიურობა ფინალურ სერიაში ცუდ სამსახურს უწევს "ლეიკერსს"?

სტუმარმა ამჯერადაც პირველ მეოთხედში საუცხოო დაცვა ითამაშა და ისევე, როგორც წინა შეხვედრაში, "ლეიკერსი" "სელტიქსის" მეორე ტალღამ წალეკა, გასოლი კი ამ დროს პასიურზე პასიური იყო.

გაგიგიათ ვინმეს **ლეონ პოუ?** ალბათ, არ გაგიგიათ და ეს ახალგაზრდა მუტრუკი ისეთივე უცნობ კალათბურთელად დარჩებოდა, რომ არა ესპანელის ინერტული მოქმედება დაცვაში. პოუმ პაუს უუნარობა რომ შეამჩნია, შეუტია და შეუტია "ლეიკერსს" და თქვენ წარმოიდგინეთ, თითქმის ყველაფერი გამოუვიდა. საბოლოოდ, პოუმ 21 ქულა სულ რაღაც 15 წუთში მოიმკო და თავისიანთა გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი გახდა.

"ლეიკერსი" პირველი მეოთხედის შემდეგ და უკანასკნელ 12-წუთეულამდე პასიურად, უგულოდ იდგა დაცვაში, გასოლი და **ლამარ ოდომი** კი პოზიციურად ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდნენ. კობი პირველ მატჩზე ოდნავ აკურატული კი იყო, მაგრამ წლევანდელი ბრაიანტი ხომ, პირველ რიგში, გუნდური მოთამაშეა, ამჯერად კი როგორღაც დაბნეული ჩანდა, რადგან როგორც კი რომელიმე თანაგუნდელისადმი პასის გაკეთებას დააპირებდა, ეს უკანასკნელი იმალებოდა და კობისაც ფორსირებული სროლით უხდებოდა იერიშის დამთავრება. ბრაიანტმა საბოლოოდ, 23 სროლიდან 11 გამოიყენა და შვიდივე საჯარიმო სროლა უნაკლოდ შეასრულა, თუმცა 4 შეცდომა დაუშვა და ბოლოში რამდენიმე იოლი სიტუაციიდან ააცილა.

"ბოსტონმა" პირველ მეოთხედში მეტოქის დაზვერვის შემდეგ, მეორე 12-წუთეულიდან მოყოლებული, კალიფორნიელებს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა და შეტევაში საოცარი, არასტანდარტული გადაწყვეტილებებით ნელ-ნელა სოლიდური ჰანდიკაპი შეიქმნა. თითქოსდა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო - ძირითადის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე მასპინძლები 95:71 გავიდნენ წინ, თუმცა კობიმ შეხვედრას ინტრიგა მაინც დაუბრუნა.

საფინალო სირენას 38 წამი რომ უკლდა, "ლეიკერსის" სუპერვარსკვლავმა ორი ზუსტი საჯარიმოთი სხვაობა 2 ქულამდე (102:104) დაიყვანა. მერე სტუმრები **პოლ პირსზე** დაჯარიმდნენ, ამ უკანასკნელმა ორივე საჯარიმო ზუსტად შეასრულა, კალიფორნიელთა საპასუხო და გადამწყვეტ იერიშში კი, **საშა ვუიაჩიჩს** დაუფარა და შეხვედრის ბედიც აქ გადაწყდა.

*"მოვიგეთ, მაგრამ "ლეიკერსს" ოდნავ მეტი დრო რომ ჰქონოდა, აუცილებლად წავაგებდით. შემდგომში მეტი ყურადღებით უნდა ვითამაშოთ. კონცენტრაციის დაკარგვა შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს"*, - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე პირსი, რომელმაც ამჯერად ტკივილგამაყუჩებლებით ითამაშა და ამის მიუხედავად, თავის გუნდში საუკეთესო იყო.

"ლეიკერსის" რამდენიმე წევრმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მასპინძლებმა მათზე თითქმის ოთხჯერ მეტი საჯარიმო (38:10) შეასრულეს, თუმცა კობის აზრით, ეს არ იყო გადამწყვეტი: *"უბრალოდ, ისინი ჩვენზე აქტიურები და მონდომებულები იყვნენ და ბოლოს კი, დრო აღარ გვეყო"*.

"სელტიქსმა" საკუთარი მოედნის უპირატესობა შეინარჩუნა, ახლა კი, კალიფორნიაში სამი უმძიმესი შეხვედრა ელის. ლოს ანჯელესში თუნდაც ერთი გამარჯვების შემთხვევაში, "სელტიქსი" თითქმის გაინაღდებს სანუკვარ, თავის ისტორიაში მე-17 ჩემპიონობას.

**ზურაბ თალაკვაძე**

ჰოკეი

# დომინატორი მიდის

დღეს, ლეგენდარული მეკარის, **დომინიკ ჰაშეკის** პრესკონფერენცია გაიმართება, რომელშიც ჰოკეისტი აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს.

წლევანდელ სეზონში 43 წლის ჩეხი მეორედ გახდა სტენლის თასის მფლობელი. 2007-08 წლების რეგულარულ ჩემპიონატში "დომინატორმა" 41 მატჩი ჩაატარა, პლეი ოფში კი, პირველ ოთხ შეხვედრაში ითამაშა და შემდეგ პირველი მეკარის სტატუსი **კრის ოსგუდს** გადაულოცა.

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გატარებული 18 წლის განმავლობაში, ჰაშეკი ოთხი კლუბის ღირსებას იცავდა - "ჩიკაგო", "ბაფალო", "ოტავა" და "დეტროიტი". სულ მის ანგარიშზე 735 მატჩია. აქედან 81 შეხვედრაში ჩეხმა "შათაუტი" შეასრულა. "დომინატორი" ორჯერ აღიარეს სეზონის საუკეთესო მოთამაშედ (1997, 1998) და ექვსჯერ დაასახელეს საუკეთესო მეკარედ (1994, 1995, 1997, 1998, 1999, 2001).

ჰაშეკის უდიდესი წვლილია იმაში, რომ 1998 წელს, ჩეხეთის ნაკრებმა ნაგანოს ოლიმპიური თამაშები მოიგო. მაშინ, ჩეხებმა ფინალში საფეხბურთო ანგარიშით - 1:0 დაამარცხეს რუსეთის ნაკრები.

**გია თვალაბეიშვილი**



## TV სპორტი

### 10 ივნისი. სამშაბათი

**რუსთავი 2**

19:30 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-რუსეთი (LIVE).
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. საბერძნეთი-შვედეთი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

10:00 საფეხბურთო კლუბი.
10:45 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. საფრანგეთი-რუმინეთი.
12:55 საფეხბურთო კლუბი.
13:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-იტალია.
15:40 საფეხბურთო კლუბი.
16:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:50 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. საფრანგეთი-რუმინეთი.
19:00 საფეხბურთო კლუბი.
19:45 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-რუსეთი (LIVE).
21:55 საფეხბურთო კლუბი.
22:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. საბერძნეთი-შვედეთი (LIVE).
00:40 საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ინდივიდუალური მრავალჭიდი. იტალია.
09:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რეალი-სარაგოსა.
10:40 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. რუმინეთი-საფრანგეთი.
12:25 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
12:55 მძლეოსნობა.
14:00 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. მიმოხილვა.
14:55 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-იტალია.
16:40 მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. გუნდური ფინალი. იტალია.
18:00 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. ესპანეთი-რუსეთი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი. საბერძნეთი-შვედეთი (LIVE).
00:45 ფეხბურთი. ევრო 2008.
01:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რომა-ინტერი.
03:25 ბილია. ჩემპიონთა თამაშები.
03:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რეალი-სარაგოსა.
05:00 მძლეოსნობა.

**EUROSPORT**

10:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
11:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-პოლონეთი.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-ხორვატია.
15:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
17:30 ველოსპორტი. პრო ტური. კრიტერიუმ დოფინე ლიბერე. II ეტაპი. საფრანგეთი.
18:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
19:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
22:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
22:30 პროფესიული კრივი. WBO-ს ვერსია. მექსიკა.
23:00 პროფესიული კრივი. ევროპის ჩემპიონატი. იტალია.
00:00 პროფესიული კრივი. WBC-ს ვერსია. ბრიტანეთი.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-იტალია.

**EUROSPORT-2**

09:00 ახალი ამბები.
09:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-პოლონეთი.
11:00 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
13:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. იუტა-ლოს ანჯელესი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-პოლონეთი.
17:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-ხორვატია.
19:30 ახალი ამბები.
20:00 ექსტრემალური სპორტი.
21:00 მაუნტინბაიკი. ავალანშის თასი. ბრიტანეთი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი იუნიორებში. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-ტონგა. ბრიტანეთი (LIVE).
23:45 ახალი ამბები.
00:00 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი იუნიორებში. ჯგუფური ეტაპი. ახალი ზელანდია-ირლანდია. ბრიტანეთი (LIVE).
01:45 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია (LIVE).
02:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**შვედეთი**

| II დივიზიონი | |
|---|---|
| იონჩოპინგი-ბრომაპიოკარნა | 2:3 |
| ანგელჰოლმი-ფალკენბერგი | 0:3 |
| ატვიდაბერგი-ჰაკენი | 0:0 |
| ბუნკეფლო-ენჩოპინგი | 0:1 |
| დეგერფორსი-ასირისკა | 1:1 |
| იორგრიტე-კვიდინგი | 3:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ჰალე | |
|---|---|
| ქიკელი-**ბეკი** | 7:6, 6:7, 3:6 |
| **ბერდიხი**-ტ. იოჰანსონი | 6:3, 7:5 |
| ნიემინენი-**ზვერევი** | 6:2, 4:6, 2:6 |
| **სიოდერლინგი**-პეტცშნერი | 6:4, 4:6, 6:4 |
| **კოლშრაიბერი**-ბენეტო | 6:4, 6:1 |
| **ბეკერი**-გრემელმაირი | 6:4, 6:2 |

| ATP. ლონდონი | |
|---|---|
| ფალა-**ნიშიკორი** | 6:2, 4:6, 2:6 |
| **ჯინეპრი**-სპეიდი | 6:4, 7:6 |
| **ანჩიჩი**-ლაპენტი | 7:5, 6:3 |
| **ტროიცკი**-სელა | 6:4, 6:4 |
| **ჩილიჩი**-მელცერი | 7:6, 7:6 |
| **ჰიუიტი**-გუდელი | 6:4, 6:4 |
| **გუჩიონე**-ლუ | 6:4, 6:7, 7:5 |
| **ვერდასკო**-ლი | 6:3, 6:0 |
| ბოგდანოვიჩი-**სირიანი** | 3:6, 3:6 |
| **კარანუშიჩი**-ჩიპოლა | 6:4, 6:3 |
| **საფინი**-უორდი | 4:6, 6:1, 6:4 |
| **გულბისი**-ვლიეგენი | 6:4, 7:5 |
| **ბიორკმანი**-კუნიცინი | 7:6, 4:6, 6:4 |
| **ტიპსარევიჩი**-ნავარო პასტორი | 7:6, 6:4 |

| ATP. ვარშავა | |
|---|---|
| **ბერანკისი**-კონიუში | 7:6, 7:5 |
| მაზარაკისი-**სკოხი** | 2:6, 7:6, 2:6 |
| **კ. როხუსი**-ჟანპიერი | 6:4, 3:6, 6:1 |
| შჩუკინი-**მერტინაკი** | 6:7, 4:6 |
| **ვანეკი**-ბერლოკი | 1:6, 6:2, 7:6 |
| ვოლანდრი-**დანიელი** | 3:6, 4:6 |
| **კოროლიოვი**-ჰანესკუ | 6:4, 6:2 |
| **სერა**-კორია | 6:3, 6:0 |
| **სტარაჩე**-ოლეინიჩაკი | 6:2, 6:3 |

| WTA. ბარსელონა | |
|---|---|
| **ზაკოპალოვა**-შპრემი | 2:6, 7:6, 6:2 |
| მამიჩი-**პარმენტიე** | 2:6, 6:3, 2:6 |
| **მარტინეს სანჩესი**-ვოზნიაკი | 6:4, 6:1 |
| დე ლოს რიოსი-**ლეპჩენკო** | 5:7, 2:6 |
| **რიბარიკოვა**-კამერინი | 6:1, 6:2 |

| WTA. ბირმინგემი | |
|---|---|
| მორიტა-**კირსტეა** | 2:6, 0:6 |
| ბალტაჩა-**მაკაროვა** | 5:7, 6:7 |
| **ნაკამურა**-ობზილერი | 7:5, 6:3 |
| პუჩკოვა-**კერბერი** | 4:6, 3:6 |
| კრეიბასი-**კავადაი** | 0:6, 4:6 |
| **რეზაი**-ელიოტი | 6:3, 2:6, 7:6 |
| გაიდოშოვა-**მატეკი** | 6:7, 2:6 |
| კვიტოვა-**რაო** | 6:7, 4:6 |
| ამანმურადოვა-**შვედოვა** | 3:6, 1:6 |
| **ვიკმაიერი**-ფედოსოვა | 6:1, 6:4 |
| **ო'ბრაიენი**-კუდრიავცევა | 6:0, 3:6, 7:6 |
| **პუტჩეკი**-ოლარუ | 6:0, 7:6 |
| **ტანასუგარნი**-ნიკულესკუ | 6:3, 6:4 |
| **საუთი**-ფიტცპატრიკი | 6:4, 6:4 |

## მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი

**VII ეტაპი (კატალონია)**

**125 cc**

1. **მაიკ დი მელიო** (საფრანგეთი, "აპრილია) - 41.08,708; 2. **პოლ ესპარგარო** (ესპანეთი, "დერბი") - +0,268; 3. **გაბორ ტალმაში** (უნგრეთი, "აპრილია") - +0,338; 4. **შტეფან ბრადლი** (გერმანია, "აპრილია") - +8,765; 5. **სიმონე კორსი** (იტალია, "აპრილია") - +10,141; 6. **სკოტ რედინგი** (ბრიტანეთი, "აპრილია") - +11,178.

**საერთო ჩათვლა:** 1-2. **მაიკ დი მელიო** - 112 ქულა; 2. **სიმონე კორსი** - 98; 3. **შტეფან ბრადლი** - 77; 4-5. **ნიკოლას ტეროლი** (ესპანეთი, "აპრილია"), **პოლ ესპარგარო** - 75; 6. **გაბორ ტალმაში** - 68.

**250 cc**

1. **მარკო სიმონჩელი** (იტალია, KTM) - 41.01,859; 2. **ალვარო ბაუტისტა** (ესპანეთი, "აპრილია") - +0,039; 3. **ექტორ ბარბერა** (ესპანეთი, "აპრილია") - +11,291; 4. **ალექს დებონი** (ესპანეთი, "აპრილია") - +21,373; 5. **თომას ლუტი** (შვეიცარია, "აპრილია") - +26,621; 6. **მატია პაზინი** (იტალია, "აპრილია") - +26,720.

**საერთო ჩათვლა:** 1. **მიკა კალიო** (ფინეთი, KTM) - 106 ქულა; 2. **მარკო სიმონჩელი** - 103; 3. **მატია პაზინი** - 98; 4. **ალექს დებონი** - 92; 5. **ჰიროში აოიამა** (იაპონია, KTM) - 70; 6. **ექტორ ბარბერა** - 59.

**მოტოგრანპრი**

1. **დანიელ პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - 43.02,175; 2. **ვალენტინო როსი** (იტალია, "იამაჰა") - +2,806; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - +3,343; 4. **ანდრეა დოვიციოზი** (იტალია, "ჰონდა") - +10,893; 5. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, "იამაჰა") - +16,426; 6. **ჯეიმს თაუსლენდი** (ბრიტანეთი, "იამაჰა") - +21,482.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ვალენტინო როსი** - 142 ქულა; 2. **დანიელ პედროსა** - 135; 3. **ხორხე ლორენსო** (ესპანეთი, "იამაჰა") - 94; 4. **კეისი სტოუნერი** - 92; 5. **კოლინ ედვარდსი** - 69; 6. **ანდრეა დოვიციოზი** - 57.

# ხორვატია ჩემპიონია?




ევროპის ჩემპიონატებზე ყველასთვის კარგად ნაცნობ პრინციპებსა და კანონზომიერებებს თუ გავიხსენებთ, გამორიცხვის მეთოდით შესაძლებელი გახდება იმ ნაკრების გამოთვლა, რომელმაც ევრო 2008 უნდა მოიგოს.

1. **მასპინძელი თითქმის ვერ იმარჯვებს** - ეს ნიშნავს, რომ ვერც შვეიცარია და ვერც ავსტრია ჩემპიონატს ვერ მოიგებენ;

2. **ევროპის ჩემპიონატის ბოლო რვა გამარჯვებული წინა ევროს მონაწილეც იყო** - პოლონეთი გამოირიცხა;

3. **ევროპის ჩემპიონს არასოდეს შეუნარჩუნებია ტიტული** - მშვიდობით, საბერძნეთო;

4. **ევროპის წინა ჩემპიონატის ფინალისტი მომდევნო პირველობის ფინალში არ გასულა (გამონაკლისი მხოლოდ გერმანიაა)** - პორტუგალია ჩემოდნებს ალაგებს;

5. **წინამორბედი მსოფლიო თასის ფინალისტს არასოდეს მოუგია ევრო** - საფრანგეთი შინ მიდის;

6. **ევროპის წინა პირველობის ნახევარფინალისტმა მხოლოდ ერთხელ მოიგო შემდეგი ჩემპიონატი** - მინუს ჩეხეთი და ჰოლანდია;

7. **ესპანეთი ბოლო 24 წელიწადია, არ გასულა ფინალში;**

8. **მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა მხოლოდ ერთხელ მოიგო შემდეგი ევრო** - ჩაო, იტალია.

9. **ევროს ბოლო ექვსი გამარჯვებული გუნდი (France, Holland, Denmark, Germany, France, Greece) ლათინური ალფავიტის პირველ რვა ასოზე იწყება** - Russia, Romania, Sweden და Turkey გამოირიცხა;

10. **მხოლოდ ერთხელ, გუნდმა, რომელმაც ვერ მოიგო თავისი საკვალიფიკაციო ჯგუფი, ევროპის ჩემპიონი გახდა (დანია)** - Auf Wiedersehen, გერმანია...

ამ 10 პარამეტრიდან თუ გამოვალთ, მივილებთ, რომ ერთადერთი ნაკრები, რომელიც ყველა ამ პირობას აკმაყოფილებს, არის... ხორვატია!

ფეხბურთი. ევრო 2008

# ლიპის ფიქრები

იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **მარჩელო ლიპი** ევროპის ჩემპიონატის წინ ჟურნალ SportWeek-ს გაესაუბრა და ევრო 2008-ის მისეული პროგნოზი შემოგვთავაზა.

**A ჯგუფი**

1. პორტუგალია
2. ჩეხეთი

**B ჯგუფი**

1. გერმანია
2. ხორვატია

**C ჯგუფი**

1. იტალია
2. საფრანგეთი

**D ჯგუფი**

1. ესპანეთი
2. რუსეთი/შვედეთი (50/50)

**1/4 ფინალი**

პორტუგალია-ხორვატია
გერმანია-ჩეხეთი
იტალია-რუსეთი/შვედეთი
ესპანეთი-საფრანგეთი

**1/2 ფინალი**

გერმანია-პორტუგალია
იტალია-საფრანგეთი

**ფინალი**

გერმანია-იტალია

**ჩემპიონი**

იტალია

# ქალებს რონალდო უყვართ



ევროპელმა ქალებმა პორტუგალიის ნაკრების ლიდერი **კრისტიანო რონალდო** ყველაზე ძლიერ და მომხიბვლელ ფეხბურთელად აღიარეს. შემდეგ მოდიან ფრანგი **ტიერი ანრი** და იტალიელი **ფაბიო კანავარო.** ასეთია იმ გამოკითხვის შედეგები, რომელიც ევროპის ჩემპიონატის წინ, 12 ევროპული ქვეყნის 12 ათას ქალს შორის ჩატარდა.

რონალდო ერთადერთი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ხმების უმრავლესობა არამარტო თავის სამშობლოში, არამედ სხვა ქვეყანაში, კერძოდ კი, ბრიტანეთში მოაგროვა. ტიერი ანრიმაც, საფრანგეთის გარდა, ხმების საკმაოდ მაღალი პროცენტი ასევე ბრიტანეთში მიიღო.

პატრიოტები აღმოჩნდნენ იტალიელები, რომელთა წყალობითაც ფაბიო კანავარო მესამე პოზიციაზე აღმოჩნდა. მან სულ ცოტათი გაასწრო მეოთხე ადგილზე გასულ **ფრედრიკ ლიუნგბერგს.**

# ექსკლუზივი ძაღლებისთვის

ევროპის ჩემპიონატის დაწყებას გამოეხმაურა გერმანიის ქალაქ ჰამბურგში მდებარე სპორტული ტანსაცმლისა და აქსესუარების მაღაზია - Kawaii, რომელმაც გასაყიდად გამოიტანა ძაღლებისთვის განკუთვნილი საფეხბურთო მაისურები.

ძაღლების პატრონებს თავიანთი ოთხფეხა მეგობრებისთვის ევრო 2008-ის მონაწილეების სიმბოლოებით დამშვენებული მაისურების შეძენა შეუძლიათ, რომლებზეც ზოგიერთი ფეხბურთელის "გაძაღლებული" სახელებია დაწერილი. მაგალითად, "ბასტიან ჰუნდშტაიგერი", მიხაელ ბალჰუნდი" (გერმანული სიტყვიდან hund - "ძაღლი"), "ლუკას დოგოლსკი" ან "რონალდოგ".

მაღაზიის მფლობელი, 34 წლის **რეზა ვაფა** აღიარებს, რომ ეს იდეა ნიუ იორკში მდებარე ანალოგიური მაღაზიიდან გადაიღო, თუმცა ევრო 2008-ის კოლექცია მთლიანად ექსკლუზიურია. იქვე ევრომაისურების გარდა, ძაღლებისთვის ბუნდესლიგის კლუბებისა და ფორმულა 1-ის გუნდების მაისურების შეძენაც შეიძლება.

# ოფიციანტი ბექჰემი





გასული უიქ ენდი **დევიდ ბექჰემისთვის** ძალიან დატვირთული აღმოჩნდა.

ინგლისელი ფეხბურთელი ლოს ანჯელესში შოტლანდიელი შოუ-მზარეულისა და ბიზნესმენის, **გორდონ რამსეის** ელიტური რესტორნის გახსნას დაესწრო, რომლის სახელწოდებაა London West Hollywood და ეს რამსეის ქსელის პირველი რესტორანია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ბექჰემი რესტორანში ოფიციანტივით გამოწყობილი გამოცხადდა, მაგიდებს შორის დააბიჯებდა, თუმცა კლიენტებს არ მომსახურებია.

ამის შემდეგ, დევიდს MLS-ის რეგულარული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი ელოდა - მისი "ლოს ანჯელეს გელაქსი" "კოლორადო რეპიდსს" ხვდებოდა. შეხვედრის მსვლელობისას, მინდორზე შეიჭრა გულშემატკივარი, რომელმაც მოასწრო და ინგლისელ ნახევარმცველს გადაეხვია. როგორც აღმოჩნდა, ეს ქომაგი დევიდის დიდი ხნის ფანი ყოფილა და მისი ოცნებაც, სწორედ თავის კუმირთან ჩახუტება ყოფილა.

ოცნება კი აისრულა, მაგრამ ახლა ამ მამაკაცს მკაცრი სასჯელი ელის.



# 1:54

გერმანიის ქალაქ კიოლნის კლუბ DJK Loewen-ის 11 ფეხბურთელი ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. მათ გერმანიის ერთ-ერთი ქვედა დივიზიონის ბოლო ტურში 1:54 (!) დათმეს შეხვედრა და ასეთი მკაცრი სასჯელი ამ დამარცხებით არის განპირობებული. გარდა ამისა, DJK Loewen მომდევნო ჩემპიონატს მინუს 12 ქულით დაიწყებს.

ლიგის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, კიოლნური კლუბის ფეხბურთელებმა შეგნებულად წააგეს ასეთი ანგარიშით, ვინაიდან მათი მეტოქე, "რაინკასელ-ლანგელი" მხოლოდ ამ შემთხვევაში ინარჩუნებდა ადგილს ლიგაში.

იმის გამო, რომ გამარჯვებულის ბრალეულობა ვერ დაამტკიცა, ლიგის ხელმძღვანელობამ შედეგი ძალაში დატოვა.

ჩოგბურთი

# სერენას ფოტოსესია




საფრანგეთის ღია პირველობის მესამე წრეში წაგების შემდეგ, ამერიკელი **სერენა უილიამსი** მალიბუში გაემგზავრა, სადაც Ebony Magazine-ის ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა.

ამერიკული ჟურნალის აქციას ჟურნალისტებიც მრავლად დაესწრნენ, რომლებმაც უამრავი შეკითხვა დაუსვეს ჩოგბურთელს, თუმცა სპორტული მიღწევების ნაცვლად, პრესის წარმომადგენლებს სერენას პირადი ცხოვრების დეტალები უფრო აინტერესებდათ, მაგალითად, უმცროსი უილიამსის ურთიერთობა ცნობილ რეპერთან, Common-თან, რომლის კლიპშიც ცოტა ხნის წინათ სერენამაც მიიღო მონაწილეობა.

*"ის, რა თქმა უნდა, შესანიშნავი ბიჭია, ბრწყინვალე არტისტი, მაგრამ ახლა მხოლოდ ჩოგბურთი მაინტერესებს, რადგან ის მთელი ჩემი ცხოვრების მთავარია მიზანია"*, - განაცხადა სერენა უილიამსმა.

ჩოგბურთი

# არგენტინული სიყვარული

ცნობილი არგენტინელი მსახიობი, მომღერალი და მოდელი **ლუისანა ლოპილატო** (ჩვენში საკმაოდ პოპულარული თინეიჯერული სერიალის, "მეამბოხე სულის" ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი) სპორტის ორი სახეობის - ფეხბურთისა და ჩოგბურთის დიდი მოყვარულია. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების გარდა, ლუისანა ბავშვობიდან "რივერ პლეიტის" თავგადაკლული ფანი გახლავთ.

რაც შეეხება ჩოგბურთს, ამ სპორტისადმი სიყვარული 21 წლის გოგონასთვის ახალი ხილია. ამაში დამნაშავე არგენტინელი ჩოგბურთელი **ხუან მონაკო** გახლავთ, რომელიც ATP-ის წლევანდელ საჩემპიონო რბოლაში, საუკეთესო ოცეულში იკავებს ადგილს. მათი რომანი სულ რამდენიმე თვეა, რაც გრძელდება, მაგრამ მსახიობი აცხადებს, რომ სულ მალე, ხუანის მეუღლე გახდება.

ახალგაზრდები ერთმანეთს ცნობილმა მოდელმა, **აგუსტინ კორდობამ** გააცნო, რომელიც ასევე არგენტინელ ჩოგბურთელთან, **ხოსე აკასუსოსთან** მეგობრობს.

ლუისანა ბოლო პერიოდში საჩოგბურთო მოედნებს ხშირად სტუმრობს და შეყვარებულს ტრიბუნებიდან ქომაგობს.



